

ისტორიულ-მეცნიერული ჟურნალი №4 (76), 2017, აპრილი ფასი 3 ლარი

# ისტორიანი

**აშენიკა  
კაშხაღის შებენი**

რუსეთის იმპერიის  
კავშირის კაშხაღის  
შეშენების შესახებ

**ვაჩნაძეები  
ბაგრატიონთან  
ხელშეწყობითა  
სამსახურში**

**აფხაზეთის გოლშევიკური  
მიტაცების ანატიმია**



„50 პერსონა —  
მათ შორის ისტორია“  
ტომი XIV  
„რიჩარდ  
ლომგული“

„ნაგნი კოსტორინის“ ერთად — 8 ლარი

დიდგარსხვის  
პირველი დღე ხალხურ  
ტრადიციებში

კახტაი იბერის  
ხანის საიდუმლო


ატომური დაკომპოზიციის  
პილოტები

უცხოეთი გრავირებში  
ქეთევან ნაგბეაშვილის  
შესახებ

# ბებრილი

*უაჩხუბო უძიჯი იქი*





6



8



11



12



17



26

**სახიჩვი**

**მოელა აბაზი**  
 „მცნობლის“ ავთენტუაზა ..... 6

**ახალი აბაზი**  
 რელიგიიას შუაგუბა კორსიკაზე ..... 8

**მოელა**  
 გიგანტიური იერიქონი —  
 ბიბლიური დროის შუაგუბა ..... 10

**ახალი აბაზი**  
 რაგვს დიდის გიგანტიური ქანდაკება ..... 11

**ისოიჩის ფუხაღა**  
 უცნობი გრავირაბი ქითეზაზ ..... 12

**წამებულის შუსაგა** ..... 12


**ნითელი ჭიჩი**  
 აფსაგეთის ბოლგევიკური მიტაგევის  
 ანატოშია ..... 17

**ქითეუღაბი წინდა მინაზ**  
 კებრა იგარის საგელის საიღუგლო ..... 26

**ილახიჩიუბელი ისოიჩი**  
 საქართველო და რუსეთის იგარია ..... 34



38



48



51



62



70



84

**სახიჩვი**

**ჩახოცი ნახიჩივანი სავაჩიქოეი**  
 მანსაქეი ..... 38

**ეთოლოეიჩი ნახიჩვი**  
 დიღმარსვის პირველი დღე  
 ხალსურ ტრადიციეში ..... 48

**ბახეაბანი მოენაბი**  
 ატომური დანობეპეის პილოტეი ..... 51

**ჩაუაუი თეაუბი**  
 სამსერივი ომი უპრინინთვის ..... 62

**მსოჯიოეი სოიიცი სიხა-ეხეაბეი**  
 შამორის ციხე-დარბაჯი ..... 70

**სოუხეა**  
 ელენე ამირეჯივის არაკულინარიული  
 რეცეპტეი ..... 78

**მოელე აბეი**  
 ამერიკა კაშხალის შემდებ ..... 82

**სუნან-სუნან ჰეილანეი**  
 სპორბა ..... 84

**ეუხლეი ნახიციან**  
 ისტორიული ამბეი კველი  
 შურნალ-გავეთეიდან ..... 89

**სკანვორდი** ..... 90

ჟურნალ „ისტორიანის“ ძველი ნომრების შექენა შეეიძლიათ „ბიბლუსის“ მალაზიათა ქსელში. ფასი 2 ლარი

## ჩვენთვის სხვა

1921 წლის 18 თებერვალს სოხუმში შეიქმნა აფხაზეთის არალეგალური რევოლუციური კომიტეტი, რომელსაც ქართველი ბოლშევიკი ისაკ ჟვანია ხელმძღვანელობდა. მებრძოლთა სიმცირის გამო, აფხაზეთის რეგკომს წარმატების იმედი მხოლოდ წითელი არმიის მხარდაჭერის შემთხვევაში შეიძლებოდა ჰქონოდა.

ისაკ ჟვანიამ წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობის უშუალო ორგანიზატორ სერგო ორჯონიკიძეს წერილით მიმართა, აფხაზეთში წითელი არმიის ნაწილები დაუყოვნებლივ შეეყვანათ. იმავე დღეებში, ორჯონიკიძემ მიიღო სტალინის დეკრეტი, რომელშიც ის პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით მითითებას აძლევდა: „არ დაივიწყეთ აფხაზები, რომლებიც აჯანყდნენ და მათ მახლობლად მე-9 არმია დგას“. თუმცა აფხაზეთში არანაირი აჯანყება არ ყოფილა. სერგო ორჯონიკიძემაც კავკასიის ფრონტის სარდლობას უბრძანა, პარტიული ხელმძღვანელობის დავალების შესრულებას დაუყოვნებლივ შესდგომოდა... ამ და აფხაზეთის გასაბჭოების მნიშვნელოვან დეტალებზე „ისტორიანი“ მოვითხრობთ სტატიაში „საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აფხაზეთში“.

საქართველოს ისტორიამ შემოგვინახა იმ მამულიშვილთა სახელები, რომლებიც ღირსეულად ემსახურებოდნენ სამშობლოს და მისთვის სიცოცხლესაც არ იშურებდნენ. მათგან მათიანეში უფრო მეტად შემოგვჩნა თავდადებული მეფე-მთაგრებისა და წარჩინებულ საგვარეულოთა წარმომადგენლების ვინაობა. ქართულ წარჩინებულთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ვაჩნაძეთა საგვარეულოს, რომლის შესახებაც საინტერესო ცნობებს იხილავთ რუბრიკაში „ქართული წარჩინებული საგვარეულოები“.

ახლანან ქართველ მკვლევართათვის ცნობილი გახდა, რომ ქვედა საქსონიის ქალაქ ვოლფენბიუტელის ჰერცოგ ავგუსტის ბიბლიოთეკაში ინახება ქეთევან წამებულისადმი მიძღვნილი სპექტაკლის აქამდე უცნობი შვიდი გრაფიურა. თუ გავითვალისწინებთ, რომ პიესა და გრაფიურები დედოფლის წამებიდან სულ ოცდაათი დღე წლის შემდეგ არის შექმნილი, ცხადი გახდება, რომ ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, ქართველი დედოფლის თანამედროვეთა მიერ გადმოცემულ ტექსტობრივ და ვიზუალურ მასალასთან გვაქვს საქმე. ამ გრაფიურებს გაცნობით რუბრიკაში „ისტორიის ფურცლები“.



სტალინმა ღვაწლით უზრძანა ორჯონიკიძეს, „აჯანყებულ აფხაზებს დახმარებოდა“, თუმცა აფხაზეთში არანაირი აჯანყება არ ყოფილა

### ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი  
**ჯაბა სამუშია**

რედაქტორი  
**გელა გურგენიძე**

სტილისტ-რედაქტორი  
**ელენე სალარიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**რეზო თხილიშვილი**

სარედაქციო კოლეგია:  
**ალექსანდრე ბოშიშვილი, ოქროპირ ჯიქური, ნინო ჯაფარიძე, დიმიტრი სილაქაძე, მიხეილ ბარნოვი, შოთა მათითაშვილი, კახაბერ ყალიჩაია, ნიკოლოზ ხოფერია**

კორექტორები:  
**ნანა მაჭავარიანი**  
**ნინო აბესაძე**

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, იოსებძის ქ. №49  
**ტელ.: 238-13-72, 238-02-45**

სარეკლამო განყოფილება  
**ტელ.: 237-78-07, 238-78-70**  
**e-mail: istoriani@palitra.ge**

**ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ**  
რედაქციის ნებართვის გარეშე  
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია  
**„პალიტრამედის“ ცხელი ხაზი: 219-60-13; 219-60-53**  
**e-mail: contact@palitra.ge**

ჟურნალის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით,  
ვებ-გვერდზე: **www.elva.ge**  
ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით:  
**(+995 32) 2 37 50 03; (+995 32) 2 38 26 74**  
ადგილზე მითანა უფასო!

# „მსხობელის“ აფეთქება



მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკელები, წყნარი ოკეანის ატოლ ბიკინიზე, სამხედრო ხომალდებზე ბირთვული იარაღის ზემოქმედებას სწავლობდნენ. ამ გამოცდებს „გზაჯვარედინს“ უწოდებდნენ. სწორედ „გზაჯვარედინით“ დაიწყო ბირთვული ტესტები მარშალის კუნძულებზე. ეს პირველი გამოცდები იყო, რომლებიც ფართოდ გასაჯაროდა, მასზე დაუშვეს მედია და სტუმრები. პროგრამის ნაწილი იყო სურათზე გამოსახული აფეთქებაც, რომელსაც „მცხობელის“ ტესტი უწოდეს.


95 ხომალდისგან შემდგარ ფლოტს, ჩაშვებული ღუზებით, ბიკინის ლაგუნაში მოუყარეს თავი. ჯგუფის ცენტრში ხომალდების სიმჭიბიკინის ყურეში გამოცდისთვის თავმოყრილი ფლოტი



დროვე შეადგენდა 20 ერთეულს კვადრატულ მილზე (7,7 კვკმ-ზე) — ანუ 3-5-ჯერ მეტს, ვიდრე სამხედრო დოქტრინა ითვალისწინებდა. ასე იმიტომ გააკეთეს, რომ ყოველმხრივ და ფართოდ გამოეკვლიათ აფეთქების შედეგები ხომალდების ტიპის, ზემოქმედების მანძილის მიხედვით და სხვ.

ფლოტში შედიოდა 4 მოძველებული ამერიკული სახაზო გემი, 2 ავიამზიდი, 2 კრეისერი, 11 საესკადრო ნადმოსანი, 8 წყალქვეშა ნავი, მრავალი დამხმარე და სადესანტო ხომალდი, 3 ნადავლი გერმანული და იაპონური გემი. ყველა გემზე იყო ჩვეულებრივი რაოდენობით საწვავი და სხვადასხვაგვარი საკვლევი აპარატურა. რამდენიმე გემზე, შემდგომი გენტიკური გამოკვლევის მიზნით ჰყავდათ 200 ღორი,

23 კილოტონა  
ბირთვული  
იარაღის წყალქვეშა  
დეტონაცია, 1946



60 ზღვის გოჭი, 204 თხა, 5 000 ვირთხა, 200 თაგვი და მარცვლეული მწერებით.

„მცხობელი“ ააფეთქეს 25 ივლისს, სადესანტო ზომად LSM-60-ის ქვეშ 27 მეტრის სიღრმეზე, და შემდეგ ამ გემის ვერავითარი ნაწილი ვეღარ ნახეს. ის ბირთვული აფეთქების ეპიცენტრში აორთქლდა. წყალქვეშა ცეცხლოვანმა სფერომ მიიღო ბუშტის ფორმა, რომელიც ელვისებურად გაფართოვდა. მან ქვემოთ, 180 მეტრის სიღრმეზე ფსკერი დააზიანა, სადაც 610 მეტრი დიამეტრის კრატერი წარმოიქმნა. წყლის ზედაპირზე კი უძლიერესი, ზებგერთი სისწრაფის ტალღა გავრცელდა, რომელმაც ახლომანლო გემების კორპუსები გაანადგურა. ამას ყველაფერს 4 მილიწამი დასჭირდა. დარტყემითი ტალღის უკან დროებით შექმნილმა დაბალი წნევის არემ ნისლი გააჩინა, რომელმაც ცად ატყორცნილი გეიზერი ორი წამით დაფარა. შემდეგ ე.წ. უილსონის ღრუბელი გადიდდა და გაქრა.

სამხედრო-საზღვაო ძალებმა კი ზომადებისა და ტვირთისგან დარჩენილი ნაწილები შეისწავლეს. „მცხობელმა“ უძლიერესი რადიაქტიური დაბინძურება გამოიწვია. გამოცდები დროებით შეწყვიტეს, თუმცა 50-იანი წლებიდან კვლავ გააგრძელეს.

*მომზადებულია BBC-ის მიხედვით*

„უილსონის ღრუბელი“  
უკანა პლანზე ატოლ  
ბიკინის პლაჟი





# რელიგიითა შეჯახება კორსიკაზე

მითრას უძველესი ტაძრის ნაშთი

საფრანგეთის კუნძულ კორსიკაზე ძველი რომაული ქალაქის, მარიანას გათხრებისას მითრას უძველესი ტაძრის ნანგრევებს მიაკვლიეს. იგი ძვ.წ. I საუკუნეს განეკუთვნება. აღმოჩენა სპეციალისტებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან კუნძულზე ამ ინდოარიული ღვთაების კვალს პირველად მიაკვლიეს.

ყველაფერი კი იმას მოჰყვა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ამ ტერიტორიაზე გზის გაყვანა დაიწყეს. როცა არქეოლოგიური საიტი გამოჩნდა, იმავე ადგილობრივი ხელისუფლების მოწვევით საქმეში საფრანგეთის არქეოლოგიური კვლევების ნაციონალური ინსტიტუტის გუნდი ჩაერთო, ფილაპ შაპონის ხელმძღვანელობით.

მათი ვარაუდით, გათხრილია სალოცავი ოთახი და ინიციაციის ადგილი, რომელიც მითრას კულტს უკავშირდება.

**ფილაპ შაპონი:** „აღმოჩენა მეტად საინტერესოა. კორსიკაზე მითრას კულტის ნიშნები პირველად გამოჩნდა. ამ კულტის კვალი იშვიათად გვხვდება საფრანგეთშიც“.

შაპონის გუნდმა იპოვა ზეთის სანათები,



მითრაიზმთან დაკავშირებული სვენა. ბარელიეფი



ბრინჯაოს ზარები, თიხის ჭურჭელი და ქალის მარმარილოს თავი. აგრეთვე, მითრას ქვის გამოსახულება, სადაც იგი ხარს მსხვერპლად სწირავს, ხოლო ძალი და გველი ცხოველის სისხლს სვამენ. მათთან ერთად გამოსახულია მორიელიც. ნაპოვნი არტეფაქტები ამ ადგილის დანიშნულებაზე მეტყველებს.

ხარის მსხვერპლად შეწირვის სცენას მითრას ტაძრებში ხშირად გამოსახავდნენ, რადგან გადმოცემით, მითრამ სამყარო შეწირული ხარის ნაწილებისგან შექმნა.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ კორსიკაზე მითრას ამ სალოცავის საკურთხეველი განგებ დაანგრევს. შესაძლოა ეს რელიგიურ დაპირისპირებაზე მიაწინებდეს და რომის იმპერიაში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების პერიოდს უკავშირდებოდეს. მანამდე, ანუ 392 წლამდე, რომის იმპერიაში ყველა რელიგია მისაღები იყო. ალბათ ამიტომ, მითრას ყველაზე სახელგანთქმული სალოცავი რომში, სენტ კლემენტის ბაზილიკაშია. კორსიკაზე კი დიდი ქრისტიანული სამლოცველო დაახლოებით 400 წელს ააგეს.

მარიანა რომაული ქალაქი იყო, რომელიც დაახლოებით ძვ.წ. 100 წელს დაარსდა. განსაკუთრებულ აღმავლობას III-IV საუკუნეებში მიაღწია და ძლიერ სავაჭრო ქალაქად იქცა. გათხრები აქ 1930-იან წლებში დაიწყო, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება 2000-იანი წლებიდან დაიმსახურა. წინა გათხრებით აღმოაჩინეს ადრეული ქრისტიანული ბაზილიკა და მოსანათლი აუზი, ასევე სახლები და მაღაზიები.

*მომზადებულია*

*International Business Times-ის მიხედვით*



მითრას გამოსახულება რომში, სენტ კლემენტის ბაზილიკაში

*ბრინჯაოს ზარი*



## ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

**პალიტრა მედია გისმენო!..**



ღარაკეთ: 219 60 13



მომგვწერეთ: [contact@palitra.ge](mailto:contact@palitra.ge)

ან: „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით

# ბიზანტიური იკონოგრაფია – ბიზანტიური ხელოვნების მემკვიდრე

იკონი — მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი — იუდეის უდაბნოს ჩრდილოეთში, ოაზისის გარშემო გაშენდა. აქ აღამიანები ვერ კიდევ მუხროლითის დროს დასახლდნენ და მას შემდეგ ცხოვრება არ შეწყვეტილა. არც ჰასმონელთა დინასტიის, არც რომის, ბიზანტიის იმპერიის თუ არაბთა ზეობის პერიოდში.



მოზაიკა ამფორისა და ვენახის გამოსახულებით

1873 წელს იერიქონის ოაზისში ნაკვეთი შეიძინა იერუსალიმში რუსეთის სასულიერო მისიის ხელმძღვანელმა, არქიმანდრიტმა ანტონინმა. 1886 წელს კიდევ ერთი ნაკვეთი იყიდა მღვდელმონაზონმა იოასაფმა. მალე მიწები პალესტინის მართლმადიდებელ საიმპერატორო საზოგადოებას გადაეცა. ხუთი წლის შემდეგ დაიწყო პირველი გათხრებიც. XIX საუკუნის დასასრულის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი აღმოჩენა გახლდათ ბიზანტიური მოზაიკა, მაგრამ მისი სათანადოდ შესწავლა მაშინ ვერ მოხერხდა.

## წყალსადენის გაწმენდა



ბიზანტიური წყლის ფილტრი

2008 წელს პალესტინის ავტონომიამ იოასაფისეული ნაკვეთი რუსეთს დაუბრუნა და იქ სამუზეუმო კომპლექსის აგება გადაწყდა. შედეგები გათხრებისა, რომელიც 2010-2013 წლებში, მშენებლობის პროცესში და მას შემდეგც მიმდინარეობდა, ცალკე წიგნად გამოიცა, სახელწოდებით — „ბიზანტიური იერიქონი“.

იერიქონი ცნობილია ბიბლიური პერიოდის შენობა-ნაგებობებით, რომელთაც უფრო გვიანდელი არქეოლოგიური მასალები დაჩრდილეს. არადა, ბიზანტიურ პერიოდში ქალაქი მნიშვნელოვანი საეკლესიო და სასულიერო ცენტრი იყო. ამიტომაც აქ შესაბამისი „ინფრასტრუქტურა“ ვითარდებოდა. აიგო უამრავი ეკლესია და მონასტერი, აშენდა თავშესაფრები და სასტუმროები. რუსული არქეოლოგიური ექსპედიციამ სწორედ ბიზანტიური ხანის ქალაქის კვლევით შემოიფარგლა.

2010-2013 წლების გათხრებისას ექსპედიციის წევრებმა ბიზანტიური პერიოდის ნაგებობების კვალი აღმოაჩინეს. გათხრებისას მიაკვლიეს ბრინჯაოს საეკლესიო ნივთებს და ჰასმონელთა ზეობის (მართავდნენ იუდეას ძვ.წ. 166-37 წწ.), რომის, ბიზანტიისა და ჯვაროსანთა ეპოქის ასობით მონეტას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა შუა საუკუნეების წყალმომარაგების სისტემაა — რამდენიმე აჯი და მათი შემაერთებული ბეტონის წყალსადინარები. ერთ-ერთ წყალსადინარში ბაზალტის ფილტრიც კი აღმოჩნდა, რომელიც წყალს ნაგვისგან წმენდდა.

ექსპედიციამ საწარმოო შენობების ნაშთებსაც მიაკვლია: სამეთუნეო სახელოსნოსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოს. სახელოსნოში რამდენიმე ღუმელი იყო შემორჩენილი. მეორე შენობაში კი ფერადი მოზაიკა აღმოჩნდა, რომელიც VII საუკუნის პირველი მეოთხედით თარიღდება. მოზაიკის შემაკავშირებელი ხსნარის ანალიზით დადგინდა, რომ ამ შენობაში შაქრის ბადაგს ამზადებდნენ — იერიქონი ისტორიულ წყაროებში ყოველთვის განთქმული იყო თავისი შაქრითა და ბაღსამით.

მომზადებულია *Наука и жизнь*-ის მიხედვით

# რამზეს დიდის ბიბანტური ქანდაკება

კაიროს ღარიბთა უბანში ფარაონ რამზეს II-ის ქანდაკება იპოვეს, რომელიც ძველ ეგვიპტეს დაახლოებით 3 ათასი წლის წინ მართავდა. კვარციტის 4-ტონიანი და 8 მეტრის სიმაღლის ქანდაკება ელ-მატარაიას რაიონში ეგვიპტურ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის წარმომადგენლებმა აღმოაჩინეს. ექსპედიციის ხელმძღვანელ აიბან აშმაგის განცხადებით, რაიონში, სადაც ქანდაკება იპოვეს, ოდესღაც ძველეგვიპტური ტაძარი მდებარეობდა. სპეციალისტები სწორედ ამ ძველი ტაძრის ტერიტორიას სწავლობდნენ.

დიდი მოცულობის ქანდაკება ღრმად იყო ჩაფლული თიხოვან სველ ნიადაგში. ამიტომ ზედაპირზე მისი ნაწილის ამოსაწვეად მეცნიერებს ტექნიკის გამოყენება მოუხდათ. როცა მიწიდან ამოწეული თავის ზედაპირი გაქმინდეს, გამოჩნდა, რომ ქანდაკება საკმაოდ დაზიანებულია. შემორჩენილია ბიუსტი, თავი, მარჯვენა ყური, თვალის ფრაგმენტი და ფარაონის გვირგვინი. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ძველის ჯერჯერობით ისევ მიწაში დაფლული ნაწილიც დიდ ფრაგმენტებად იქნება დაშლილი.

ეგვიპტურ სიძველეთა მუზეუმის თანამშრომლების განცხადებით, ამ ადგილას



დიდი მოცულობის ქანდაკებისთვის აშწე გახდა საჭირო

წარსულში XIX დინასტიის ფარაონის რამზეს II-ის ტაძარი მდებარეობდა. მოგვიანებით ტაძარი დაინგრა, ხოლო მისი ქვები მოსახლეობამ საცხოვრებლების ასაშენებლად გამოიყენა.

ეგვიპტის ხელისუფლებამ ამ აღმოჩენას მსოფლიო ისტორიისთვის „ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი“ უწოდა.

რამზეს II-ს — იმავე რამზეს დიდს, ხშირად მოიხსენებენ როგორც ეგვიპტის უდიდეს ფარაონს.

*მომზადებულია independent-ის მიხედვით*

ადგილობრივი მოსახლეები ფარაონის ქანდაკების მოტეხილ თავთან



# უსნობი გრავიურები ქეთევან წამებულის შესახებ



გერმანიაში ქეთევან წამებულისადმი მიძღვნილი სპექტაკლის გრავიურები აღმოჩნდა

„ან — ამას ვსტირი,  
ბან — ბნელსა მჯდომი,  
გან — გულსა მდღურად,  
ღონ — დადაგული,  
ენ — ესრეთ ვება,  
ვინ — ვის მიება,  
ზენ — ზენი ზედა,  
ჰე — ჰეი დართული“.

ეს არის ქეთევანის ანბანთქება, რომელიც გადმოცემის მიხედვით, მას წამებამდე რამდენიმე თვით ადრე შირაზში დაუწერია. XVII საუკუნის ერთ-ერთ საღვთისმეტყველო კრებულში კი მისი უნიკალური სახება შემორჩა. არც ერთი ქართველი წმინდანი მსგავსი ფორმით არასოდეს გამოუსახავთ. აქ დედოფალი შრომანზე ხელებაპერობილი ზის

და სისხლიანი ცრემლებით ტირის. წამების იარაღი გახურებული მარწუხი კი მხარმარჯვნივ ჰაერში გამოკიდებული ჩანს.

ქართველების მსგავსად, სახელგანთქმულ დედოფალს ევროპაშიც ხატავდნენ. მაგალითისთვის პორტუგალიაშიც, ლისაბონში, და გრასას ტაძრის ერთ-ერთ ფლიგელში დღემდე შემორჩენილია ქეთევანის წამებისადმი მიძღვნილი 11 მეტრი სიგრძისა და სამი მეტრი სიმაღლის პანო, რომელიც მოჭიქული ქაშანურისა და ფაიფურის ფილებიდან არის დამზადებული.

კედელზე გადატანილი მთელი ამბავი სამ ძირითად სცენად იყოფა. პირველი დედოფლის სპარსეთში ტყვეობას ასახავს. აქ ქეთევანი მორჩილად დაჩოქილი ლოცულობს, თავს კი ქერუბიმები და სერაფიმები დაჰფარფატებენ.

... ლომივხე ურთიყის ზნისათა



ქეთევან დედოფლის სახეა XVII საუკუნის ერთ-ერთ საღვთისმეტყველო კრებულში შემორჩა

მის წინ პორტუგალიელი ბერი დუმ ანჟუში მოჩანს. მეორე, ყველაზე დიდი და შემზარავი სცენა ქეთევან დედოფლის წამებას ეძღვნება. გაგარვარებული ცეცხლის მაყალზე შირაზული გოლგოთა მთელი სისასტიკით წარმოჩინდება. სპარსი ჯალათები დაუნდობლად გლეჯენ და ასახიჩრებენ ქართველი ქალის წმინდა სხეულს. „პატივცემული დედოფალი გატივანდა, საქართველოს დედოფალი, წმინდა ავგუსტინელთა ორდენის და“, — ამ შინაარსის წარწერა მიუყვება წამების სცენას. სულთმობრძავი დედოფლის ბაგეებთან კი მისი უკანასკნელად წარმოთქმული სიტყვები მოჩანს: „ღმერთო, შემეწიე ძუძუთა ჩემთა სატანჯველში“. და გრასას პანოს ამადლევებელი სცენა ასრულებს, სადაც დუმ ანჟუმის საქართველოში





გერმანიაში ნაპოვნი გრაფიურა (ზემოთ) და მიხეილ საბინინის 1882 წ. ნახატი (ქვემოთ)



ჩამოსვლა და თეიმურაზ მეფისთვის წმინდა ნაწილების გადაცემა ასახული. ხელმწიფე და მგლოვიარე სამეფო კარი მოკრძალებით შეჭურებენ ლუსკუმაში მოთავსებულ საგანძურს.

პანო ცხადყოფს, რომ ქეთევანისადმი განსაკუთრებული პატივისცემა და თაყვანისცემა საქართველოს მალე გასცდა. უცხოელებმა მის მოღვაწეობას ვრცელი შრომები დაუთმეს. უკვე 1632 წელს ოქსფორდში ქართველი დედოფლისადმი მიძღვნილი წიგნი გამოვიდა. 1636 წელს კლოდ მალენგმა, ხოლო 1646 წელს ანტონიო დე გრივამ ფრანგულად დაბეჭდეს ქეთევანის ცხოვრება. იტალიელმა პიეტრო დელა ვალემ ქეთევანზე მუსიკალური დრამა დაწერა, გერმანელმა ანდრეას გრიფიუსმა კი მის სახელს პიესა მიუძღვნა. სწორედ ეს უკანასკნელი გახდა ჩვენი ყურადღების საგანი. ნაწარმოები სახელწოდებით „ეკატერინე ქართველი, ანუ გაუტყეხელი სიმტიცე“ ჯერ კიდევ 1975 წელს თარგმნა აკაკი გელოვანმა. ამჟამად ნაწარმოებს საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა შოთა რევიშვილმა, პროფესორმა ილია ტაბაღუამ კი არაერთი საინტერესო სამეცნიერო პუბლიკაცია მოამზადა ამ საკითხზე. პიესის ქართულ გამოცემაში შეტანილია იოჰანეს უზინგის 1655 წელს დაბეჭდილი გრაფიურა, სადაც გადმოცემულია სცენა „ქეთევან დედოფლის“ დადგმიდან. ეს ფაქტი ფრიად საყურადღებოა, რადგან გრაფიურა საქართველოსადმი მიძღვნილი პირველი სცენოგრაფიული ნიმუშია...

რამდენიმე კვირის წინ ხელოვნების სასახლის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარემ არჩილ გელოვანმა, ქვედა საქსონიის ქალაქ ვოლფენბუტელის ჰერცოგ ავგუსტის ბიბლიოთეკაში, ქეთევან წამებულისადმი მიძღვნილი სპექტაკლის კიდევ შვიდ გრაფიურას მიაკვლია. მათი არსებობა ჩვენთვის დღემდე უცნობი იყო. ისინი მრავალმხრივ არის საინტერესო. გრიფიუსი ნაწარმოების შექმნის დროს სარგებლობდა იმ ადამიანთა ცნობებით, რომლებიც სხვადასხვაგვარად იყვნენ დაკავშირებული ქეთევანთან (თინათინ დი ციბა და იეზუიტი ათანასიუს კირხერი). ამიტომ ტრაგედიაში გამოყენებულია მასალა ისტორიული სინამდვილის ამსახველი წყაროებიდან. დრამაში აღწერილი ამბავი ავტორისთვის არ არის შორეული წარსულიდან აღებული უბრალო შემთხვევა, ან რომელიმე ისტორიული ამბის ლიტერატურული ინტერპრეტაცია. თუ გავითვალისწინებთ, რომ პიესა

და გრავიურები დედოფლის წამებიდან სულ ოცდაათორდე წლის შემდეგ არის შექმნილი, ცხადი გახდება, რომ ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, ქართველი დედოფლის თანამედროვეთა მიერ გადმოცემულ ტექსტობრივ და ვიზუალურ მასალასთან გვაქვს საქმე.

გრავიურების ციკლი საინტერესო სცენით იწყება: ერთმანეთის პირისპირ ქეთევანი და შაჰ აბასი დგანან, ქართველ დედოფალს ხელში შროშანი უჭირავს (საინტერესოა, რომ შროშანს ვხვდავთ ქართულ ხელნაწერშიც), აბასი კი მას გვირგვინს აწვდის, ნიშნად იმისა, რომ მზად არის, რწმენის დათმობის სანაცვლოდ, ქეთევანს სპარსეთის დედოფლობა შესთავაზოს...

ეს გრავიურა, სავარაუდოდ, გრიფიუსის ნაწარმოების შესავალის ილუსტრაცია უნდა იყოს. დრამატურგი აქ წერდა: „ჩემი მარად და მუდამ სასურველი ქეთევანი ამიერიდან ჩვენი საშობლოს სცენაზე გამოდის და თავისი სხეულითა თუ ტანჯვით თვალნათლივ გაძლევს ამ დროისთვის გამოუთქმელი სიმტკიცის გაუგონარ მაგალითს. სპარსეთის გვირგვინი, ძლევამოსილი და სახელგანთქმული

მეფის პატივ-დიდება, სიყმაწვილის სიახენი, ენით უთქმელი შვება-ლხენა, თავისუფლების დაფასება სიცოცხლეზე მეტად, საშინელი წამება, პართელთა ძალადობა, თვითონ სიკვდილზე უფრო ზარდამცემი სახე სიკვდილისა, დედოფალთან ერთად ტყვევნილ ქალთა ცრემლები, თავისი დაკარგული ტახტის, შვილისა და სამეფოს დარდი, — ყველა ეს განსაცდელი ერთად შებმია ამ ნახ მანდილოსანს, დასასრულ, მის ფერხით დაცემულან ძლეულნი“.

საბედნიეროდ, გრავიურის სახით შემორჩა სპექტაკლის სურათიც. ამ დროს სცენაზე მრავალი გვამი, სურათი, გვირგვინი, სკიპტრა, მახვილები ეყარა. სცენის თავზე ცა იხსნებოდა და დაბლა უფსკრულს ნათლის სვეტი ეფენებოდა. ზეციით ეშვებოდა მსახიობი, რომელიც მარადისობის ალეგორიას წარმოსახავდა და სცენაზე დამდგარი ამაღლეველი სიტყვებით მიმართავდა მაყურებელს:

„ესღა გშთენიათ მარად თქვენდა შვებად და ვნებად.

მშვიდობით, ველო, გლოვისაო!  
ტახტზე ებრუნდები.

გერმანიაში ნაპოვნი გრავიურა





ქეთევანის წამება. და გრასას მონასტერი ლისაბონში

მახლავს ძვირფასი დედოფალი,  
სვებედნიერი,  
მიწის ასული, ვინც დაღწა  
მიწის ხუნდები,  
ეწამა, იხსნა ეკლესია,  
ტახტი და ერი“.

ერთ-ერთი გრავიურა დედოფლის წამების სცენას გადმოსცემს. და გრასას ეკლესიის პანოს შემდეგ, ეს შირაზული გოლგოთის ამსახველი მეორე ისტორიული ილუსტრაციაა. პორტუგალიური პანოსაგან განსხვავებით, აქ ქართველი დედოფალი ბოძზეა ჩამოკიდებული

ქეთევანის წამება. და გრასას მონასტერი ლისაბონში



და მის სხეულს სპარსელი ჯალათები ასეთ მდგომარეობაში ასახიჩრებენ. ამ სცენის შემხედვარეს ძალაუნებურად ქეთევანის ვაჟის თეიმურაზ მეფის სიტყვები გახსენდება:

„მერმე გაუბეს ხელ-ფერხი,  
გაბაბეს განა მაჯები,  
გაზით დაგლიჯეს ტუპუნი,  
დადვეს მხურვალე საჯები,  
ბარები შუბლსა შემოსდვეს,  
ყველა ქნეს მათი აჯები,  
აღმა ახეთქეს კეფანი,  
ვა თქმითა აქ ვისაჯები“.

ამდენად, გერმანიაში მიკვლეული მასალა მეტად საინტერესო აღმოჩნდა. ეს არის არამართო მსოფლიო სცენოგრაფიის ერთ-ერთი ადრეული ნიმუშები, არამედ საქართველოსადმი მიძღვნილი უიშვიათესი და შეიძლება პირველი თეატრალური ესკიზები. იმავდროულად, რაც ყველაზე მთავარია, ისინი წარმოადგენენ უნიკალურ ისტორიულ დოკუმენტებს ქართველი დედოფლის ცხოვრებისა და მოწამებობრივი ღვაწლის შესახებ.

**გიორგი კალანდია**

**პროფესორი, ხელოვნების სასახლის დირექტორი**





სოხუმის სანაპირო

## ინტერვენცია — არარსებული აჯანყების მოწვევით

იმ დროს, როდესაც თბილისის მისადგომებთან ბრძოლები შეწყდა, ხოლო 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქში მე-11 წითელი არმიის ნაწილები შემოვიდნენ, ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, აფხაზეთში, ჯერ კიდევ გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა.

1920 წლის აპრილში აზერბაიჯანის, ხოლო იმავე წლის ნოემბერში სომხეთის გასაბჭოების, რეალურად კი საბჭოთა რუსეთის მიერ ამ რესპუბლიკების დაპყრობის შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობას ბოლშევიკური რუსეთი ვერ შეურიგდებოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო, 1921 წლის დასაწყისიდან, საქართველოს გასაბჭოებისთვის მზადებას აქტიურად შეუდგა. კავკასიის ფრონტის სარდლობამ შეიმუშავა სამხედრო ოპერაციის გეგმა, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო მე-11, მე-9 და თურგის წითელი არმიების სამხედრო ნაწილებს. ისინი სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ჩრდილოეთიდან — დარიალის ხეობითა და მამისონის უღელტეხილით, აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროთი უნდა შეჭრილიყვნენ საქართველოს ტერიტორიაზე. სამხედრო ოპერაცია უნდა შენიღბულიყო ადგილობრივი „მშრომელების აჯანყებით“ მენშევიკური ხელისუფლების

წინააღმდეგ და მათ მიერ დასახმარებლად წითელი არმიის მოწვევით.

### ფილიპე მასარაძის აღიარება

რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლის თანახმად, კომუნისტურ ორგანიზაციებს საქართველოში ლეგალური მუშაობის უფლება მიეცათ, მაგრამ მშრომელთა შეიარაღებული აჯანყების ინსპირირებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში კავკასიის ბიურო იმედებს ეროვნულ უმცირესობებზე ამყარებდა. 1921 წლის 2 იანვარს კავბიუროს წევრები სერგო ორჯონიკიძე და სერგეი კიროვი რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს სწერდნენ: „არ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს შიგნით მოხდება გადამწყვეტი აფეთქება... ჩვენი დახმარების გარეშე მისი გასაბჭოება შეუძლებელია. საქართველოს საქმეებში ამგვარი ჩარევის საბაბი არსებობს. ამისთვის არაა საჭირო გარედან ღია თავდასხმა. არის შესაძლებლობა დავიწყოთ მოძრაობა აფხაზეთში, ბორჩალოს მაზრაში“.



Первый состав Революционного комитета Абхазии:  
Е. А. Шуба (председатель), Н. А. Лакоба (заместитель) и  
И. И. Ашурбаза.

**ეფრემ ეშბა, ნესტორ ლაკობა, ნიკოლოზ აქირთავა**

1921 წლის იანვარში ბაქოში დამთავრდა მე-11 არმიის შედგენა, იანვრის დამლევსა და თებერვლის დასაწყისში აქტიური მზადება მიმდინარეობდა საქართველოსთან ომისთვის.

11-12 თებერვლის დამით გადაცემულმა წითელარმიელებმა „აჯანყების“ ინსცენირება მოაწყვეს ბორჩალოს მაზრის საზღვრისპირა, რუსი კოლონისტებით დასახლებულ სოფლებში. რეალურად, ეს იყო სომხეთში დაბანაკებული რუსეთის მე-11 არმიის ნაწილების თავდასხმა ბორჩალოს მაზრაში განლაგებულ საქართველოს ჯარის ნაწილებზე. კავბიუროს არც სხვა მიმართულება დაუტოვებია უყურადღებოდ. 13 თებერვალს მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი ალექსი საჯაია აფხაზეთის ავტონომიის საკანონმდებლო ორგანოს — სახალხო საბჭოს დამოუკიდებელთა ფრაქციის წევრის, მიხეილ



სერგო ორჯონიკიძე

ცაგურასადმი წერილში სახალხო საბჭოს სეპარატისტულად განწყობილ წევრებს მოუწოდებდა „...ვიმედოვნებ, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოს დამოუკიდებელთა ფრაქცია გაითვალისწინებს საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების უახლოეს მომავალში დამხობის ფაქტს და რევოლუციის დროშას აღმართავთ“. აფხაზეთის სახალხო საბჭოს ამ ფრაქციაში ბოლშევიკურად განწყობილი მიხეილ ცაგურა, თანე მარღანია, ალექსანდრე (ალიოშა) უბირია და სამსონ ჭანბა შედიოდნენ.

15 თებერვალს, მე-11 წითელი არმიის ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე აზერბაიჯანის მხრიდანაც შემოიჭრნენ. მიმდინარეობდა მზადება კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის უღელტეხილებიდან შესატრელადაც, რაც ზამთარში საკმაოდ რთული ამოცანა იყო. „აჯანყების“ დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 16 თებერვალს, შულავერში შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი (რეკომი) ფილიპე მახარაძის (თავმჯდომარე), შალვა ელიაშვილის, მამია ორახელაშვილისა და სხვათა შემადგენლობით. იმავე დღეს რეკომმა საბჭოთა რუსეთის მთავრობას დახმარება სთხოვა. მისი შექმნის მიზანიც სწორედ ეს იყო. მოგვიანებით, ფილიპე მახარაძე რკპ (ბ) ცკ-ს წერდა: „1921 წლის დამდეგს, ე.ი. საქართველოს გასაბჭოების მომენტში, აქ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობა უადრესად სავალალო იყო... და მოხდა ისე, რომ წითელი ჯარების შეტევა დაიწყო, ამ შეტევის მიზნებსა და განზრახვას საქართველოში არც ერთმა უჯრედმა კი არა, პარტიის არც ერთმა წევრმაც სრულიად არაფერი იცოდა... საქართველოს საზღვრებში წითელი ჯარების შესვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ გარედან დაპყრობის ხასიათი მიიღო, რადგან ამ ქვეყანაში ამ დროს აჯანყების დაწყება არც უფიქრია ვინმეს“.

**გამოგონებული აჯანყება**

საქართველოს რეკომის შექმნის მეორე დღეს, 17 თებერვალს, რკპ (ბ) კავბიუროს მითითებითა და რუსეთის მე-9 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს მხარდაჭერით, სოჭში აფხაზი ბოლშევიკების ეფრემ ეშბას (თავმჯდომარე), ნესტორ ლაკობასა და ნიკოლოზ აქირთავას შემადგენლობით აფხაზეთის რეკომი შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ იმ დროს ნიკოლოზ აქირთავა ბაქოში

იმყოფებოდა, ხოლო ეფრემ ეშბა და ნესტორ ლაკობა ოსმალეთში იყვნენ. ისინი, სამივენი ერთად ესწრებოდნენ აღმოსავლეთის ხალხთა პირველ ყრილობას ბაქოში, შემდეგ კი ეფრემ ეშბა და ნესტორ ლაკობა ოსმალეთში გაგზავნეს. როგორც მოგვიანებით ეფრემ ეშბა წერდა, „დიდად საპასუხისმგებლო დაჯალღების შესასრულებლად“. ამდენად, აფხაზეთის რევკომი სოჭში მათ დაუსწრებლად შექმნეს, თუმცა ამ დროს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში პარტიულ მუშაკთა დაუსწრებლად არჩევა უკვე აპრობირებული წესი იყო.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება მე-9 ყუბანის არმიას უნდა დაემყარებინა, რომლის ნაწილები განლაგებული იყო შავიზღვისპირეთისა და ყუბანის მხარეში. ეშბა და ლაკობა რადიოგრამით გამოიძახეს, ხოლო აქირთაევა სასწრაფოდ გაემგზავრა სოჭში, რადგან მე-9 წითელი არმიის ნაწილების თავმოყრა დამთავრებული იყო, ელოდნენ მხოლოდ კავკასიის ფრონტის სარდლობის ბრძანებას სამხედრო მოქმედებების დასაწყებად.

18 თებერვალს სოხუმში შეიქმნა აფხაზეთის არალეგალური რევოლუციური კომიტეტი, რომელსაც ქართველი ბოლშევიკი ისაკ ჟვანია ხელმძღვანელობდა. მასში შევიდნენ მიხეილ ცაგურია და ილია სვერდლოვი. მანრეზშიც შეიქმნა რევკომები. იმავე დღეებში კოდორის რევკომმა გაარკვია, რომ მის ხელთ მხოლოდ 88 შეიარაღებული კაცი იყო; მცირე რაოდენობის მებრძოლთა გამოყვანა შეეძლოთ ასევე სხვა სამაზრო რევკომებს, ამიტომ აფხაზეთის რევკომს წარმატების იმედი მხოლოდ წითელი არმიის მხარდაჭერის შემთხვევაში შეიძლებოდა ჰქონოდა.


ისაკ ჟვანიამ წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობის უშუალო ორგანიზატორს, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს წევრ სერგო ორჯონიკიძეს წერილით მიმართა, აფხაზეთში წითელი არმიის ნაწილები დაუყოვნებლოდ შეეყვანათ. იმავედროულად, ორჯონიკიძემ მიიღო სტალინის დეპეშა, რომელშიც ეს უკანასკნელი, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დაჯალღებით მას მითითებას აძლევდა: „არ დაივიწყოთ აფხაზები, რომლებიც აჯანყდნენ და მათ მახლობლად მე-9 არმია დგას“. თუმცა აფხაზეთში არანაირი აჯანყება არ ყოფილა.

სერგო ორჯონიკიძემაც კავკასიის ფრონტის სარდლობას უბრძანა, პარტიული ხელმ-

ძღვანელობის დაჯალღების შესრულებას დაუყოვნებლოდ შესდგომოდა. სარდალმა კლადიმირ გიტისმა შესაბამისი ბრძანება დაუგზავნა ჩრდილოეთ კავკასიასა და შავიზღვისპირეთში განლაგებულ წითელი არმიის ნაწილებს. 17 თებერვალს მე-9 არმიის სარდალმა ვ. ჩერნიშევმა ბრძანება გასცა გაგრა-სოხუმის მიმართულებით შეტევაზე გადასვლის შესახებ: „ჩემდამი რწმუნებული არმიის წინაშე დაისვა ამოცანა აფხაზეთში შეჭრისა და მისი მოსახლეობისთვის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში დახმარების შესახებ. საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგობა დაძლეულ უნდა იქნას ჩვენი იარაღის ძალით“. გვემის თანახმად, ყუბანის მე-9 არმიის 31-ე მსროლელ დივიზიას ნაბრძანები ჰქონდა ნოვოროსიისკი-სოხუმის გზატკეცილით წინსვლა და სწრაფი შეტევით გაგრის დაკავება, შემდეგ მდინარე ბზიფის გადალახვა, მის მიდამოებში გამაგრება და აფხაზეთის მთელი სანაპირო ზოლის დაკავება. დივიზიის მთავარ ძალებს უნდა დაეკავებინათ ზუკდიდი, ახალი სენაკი, ფოთი და მე-11 არმიის ნაწილებს შეერთებოდნენ.


მოგვიანებით, 1966 წელს, მე-9 არმიის 31 დივიზიის 271-ე პოლკის ყოფილი მებრძოლი ლევ დემინი მოგონებაში „1921 წლის ომი საქართველოსთან“, დაწერს:

„31 მსროლელი დივიზიის 271-ე პოლკი განთავსებული იყო ადლერში, შავი ზღვის სიახლოვეს. სამოქალაქო ომი დამთავრებული იყო... მაგრამ ჩვენ მზადყოფნაში უნდა ვყოფილიყავით: აქვე იყო სახლგარი საქარ-



ფილიპე მახარაძე

ფრანგული დრედნაუტი „აპოლდეკ რუსო“, რომელიც ქართულ ჯარებს საარტილერიო მხარდაჭერას უწევდა აფხაზეთში 1921 წელს



თველოსთან, რომელსაც სათავეში ედგნენ მენშევიკები... მე და ჩემი მეგობრები ახალგაზრდები ვიყავით, არ გვაშინებდა სიძნელეები, შიმშილი, ცუდი აღჭურვილობა... ულუფა მაშინ ძალიან „თხელი“ იყო: დღეში ფუნტი პური, ცოტა ხორბალი ან ოსპი, იშვიათად ხორცი, უფრო იშვიათად შაქარი ან წეკო. ჩვენ არასოდეს ვძლებოდით. გვეცვა საზაფხულო ფორმა, შინელის ნაცვლად ზოგს ჯუბა, ზოგს შინელის მაუდის ქურთუკი. ჩექმები მიუღწევლ ოცნებას წარმოადგენდა.

13 თებერვალს მთელმა პოლკმა ველიამინოვკაში მოიყარა თავი. გვეუბნებოდნენ, რომ საქართველოში მშვიდი ვითარება არ იყო, თუმცა რა ხდებოდა იქ, არავინ იცოდა. ჩვენ ვიდექით საქართველოს საზღვართან, რომლის ხელისუფლებამაც იყვნენ მენშევიკები ნოე ჟორდანიას მეთაურობით. გვეუბნებოდნენ, რომ ეს ნოე ჟორდანიას არის მუშების მტერი; რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა არის სრული ფიქცია და ქართველ ხალხს არ უნდა დამოუკიდებლობა, ჯიუტად მიიწევს მოძმე რუსი ხალხისკენ; რომ რუსი ხალხი ყოველთვის ეხმარებოდა ქართველ ხალხს.

ჩვენ ვიცოდით, რომ მენშევიკ ჯალათებს ეხმარებოდნენ ინგლისელები და ფრანგები. ბათუმის, სოხუმის, ფოთისა და გაგრის რეიდზე იდგა ფრანგული და ინგლისური ხომალდები. აჯანყებას მძიმე წუთები უდგა... ჩვენ ახლა გამოვალთ და წავალთ ქართულ

მიწაზე. მტერი გაგვიწევს წინააღმდეგობას, მაგრამ ჩვენ მას გავანადგურებთ, მოგვიწოდებდა მეთაური.

სოფელი ველიამინოვკა მდინარის გასწვრივ მდებარეობდა და ამიტომ მისი გადალახვა გვიწევდა, რათა საქართველოს ტერიტორიაზე შეესულიყავით. ამ ადგილზე საზღვარი საქართველოს მხრიდან თითქმის არ იყო დაცული. ქართული არმიის ძირითადი ძალები თავმოყრილი იყო პილენკოვოს რაიონში, რომელიც წარმოადგენდა ბეტონის ნაგებობებით გამაგრებულ კვანძს ძლიერი არტილერიით. ამ მმართველებით ადღერის მხრიდან შავი ზღვის გზატკეცილის გაყოლებით უნდა ემოქმედა 272-ე და 273-ე პოლკებს... მათ ამოცანას შეადგენდა გამაგრებული ხაზის გარღვევა პილენკოვოსთან და სწრაფი სვლა გაგრისკენ“.

### იერიში

19 თებერვალს ყუბანის მე-9 არმიის 31-ე დივიზიის ნაწილებმა ადღერიდან მდინარე ფსოუს მიმართულებით შეტევა დაიწყეს. ამ მიმართულებას საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-2 და მე-3 ათასეულები იცავდა გენერალ-მაიორ დავით ართმელიძის მეთაურობით. აღსანიშნავია, რომ ქართული ჯარის ნაწილებთან ერთად იბრძოდნენ დენიკინის არმიის კაზაკები, რომლებმაც სოხუმში პოვეს თავშესაფარი.

საქართველოს ჯარის ნაწილები მხოლოდ 1920 წლის დეკემბრის ბოლოს განლაგდნენ

მდინარე ფსოუს ნაპირზე, საქართველო-რუსეთის საზღვარზე, სადაც მდინარე მუხადირიდან გადაადგილდნენ რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების შესაბამისად. ამიტომ საზღვარი ძლიერი საინჟინრო ნაგებობებით გამაგრებული არ იყო. მდინარე ფსოუს მარცხენა ნაპირზე, პილენკოვოს რაიონში იყო ბეტონის ნაგებობებით გამაგრებული კვანძი არტილერიით, რომლის სახელწოდება იყო „საქართველოს ფარი“.

წითელი არმიის ნაწილებმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარი სოფელ ვესიოლოესთან გადმოლახეს. მდინარე ფსოუს ფორსირების შემდეგ 272-ე და 273-ე პოლკები სწრაფი შეტევით სოფელ პილენკოვოში (1948 წლიდან განთიადი) შეიჭრნენ. საქართველოს ჯარის ნაწილებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მტერს. საფრანგეთის ესკადრამ, ხუთმა სამხედრო ზომალდმა სართილერიო ცეცხლი გაუხსნა წითელი არმიის ნაწილებს ზღვის სანაპიროს გასწვრივ სოფელ ვესიოლოეს სამხრეთ-აღმოსავლეთით 4 კილომეტრის დაშორებით. საქართველოს ჯარის ნაწილებმა, მძიმე ბრძოლების შედეგად, მე-9 არმიის ნაწილები აიძულეს უკან დაეხიათ. საქართველოს ჯარის სარდლობამ პილენკოვოსთან 1 000 ჯარისკაცი გადმოისროლა და შემდეგი ბრძოლებისთვის მოემზადა.

მეორე დღეს, 20 თებერვალს, წითელი არმიის ნაწილები კვლავ გადმოვიდნენ შეტევაზე. საქართველოს რესპუბლიკის ჯარის ნაწილებმა მე-9 არმიის ჭარბი ძალების შემოტევას ვერ გაუძლეს. უთანასწორო ხელჩართული ბრძოლების შემდეგ მათ სოფელ პილენკოვოს აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლეები

დატოვეს და უკან დაიხიეს, თუმცა უბრძოლველად ერთ მტკაველ მიწასაც არ თმობდნენ. საქართველოს სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე შემდეგ წერდა: „მუხადირის ბრძოლებიც რუსთა არმიასთან მეტად სახელწოდანი ეპიზოდი იქნება ქართული მხედრობის მატრიანეში“.

იმ დროს, როცა პირველ ბრძოლაში დამარცხებული მე-9 არმიის ნაწილები პილენკოვოზე განმეორებითი შეტევისთვის ემზადებოდნენ, 20 თებერვალს, აფხაზეთის რეკომმა გამოაქვეყნა მიმართვა აფხაზი ხალხისადმი (და არა აფხაზეთის მოსახლეობისადმი), სადაც აჯანყებისკენ მოუწოდა. აქვე გამოთქმული იყო იმედი, რომ ამ განსაცდელის ჟამს საბჭოთა რუსეთი მათ მხარში ამოუდგებოდა. იმავე დღეს, მე-9 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრმა იან პოლუიანმა კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს სერგო ორჯონიკიძეს დეპეშა გაუგზავნა: „აფხაზეთის მშრომელი მასები აჯანყდნენ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. შეიქმნა რეკომი ეშბას, ლაკობას, აქირთავას შემადგენლობით. აჯანყებულები გვთხოვენ დახმარებას. რეკომმა გამოსცა მოწოდება აფხაზი ხალხისადმი“.

იმავე დღეებში აფხაზეთის რეკომმა დაადგინა გამოცემა თავისი ორგანო, რაც დაავალა „ცენტროპეჩატის“ სოჭის განყოფილებას, რომელსაც მაშინ კონსტანტინ კულრიაფცევი ხელმძღვანელობდა.

ლევ დემინი მოგონებაში აღნიშნავდა: „ჩვენ პოლკი მიემართებოდა მოწინააღმდეგის მთავარი ძალების შემოვლით გაგრისკენ. დავალება ასეთი იყო: მოგვეჭრა მისთვის უკან დასახევი

გულაუთა





დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი ოჯახთან ერთად

გზა, სხვა დაჯგუფებებთან ერთად გაგვენად-გურებინა პილენკოვოს დაჯგუფება და შემდეგ წავსულიყავით სოხუმისა და ფოთისკენ.

ვერ იტყვი, რომ ქართველი ჯარისკაცები ცუდად გამოიყურებოდნენ. ჩვენი ჭრელი ტანსაცმლისგან განსხვავებით, ქართველი ჯარისკაცების ფორმა ერთნაირი იყო: აქლემის ტყავის უღალი ქურთუკები ბრჭყვიალა დილე-ბით და მიწისფერი სამხრეებით; ინგლისური მაუდის მიწისფერი შარვალი და ტოლადები, ყვითელი წაღები, ყვითელი ნაბდის მრგვალი კოკარდიანი ქუდეები“.

22 თებერვალს წითელი არმიის ნაწილები დარიალის ხეობითაც შემოიჭრნენ საქართვე-

**ვარლამ შერვაშიძე (ზის ცენტრში)**



ლოს საზღვრებში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

იმავე დღეს წითელი არმიის ნაწილებმა თითქმის უბრძოლველად დაიკავეს გაგრა. გამოვიდა აფხაზეთის რეკომის ორგანოს, გაზეთ *Голос трудовой Абхазии*-ის პირველი ნომერი, რომლის რედაქტორი ნიკოლოზ აქირთავა იყო. 23 თებერვალს წითელი არმიის ნაწილებმა მდინარე ბზიფი გადმოლახეს. მძიმე ბრძოლების შემდეგ საქართველოს ჯარის ნაწილებმა გუდაუთის მიმართულებით დაიხიეს. საბრძოლო ხაზზე სასწრაფოდ აღიმართა სიმაგრეები. გადამწყვეტი ბრძოლის გამართვა განზრახული იყო ახალ ათონთან.

\*\*\*

23 თებერვალს აფხაზეთის ავტონომიის საკანონმდებლო ორგანომ — სახალხო საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელიც მტრის შესაჩერებლად საგანგებო ზომების გატარებას ითვალისწინებდა. თავდაცვის ორგანიზება აფხაზეთის კომისარიატის (მთავრობის) თავმჯდომარეს დიმიტრი (არზაყან) ემუხვარს დაევალა, რომელიც მხარის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა. მან გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც 35 წლის ასაკის ყველა მოქალაქე ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო წითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამდენად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიის მთავრობა ყველა ღონეს მიმართავდნენ საბჭოთა რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე 1919 წლის მაისიდან 1921 წლის მარტამდე იყო დიდი აფხაზი მამულიშვილი ვარლამ შერვაშიძე. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დარეგულირების საქმეში. აფხაზეთის კომისარიატის (მთავრობის) თავმჯდომარე იყო ასევე დიდი აფხაზი მამულიშვილი დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი. 1919 წლის თებერვალში ის ახალარჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე გახდა. მისი თავმჯდომარეობით, 1919 წლის 20 მარტს, სახალხო საბჭომ მიიღო „აქტი ავტონომიის შესახებ“, რომლის საფუძველზეც აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული გახდა. 1919 წლის მაისიდან ის

იყო აფხაზეთის კომისარიატის (მთავრობის) თავმჯდომარე. ვარლამ შერვაშიძე და დიმიტრი ემუხვარი იყვნენ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები და ხელი მოაწერეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტს.

## მარცხი

წითელი არმიის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე — კალდახვარაში, კოლხიდაში, ალახაშში, გაგრაში, — დაუყოვნებლივ იქმნებოდა რევკომები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს წარმოადგენდნენ. რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფების ხელშეწყობით ყალიბდებოდა შეიარაღებული რაზმები („კიარაზი“). ისინი წითელი არმიის ნაწილებთან ერთად იბრძოდნენ საქართველოს საჯარისო ნაწილების წინააღმდეგ.

25 თებერვალს მე-11 არმიის ნაწილებმა თბილისი დაიკავეს და საქართველოს დედაქალაქში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. იმავე 25 თებერვალს, საღამოს, 31-ე დივიზიის (მეთაური პაშკოუსკი) ნაწილები სოფელ ლიხნში შევიდნენ და შავი ზღვის სანაპიროზე გამაგრებულ სამთავრობო ჯარის ნაწილებს ცეცხლი გაუხსნეს. ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ უპირატესობა წითელი არმიის მხარეს იყო. ამიტომ საქართველოს ჯარის ნაწილებმა ვერ გაუძლეს მათ შემოტევას, იძულებული გახდნენ, გუდაუთა დაეტოვებინათ და ახალი ათონისკენ დაეხიათ. 26 თებერვალს

274-ე პოლკი გუდაუთაში შევიდა. გუდაუთისკენ მოიწვედნენ 272-ე და 271-ე პოლკებიც. იმავე დღეს სერგო ორჯონიკიძემ დეპეშა გაუგზავნა აფხაზეთის რევკომის წევრ ნიკოლოზ აქირთავას, სადაც მოითხოვდა დაუყოვნებლივ ეცნობებინა, რამდენად წარმატებით მიდიოდა საქმე, ჰქონდა თუ არა კავშირი გუდაუთისა და კოდორის უბნებთან... ურჩევდა, ემოქმედათ ძალიან ფრთხილად და, საერთოდ, მისთვის დაწვრილებითი ინფორმაცია მიწოდებინათ. სერგო ორჯონიკიძე ცდილობდა, გაემხნევებინა ნიკოლოზ აქირთავა და აღნიშნავდა: „წითელი არმია თავის თავს უღალატებდა, რომ არ მოსულიყო აფხაზეთის აჯანყებული მუშებისა და გლეხების დასახმარებლად“.

საქართველოს ჯარის ნაწილებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს ახალი ათონის გამაგრება. თავდაცვითი ზღუდეების ხაზი შეიქმნა შავი ზღვის სანაპიროდან სოფელ ანუხვამდე. ამ უბანზე მნიშვნელოვანი ძალების თავმოყრა მოხერხდა: ჯარისკაცების რაოდენობა 2 ათასს აღწევდა, დაჯგუფებას გააჩნდა 25 ტყვიამფრქვევი და 2 ქვემეხი.

27 თებერვალს თურგის წითელი არმიის 33-ე დივიზიის 98-ე ბრიგადის 292-ე პოლკმა თან ზოლატარიოვის მეთაურობით, მამისონის უღელტეხილი გადმოლახა. საქართველოს გარშემო ყულფი სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა.

1-ელ მარტს წითელი არმია ახალი ათონის პოზიციებს მიუახლოვდა, 2 მარტს კი შეტევაზე გადავიდა. რუსებმა სოფელ ანუხვადან თავდაც-





1921 წელი.  
5 მარტი.  
სოხუმი.  
საპროტესტო  
მიტინგი  
აფხაზეთის  
რევოლუციის  
შენობის წინ.  
გასაბჭოების  
მეორე დღე

ვითი ზღუდის მარჯვენა ფლანგის შემოვლა სცადეს, მაგრამ მეღვარი წინააღმდეგობის გამო ვერ მოახერხეს. 3 მარტისთვის 31-ე დივიზიის სარდლობამ ამ მიდამოებში დამატებით საჯარისო ნაწილები გადმოისროლა და ჭარბ ძალებს მოუყარა თავი. როგორც რაოდენობრივად, ასევე ტექნიკის მხრივაც, უპირატესობა წითელი არმიის მხარეს იყო. ამიტომ საარტილერიო ცეცხლის გახსნის შემდეგ ისინი მთელი ფრონტით შეტევაზე გადმოვიდნენ. მოწინააღმდეგე კვლავ სცადა თავდაცვითი ზღუდის მარჯვენა ფლანგის შემოვლა, რაც ამჯერად მოახერხა კიდევ. საფრანგეთის სამმა კრეისერმა სანაპირო ზოლი კვლავ დაბომბა, მაგრამ ამას წითელი არმიის შეჩერება არ შეეძლო. მე-9 არმიის ნაწილებმა ახალი ათონის თავდაცვითი ხაზი გაარღვიეს, მდინარე გუმისთაზე გვიდნენ და პოზიციები სოხუმის მისადგომებთან დაიკავეს.

ლევ დემინი მოგონებაში წერდა: „და აი, ჩვენ წინ იშლება სანაპიროს პანორამა. ჩვენგან მცირედით მარჯვნივ, მთებიდან ჩანს ქალაქი, სანაპიროს ვიწრო ზოლში გაჭიმული. ყველაფერი ხელისგულივით ჩანს: სახლები, ქუჩები, გამზირები. შორს რეიდზე ორთქლმავლები იბოლქვებიან. მათი შემხედვარე მიხვდები, რომ სამხედრო ხომალდებია. შუგ ზღვაში ჩვენი ფლოტი არაა. ქართველებს ფლოტი არ ჰყავთ, ესე იგი ეს გემები ინტერვენტების — ინგლისელებისა და ფრანგებისაა. დასახლების ცენტრში ჩვენ დავინახეთ ავტომობილი, რომელთანაც იდგა დივიზიის მეთაური, თას-

მაზე ჩამოკიდებული ჭოგრიტით. მან ხელი ასწია, დასავლეთისკენ გაიშვირა და დაიყვირა: ჩქარა, ჩქარა ბიჭებო! გონს მოსვლა არ აცალოთ! წინ, სოხუმისკენ!“

ახალ ათონთან დამარცხებამ დიდად იმოქმედა საქართველოს ჯარზე, რომელიც იძულებული გახდა სოხუმისკენ დაეხია. ამ ბრძოლებში სხვა აფხაზ მამულიშვილებთან ერთად გმირულად დაიღუპა პოლკოვნიკი ვალერიან ტარასის ძე ანჩაბაძე. ქართველ თანამომხმეებთან ერთად მტერს გმირულად მისი სამი ძმა ვარლამი, ვლადიმერი და ნიკოლოზიც ებრძოდა.

საქართველოს ჯარის ნაწილები უკვე ამკარად ვერ უმკლავდებოდნენ მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებს, რომელიც ახალ-ახალ შევსებას იღებდა. ახალი ათონის გამაგრებული ხაზის გარღვევის შემდეგ წითელი არმიის ნაწილებს ებრძანა, სასწრაფოდ წასულიყვნენ მდინარე კოდორისკენ, სადაც საქართველოს რესპუბლიკის ჯარის თავდაცვითი ზღუდეების პირველი ხაზი მთავრდებოდა.

### ოზი ძალაჯგარემი

ისაკ ფვანია შემდეგ იგონებდა, რომ 3 მარტს ნაშუადღევს გაიგო ახალ ათონთან საქართველოს ჯარის თავდაცვითი ხაზის გარღვევის შესახებ. 4 მარტს, გამთენიისას, ისაკ ფვანია და მისი თანმხლები 5 შეიარაღებული კაცი სოფელ იაშთხვიდან, სადაც თავს აფარებდნენ, სოხუმისკენ დაემხვნენ. გზადაგზა მათ



შეიარაღებული გლეხები ემატებოდნენ. როდესაც სოხუმს მიუახლოვდნენ, რაზმში უკვე 45 შეიარაღებული გლეხი იყო. გარიჟრაჟზე, ეს მცირერიცხოვანი შეიარაღებული რაზმი ისაკ ჟვანიას ხელმძღვანელობით სოხუმში შევიდა. საქართველოს ჯარის ნაწილები, ხელისუფლების ორგანოები, მოსახლეობა ქალაქს ტოვებდა. აფხაზეთის რევკომმა ისაკ ჟვანიას ხელმძღვანელობით, ბოლშევიკი პატიმრები ციხიდან გაათავისუფლა, დაიკავა სამთავრობო დაწესებულებები, სტამბა და გამოსცა რევკომის ბრძანება №1 აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ.

დღის 10 საათისთვის სოხუმში, ძველი სიმაგრის ნანგრევების მხრიდან, წითელი არმიის ნაწილები შემოვიდნენ გაგრულ და გუდაუთელ „კიარაზის“ რაზმებთან ერთად, რომელთაც სოჭში შექმნილი აფხაზეთის რევკომის წევრი ნიკოლოზ აქირთავა მოუძღოდათ.

საქართველოს ჯარის ნაწილებმა უბრძოლველად დათმეს სოხუმი. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ქალაქებში არ უწევდნენ წინააღმდეგობას მტერს, მსხვერპლისა და ნგრევის თავიდან აცილების მიზნით. ამიტომაც დათმეს უბრძოლველად გაგრა, გუდაუთა და სოხუმი.

5 მარტს საქართველოს ჯარის ნაწილები კოდორის მარცხენა ნაპირზე გადავიდნენ და ხიდი ააფეთქეს. მე-9 არმიის ნაწილები კოდორის ხაზზე გავიდნენ. იმავე დღეს სერგო ორჯონიკიძე აფხაზეთში მიმდინარე ამბების შესახებ პარტიის ხელმძღვანელობას დეპეშით აუწყებდა: „სოხუმის ოლქში საომარი მოქმედებები ჩვეული წარმატებით მიმდინარეობს. წითელი არმია შავი ზღვისპირეთში წინ

მიიწევს. უბრძოლველად იქნა დაკავებული სოხუმი. ამჟამად გადალახულია მდინარე კოდორი. წითელი არმიის ნაწილები მდინარე ენგურს უახლოვდებიან“.

იმავედროულად, 6 მარტს, სოხუმში ჩამოვიდნენ ეფრემ ეშბა და ნესტორ ლაკობა. იმავე დღეს მოიწვიეს აფხაზეთის რევკომის სხდომა, რომელშიც მე-9 არმიის წარმომადგენლები და ადგილობრივი ბოლშევიკები მონაწილეობდნენ. სხდომაზე აირჩიეს აფხაზეთის ახალი რევკომი ეფრემ ეშბას (თავმჯდომარე), ნესტორ ლაკობასა და ნიკოლოზ აქირთავას შემადგენლობით, მდივნად აირჩიეს იაკობ სვერდლოვი.

მე-9 წითელი არმიის ნაწილები კვლავ განაგრძობდნენ შეტევას. 7 მარტს პირველმა საკავალერიო პოლკმა უბრძოლველად დაიკავა ოჩამჩირე, ხოლო 8 მარტს ენგურის მარჯვენა ნაპირს მიაღწა. ამდენად, მე-9 წითელი არმიის ნაწილებმა აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად დაიკავეს. 9 მარტს ისინი ზუგდიდში შევიდნენ. საქართველოს ჯარის ნაწილები მტრის წინსვლის შეჩერებას ვერ ახერხებდნენ და ახალსენაკის მიმართულებით იხევდნენ. 10 მარტს აფხაზეთის რევკომმა საქართველოს რევკომს აუწყა სახელოვანი წითელი არმიის დახმარებით აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ. დეპეშა მთავრდებოდა მოწოდებით: „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა აფხაზეთის ძმურ კავშირს!“

ასე განხორციელდა აფხაზეთის ოკუპაცია მე-9 ყუბანის არმიის მიერ, რასაც ამ მხარეში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება და საოკუპაციო რეჟიმის დამყარება მოჰყვა.

**პაშან სორაპა**

**ისტორიის დოქტორი**

საბჭოთა  
ჯარების  
აღლუმი  
თბილისში  
(1921 წ.)





# პეპრა იბერიის სახელის საიდუმლო

ბირ ელ-ქუტი. მიხაილ კოროლის ფოტო

## ...და ბირ ელ-ქუტის ქართული სახანა

გასული საუკუნის 40-50-იან წლებში წმინდა მიწის სიძველეთა ცნობილმა მკვლევარმა და არქეოლოგმა, პროფესორმა ვირჯილიო კანიო კორბომ ბირ ელ-ქუტად წოდებულ ადგილას უცნობი ქართული მონასტრის ნანგრევები აღმოაჩინა. ამ ადგილიდან ქალაქ ბეთლემამდე სულ რაღაც ორიოდე კილომეტრია, რის გამოც აღნიშნულ ძეგლს ჩვენში ზოგჯერ ბეთლემის ქართული მონასტრის სახელით მოიხსენიებენ. თუმცა, ბირ ელ-ქუტი (ვარიანტები: ბირ ელ-ყუტ, ბირ ელ-ქუთ, ბირ ელ-ქატი, ბირ ელ-ქიტი) დღეს უკვე ისრაელის დედაქალაქის თანამედროვე გარეუბნის — არ ხომას საზღვრებშია მოქცეული. მანძილი იერუსალიმის ისტორიული ცენტრიდან ამ არქეოლოგიურ უბნამდე 7 კილომეტრს არ აღემატება.

ვირჯილიო კორბოს გათხრებმა ქართული ნამონასტრალის ადგილას ერთბაშად ოთხი უძველესი წარწერის ნაშთი გამოავლინა: ერთი — სრული, მეორე — თავნაკლული, მესამე — ბოლონაკლული და მეოთხე — მხოლოდ მცირე ფრაგმენტის სახით. ამ ოთხი წარწერიდან სამი ქართული აღმოჩნდა. მათი ამოკითხვა და მეცნიერულად შესწავლა იმჟამად ვატიკანში მოღვაწე ქართველ სწავლულს — მიქელ თარხნიშვილს მიანდეს. ოდნავ მოგვიანებით ეს წარწერები სპეციალური კვლევის საგნად აქცია აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა და ზოგიერთმა სხვა მეცნიერმაც, რომელთა დასკვნები ერთმანეთს ძირითადად დაემთხვა; თუმცა, გამოჰყოფდნენ ნიუანსობრივ სხვაობებსაც.

### ბირ ელ-ქუტი: მარუანის წარწერა

ყველა მკვლევარი გრძნობდა, რომ ამ წარწერებზე ბევრად იყო დამოკიდებული თვით მონასტრის ისტორიული ქრონოლოგიის დადგენა და მასთან დაკავშირებული ისტორიულ-კულტურული ასპექტების გამორკვევა. ადგილზე მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით ვირჯილიო კორბომ განათხარი ძეგლი VI საუკუნით დაათარიდა, მისი განადგურება კი არაბთა ბატონობის დასაწყისისთვის (VII-VIII სს.) ივარაუდა. სხვასთან ერთად, მის ამ დასკვნაზე ერთგვარი გავლენა იქონია ადგილზე ნაპოვნ ერთ-ერთ წარწერაში აბა ანტონის სახელის გამოჩენამაც, რაც მონასტრის VI საუკუნეში

არსებობის ფაქტს უეჭველს ხდიდა. აბა ან-ტონი იყო სვიმეონ მესვეტის (სტილიტის) თანამედროვე, რომელიც იხსენიება სვიმეონის დედის, მართას „ცხოვრებაში“.

აღმოჩენილ წარწერათაგან ყველა თავისებურად საინტერესო გამოდგა, ერთ-ერთ მათგანს კი სპეციალისტთა წრეში გამორჩეული ყურადღება ხვდა წილად. საყოველთაო აზრით, მასში თვითონ პეტრე იბერია მოხსენიებული. ასომთავრული შრიფტით შესრულებულ ამ მოზაიკურ წარწერას კორბომ მონასტრის ღია ცისქვეშა ეზოს მომიჯნავე დერეფნის (კოლონადის) დასასრულს მიაგნო. წარწერა ხუთი პწკარისგან შედგებოდა, რომელთაგან სრულყოფილად გადარჩენილი იყო მხოლოდ პირველი, ოდნავ დაზიანებული სახით — მეორე და მლიერ დაზიანებული — მესამე; მეოთხე პწკარისგან მხოლოდ ერთი ასო-ნიშანიღა იყო შემორჩენილი, ხოლო მეხუთე მთლიანად წარ-ხოცილი აღმოჩნდა. წარწერის გადარჩენილ პწკარებზე კი იკითხებოდა შემდეგი ტექსტი: „წმიდაო თეოდორე, მარუან და ბურუნ[...] ენ ამი[...] ე[...]“.

წარწერაში ნახსენებ პირთა სახელები მეცნიერებმა კვლევის საწყის ეტაპზე პეტრე იბერიისა და მისი მამის საერო სახელებს — ბუზმარიოსსა და მურვანოსს დაუკავშირეს (მოგვიანებით ასეთი იდენტიფიკაციისადმი ზოგიერთმა მკვლევარმა უნდობლობა გამოხატა. — ბ. ხ.). პეტრე იბერიის „ცხოვრების“ ქართულ რედაქციაში საერო სახელი პეტრე წარმოდგენილია „მურვანოსის“, მისი მამისა კი — „ვარაზ-ბაკურის“ ფორმით. ეს რედაქცია გვიანდელია (XIII ს.) და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მასში ჩვენთვის საინტერესო პირთა სახელები დამახინჯებულად არის მოცემული. პეტრეს „ცხოვრების“ ასურულ რედაქციაში (VI ს.) ამ მხრივ სულ სხვა სურათი გვაქვს. აქ პეტრესა და მამამისის სახელებად „ნაბარ-ნუგიოს“-ი და „ბუზმარიოს“-ია მოცემული (ამ სახელებს, როგორც ფიქრობენ, ასურულ რედაქციაში „ცხოვრების“ ბერძნული დედნიდან გადმოყოლილი აქვს ბერძნულივე ბოლოსართი „-ოს“).

ამ წარწერის აღმოჩენის შემდეგ მეცნიერთა ნაწილმა დაასკვნა, რომ პეტრეს მამის (აგრეთვე პაპის) სახელის სრული ფორმა „ბურუნენ-მიპრ“ უნდა ყოფილიყო. წარწერაში ამ სახელის მხოლოდ პირველი ნაწილი „ბურუნ“ (<ბურუნენ)-ია გადარჩენილი, მომ-


დენო ასოები კი წაშლილია. ეს ბოლონაკლული სახელი მეორე პწკარის ბოლოდან იწყება და მესამეზე გრძელდება. ნაკლული ადგილის ზედა ორი პწკარის შესაბამის ფართობთან შედარება გვარწმუნებს, რომ წარწერაში „ბურუნ“-ის შემდეგ სამი ან ოთხი ასო-ნიშანი მაინც უნდა გვაკლდეს. გულისხმობდა რა ამ სახელის ქვეშ პეტრე იბერიის მამას — ბუზ-მირს, აღნიშნულ ხარვეზს გიორგი წერეთელი ავსებდა სიტყვით „მირ/მიპრ“.

ამის შემდეგ „ენ“-ის წინ დამატებით კიდევ გვრჩება ადგილი ერთი ასო-ნიშნისთვის, რომელიც დიდი ალბათობით „მ“-ინის სახით აღდგება ტექსტში და მომდენო ორ ნიშანთან ერთად ჰქმნის წმინდა თეოდორეს მიმართ სავედრებელი სიტყვის — „მეიწყალენ“, ტრაფარეტულ ქარაგმას: „შენ“. მას თავის მხრივ მოსდევს ახალი სიტყვის საწყისი ბგერები: „ამი...“. მიუხედავად იმისა, რომ მომდენო პწკარის დასაწყისი წაშლილია, იქ პირველ ნიშნად უეჭველად უნდა გვექონოდა „ს“ და ამრიგად აღდგება სიტყვა „ამის“ (გიორგი წერეთლის ვარიანტი).

## ნაბარნუზი თუ მარუანი

მარუან და მურვან(-ოს) სახელთა იდენტიობის შესახებ აზრი იმთავითვე გაჩნდა მეცნიერთა წრეში. ჩამოყალიბდა აზრი, რომ ეს პეტრე იბერიის საერო სახელი იყო. მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით მაინც რჩებოდა ეჭვის საფუძველი და მოგვიანებით ზოგიერთმა მკვლევარმა (აკაკი გაწერელია, ანრი ბოგ-

პროფესორი ვირჯილიო კორბო





▲ პეტრე იბერი. ჯვრის მონასტრის ფრესკა. მალხაზ ხურცილაყას ფოტოები

▼ იოანე ლაზი. ჯვრის მონასტრის ფრესკა

ვერაძე...) ის კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. საქმე ის არის, რომ როგორც უკვე აღინიშნა, პეტრე იბერის „ცხოვრების“ ასურულ რედაქციაში პეტრეს საერო სახელი განსხვავებულად არის წარმოდგენილი; იოანე რუფუსი ტექსტში მას ყველგან „ნაბარნუგოს“-ად მოიხსენიებს. ცხადია, პეტრეს დამოწავებულმა მწერალმა მშვენივრად იცოდა, რა ერქვა მას შემონახვებამდე. ამ უხერხული წინააღმდეგობის დასაძლევად ზოგიერთმა მეცნიერმა ივარაუდა, რომ სახელი „ნაბარნუგი“ გაჩნდა „ცხოვრების“ ბერძნული ტექსტის ასურულად თარგმნისას — თავდაპირველი „მარუან“ (მურვან)-ის დამახინჯების გზით. მაგრამ, ჯერ ერთი, იოანე რუფუსის თხზულებაში პეტრე „ნაბარნუგის“ სახელით არაერთგზის არის ნახსენები და მეორეც, ამ სახელს ადეკვატური ახსნა ეძებნება სპარსული ენის საფუძველზე: ეს გახლავთ ორწევრიანი კომპოზიტი „მოდემის/გვარის შთამომავლის“ ან „წინაპრის/პაპის მოდემისას“ მნიშვნელობით.

პეტრეს პიროვნებასთან წარწერაში ნახსენები მარუანის დაკავშირებას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ მისით შესაძლებელი ხდება როგორც თვითონ წარწერის, ისე წმინდა თეოდორეს მონასტრის ქრონოლოგიის გამორკვევაც. თავის დროზე სწორედ ამ გზით განისაზღვრა წარწერის შექმნის საგარაუდო დრო. მეცნიერთა ერთი ნაწილის მსჯელობის ლოგიკა ასეთი გახლდათ: თუკი წარწერაში პეტრე იბერი იხსენიება საერო სახელით, ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ თვითონ წარწერა გაკეთებულია მანამდე, სანამ პეტრე მონაზვნის სამოსელს მოირგებდა და საერო სახელს საეკლესიო სახელით შეიცვლიდა. თვითონ პეტრეს „ცხოვრების“ ცნობებზე დაყრდნობით ასეთ დროდ დასახელდა V საუკუნის 30-40-იანი წლები. შესაბამისად, მეცნიერებმა ის ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ქართულ წარწერად მიიჩნიეს. თუმცა, აღნიშნულის გვერდით, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოჩნდა განსხვავებული პოზიციაც. კერძოდ, ზოგიერთმა მკვლევარმა საფუძვლიანი ეჭვი გამოთქვა, რომ პეტრე მოცემული დროისთვის უკვე სასულიერო პირი იყო და შესაბამისად, მონასტრის წარწერაშიც მას საერო სახელით ვერ მოიხსენიებდნენ. საბოლოოდ მაინც პირველ თვალსაზრისზე მდგომ მეცნიერთა (მიქელ თარხნიშვილი, გიორგი წერეთელი, შალვა ნუსტუბიძე...) ავტორიტეტმა

გადაწონა და მათი დებულებების რევიზიის მცდელობას, ფაქტობრივად, არსებითი შედეგი არ მოჰყოლია: წარწერის შექმნის თარიღად დღემდე ყველგან 433 წელს უთითებენ, ხოლო მასში ნახსენებ „მარუან“-ს მუდმივად პეტრე იბერიის ერისკაცობის დროინდელ სახელად მიიჩნევენ.

**„შენ ხარ კლდე...“**


სახელი „მარუან“ ქართულ სახელთა ნუსხაში არ გვხვდება. ის ასევე არ ჩანს სპარსულში, ბერძნულსა თუ ლათინურშიც; არ გვხვდება არც არამეულ-სირიულსა თუ ებრაულში. სამაგიეროდ, როგორც მამაკაცის სახელი, ის ძველი დროიდან დღემდე გავრცელებულია არაბულში „მარუან“ ან „მარვან“ ფორმით. საყურადღებოა, რომ ამ არაბული სახელის ძირი „მარუ/მარე“ ნიშნავს მაგარ ქვას (კვარცხ), კლდეს და გადატანითი მნიშვნელობით, მყარ საფუძველსაც. X-XI საუკუნეების ცნობილი ხორეზმელი მოაზროვნის, ალ-ბირუნის შედგენილ მინერალოგიურ ტრაქტატში იგივე ტერმინი, „თეთრი ქვის“ ეპითეტიც, კაჟის არაბულ შესატყვისად არის დასახელებული. უთუოდ ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ეს სახელი ძველი, ისლამამდელი არაბული ლექსიკის წრიდანაა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბერძნულად „პეტროს/პეტრე“ ნიშნავს ქვას ან კლდეს, ბირ ელ-ქუტის წარწერის „მარუან“-ის შემთხვევაში საქმე უნდა გვექონდეს მეფისწულ

ნაბარნუგის საეკლესიო სახელის („პეტრე“) ძველ არაბულ შესატყვისთან (ამ საკითხზე უფრო ვრცლად მსჯელობას დაინტერესებული მკითხველი სულ მალე იხილავს ჩვენს სამეცნიერო წერილში — „ბირ ელ-ქუტის წარწერების ქრონოლოგიისათვის“. — ბ. ხ.).

პეტრე იბერიის „ცხოვრების“ ასურული რედაქციის საწყის ნაწილში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ნაბარნუგს შემონახვებისას „ამ სახელის ნაცვლად უწოდეს პეტრე — პირველი მოციქულის სახელი“, რასაც ტექსტში მოსდევს ცნობილი ციტატა მოციქულ მათეს სახარებიდან: „შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი...“ / მათე 16, 18-19/.

როგორც მათეს სახარების, ასევე იოანეს სახარების /იოანე 1, 142/ არამეულ-ასურულ თარგმანში, ბერძნულ სიტყვას „პეტროს/პეტრე“ (კლდე, ქვა) შეესატყვისება ტერმინი „ეფა(ს)“ და ისინი ტოლოფარდი ტერმინებია. რაც შეეხება წმინდა წერილის არაბულ თარგმანს, სპეციალისტთა აზრით, ჩვენამდე მოღწეული მისი არც ერთი ვერსია ისლამამდელი არ არის. ამის გამო ვერ ვაღგენთ, რომელი არაბული სიტყვით აღნიშნავენ იმ დროს მთარგმნელები კლდეს/ქვას, თუნდაც ზეპირსიტყვიერად. წმინდა წერილის კანონიკური არაბული ტექსტი მხოლოდ XIII საუკუნეში ჩამოყალიბდა კოპტურის საფუძველზე და იქ ჩვენთვის საინტერესო კონტექსტში კლდის მნიშვნელობით ნახმარია ტერმინი „სახრა“,

*მარუან-პეტრეს წარწერა ბირ ელ-ქუტის ქართული ნამონასტრალიდან (ამჟამად დაკარგულია)*





მოზაიკის ფრაგმენტი ბირ ელ-ქუტიდან

მოციქულ პეტრეს კი „ბუტროს“-ი ეწოდება. ჩვენთვის უცნობია, ბირ ელ-ქუტის წარწერის ავტორმა პეტრე იბერის „ცხოვრების“ ასურული რედაქციის გავლენით დაიმოწმა იბერიელი მეფისწულის საეკლესიო სახელი „პეტრე“ არაბული შესატყვისით „მარუან“, თუ ეს უფრო ზეპირსიტყვიერი წყაროს გავლენას უნდა მივაწეროთ. მაგრამ წარწერის მარუანში რომ სწორედ პეტრე იბერია ნაგულისხმევი და არა სხვა ვინმე, ამაში უკვე პეტრეს „ცხოვრების“ ქართული რედაქცია გვარწმუნებს, რომლის ავტორს (ან ტექსტის მთარგმნელს თუ რედაქტორს), როგორც ჩანს, ოდნავ სახეცვლილი იგივე არაბული ტერმინი (მურვან-ოს-მარვან/მარუან) შეცდომით პე-

ვალენტინიანუს II-ის მონეტა (383-388 წწ.) აღმოჩენილია ბირ ელ-ქუტში



ტრეს საერო სახელად მიუჩნევია. სახელების „მურვან(ოს)“ და „მარუან“ იგივეობა კი არანაირ ეჭვს არ იწვევს. შეგვიძლია გავიხსენოთ თუნდაც ომაიანთა უკანასკნელი ხალიფას (მანამდე არაბთა ჯარის მხედართმთავრის) მარვან იბნ მუჰამედის ქართულ ისტორიულ წყაროებში მურვანის (მურვან „ერუ“) სახით დამოწმება. პეტრე იბერის საეკლესიო სახელის არაბული შესატყვისით წარმოდგენა „ცხოვრების“ ასურულ რედაქციაში რომ დაფიქსირებულიყო, ამის ახსნა ადვილად შეიძლებოდა თხზულების დედნის ავტორის — იოანე რუფუსის (ბეთ-რუფინის) არაბული წარმომავლობით. მაგრამ, ის მხოლოდ ქართულ რედაქციაში გვხვდება. ასურული რედაქციისგან განსხვავებით, აქ არაფერია ნათქვამი, თუ რატომ დაანათლეს იბერიელ ყმაწვილს სახელად პეტრე. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომ „ცხოვრების“ ქართული რედაქციის ავტორად მიჩნეული ზაქარია ქართველი ფიქტიური პირია და ეს რედაქცია სინამდვილეში იოანე რუფუსის თხზულების მნიშვნელოვნად გადაკეთებულ ვარიანტს წარმოადგენს.

**პეტრე და კალესტინელი არაბები**

პეტრე იბერის „ცხოვრებიდან“ ისე ჩანს, რომ მის მიერ დაარსებულ მონასტრებში, ქართველებთან ერთად, სხვა ეროვნების ბერებიც იმყოფებოდნენ. მრავლად იყვნენ ასეთები პეტრეს მიმდევრებს შორისაც. პეტრე იბერის წმინდა მიწაზე გამოჩენამდე (425 წ.) იერუსალიმთან ახლოს დამკვიდრდა ქრისტიანობაზე ახლად მოქცეული არაბი ბედუინების ერთ-ერთი ტომი, რომელსაც პატრიარქმა იუბენალმა სპეციალურად დაუნიშნა „ბანაკის ეპისკოპოსად“ (Episkopos Parembolon) წოდებული წინამძღოლი. იოანე რუფუსის მონათხრობით, კონსტანტინოპოლიდან უჩუქრად გაპარული ნაბარუნგი, იერუსალიმში მისვლამდე, არაბებით დასახლებულ ნაბატეას სწევდა. მოგვიანებით, ზანდაზმულობისას ის ამ მხარეს მეორედაც ესტუმრა. პეტრეს „ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ იქაურ მკვიდრთა შორის ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მასვე, როგორც ირკვევა, 465-483 წლებში არაერთი ეკლესია-მონასტერი დაუფუძნებია ღაზას, კესარიისა თუ იერუსალიმის ახლომახლო სოფლებში, ვიდრე „არაბეთის ქვეყნამდე“.



ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ პეტრეს, სხვებთან ერთად, ქრისტიანობის აღმსარებელ არაბებთანაც ჰქონია შეხება.

პეტრეს საერო სახელთან დაკავშირებით ბირ ელ-ქუტის წარწერისა და პეტრეს „ცხოვრების“ ქართული რედაქციის თანხვედრას, როგორც ჩანს, საერთო წყარო ჰქონდა, თუმცა კი ისინი ერთმანეთზე დამოკიდებული არ უნდა ყოფილიყო. პეტრეს „ცხოვრების“ არც ერთ რედაქციას ჩვენამდე დედნის სახით არ მოუღწევია. იოანე რუფუსმა თავისი თხზულება ბერძნულად დაწერა და ჩვენ მის ტექსტს მხოლოდ ასურული თარგმანით ვიცნობთ. ქართული რედაქციის დედანი კი, თუ მაკარი მესხის ანდერძს ვენდობით, ზაქარია ქართველს „ასურებრითა ენითა აღწერა“. წარმოშობით არაბმა იოანე რუფუსმა საწყისი განათლება ბეირუთში მიიღო, რის შემდეგაც ის დიდხანს მოღვაწეობდა სირიის ანტიოქიაში (მისი სახელი ბეით-რუფინი ანტიოქიის ერთ-ერთი მონასტრის სახელს იმეორებს. — ბ. ხ.). სირიული მესობოტამიის დასავლეთით მდებარე ოლქებში მრავლად იყვნენ მონოფიზიტობის მიმდევარი არაბები. სირიის ქალაქები ანტიოქია და ედესა (ურჰა) კი მოცემულ პერიოდში ლამის მონოფიზიტთა ბანაკად იყო

*წმ. თეოდორეს მონასტრის მთავარი ტაძრის ნაშთი ბირ ელ-ქუტში*



*ბერების ძვალშესალაგები*

*მონასტრის ნეკროპოლის ნარჩენები*





მონასტრის სამეურნეო დანიშნულების შენობების ნანგრევები

ქცეული. მონოფიზიტი და ნესტორიანი არაბების მწერლობისა და ლიტურგიის ენას იმ დროს ასურული (სირიული) წარმოადგენდა. ფილოლოგებს არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ არაბები და სირიელები ერთმანეთთან ცოცხალ ურთიერთობაში ე.წ. ასურულ (სირიულ)-არაბულ კონინეს იყენებდნენ. ამდენად, მათუსა და იოანეს სახარებების ზემოთ აღნიშნულ ეპიზოდებში ტერმინ „პეტრე“-ს (ქვა, კლდე) სირიელი თუკი მის ენაზე „კეფა“-დ (ქვა, კლდე) თარგმნიდა, ცხადია, არაბსაც შეეძლო მსგავსად გადმოეღო ის მშობლიური ენის ლექსიკით. ბირ ელ-ქუტის წარწერაში პეტრეს სახელის არაბული სინონიმით დამოწმების ფაქტიც იმავე სირიულ-არაბული კონინეს მომხმარებელ წრეს უნდა უკავშირდებოდეს. ამ კონტექსტში საინტერესოდ მოჩანს იაკობ სპარსის არაბულ სვინაქსარში პეტრე იბერის ურჰაელად (ანუ ედესელად) მოხსენიების ფაქტიც.

**იხსენიება თუ არა ბირ ელ-ქუტის საჰანე ამტრე იბერის „ცხოვრებაში“**

წარსულში მარუანის წარწერის V საუკუნის 30-40-იანი წლებით დათარიღებას, როგორც აღვნიშნეთ, საფუძვლად „მა-

რუან-მურვანოსის“ პეტრე იბერის საერო სახელად მიჩნევა დაედო. მიუხედავად იმისა, რომ პეტრეს ბიოგრაფიულ ქრონოლოგიაზე მკვლევართა წარმოდგენები არაერთგვაროვანია, მეტ-ნაკლებად მაინც ცნობილია მისი სასულიერო პირად ტრანსფორმირების დრო. ნაბარნუგი მონაზვნის კაბით დაახლოებით 438 წლის გაზაფხულზე შეიმოსა. ჩვენთვის საინტერესო წარწერაც ამაზე უწინ ვერ შეიქმნებოდა, რადგან მასში, როგორც ვნახეთ, ქართველი მეფისწული უკვე საეკლესიო სახელით (მარუან//პეტრე) არის ნახსენები. წარწერაში „შეიწყალენ“-სიტყვის აღდგენის შემდეგ სავსებით ნათელი ხდება ისიც, რომ პეტრეს მამა ამ წარწერის გაკეთების მომენტში ცოცხალი იყო — წინააღმდეგ შემთხვევაში, მას გარდაცვლილისთვის შესაფერისი ფორმით მოიხსენიებდნენ. ამასთანავე გვაქვს იოანე რუფუსის ცნობა, რომ 444 წლისთვის პეტრეს დედა ბაკურდუხტი უკვე დაქვრივებული იყო. შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესო წარწერის შექმნის დროც 438-444 წლებს შორის უნდა ვიგულოთ.

ამ თარიღის კიდევ უფრო დაზუსტებაში გვეხმარება პეტრეს „ცხოვრების“ რედაქციებში მოცემული ზოგიერთი სხვა ცნობაც. კერძოდ, იოანე რუფუსის მონათხრობით,



დედოფალ ვედოკიას იერუსალიმში მისვლისას (443 წ.) პეტრე იოანე ლაზთან ერთად უკვე დავითის კოშკთან მის მიერვე აგებულ „იბერთა მონასტერში“ იმყოფებოდა. მანამდე კი, მეუღლანოე ზენონის რჩევით, ისინი იერუსალიმთან ახლოს მდებარე რომელიღაც წმინდა მონასტერში მოსაგრობდნენ. „ცხოვრების“ ორივე რედაქციიდან ჩანს, რომ ამ ანონიმურად ნახსენები მონასტრის დაარსებასთან პეტრეს კავშირი არ ჰქონია; ის მის იქ მისვლამდეც მოქმედებდა და მდებარეობდა თუმცა კი იერუსალიმის ფარგლებს გარეთ, მაგრამ მაინც მის მახლობლად. კიდევ უფრო ადრე, პეტრეს იერუსალიმში პილიგრიმთათვის სასტუმრო სახლი გაუმართავს, ხოლო იერუსალიმში პირველად გამოჩენისთანავე მელანია რომაელის მონასტრის ბინადარი შექმნილა. ამ მონაცემების გათვალისწინებით, ჩვენთვის საინტერესო წარწერის შექმნის დრო იგულება 438-442 წლებს შორის.

ბირ ელ-ქუტის მოცემული წარწერის აღნიშნული დროით დათარიღების შემთხვევაში ლოგიკურად ჩნდება შემდეგი კითხვები: მოესწრებოდა კი ასე მოკლე ვადაში პეტრე იბერის მიერ ერთბაშად ორი მონასტრის — ქალაქ იერუსალიმში „იბერთა მონასტრის“, ხოლო მის შემოგარენში, ბირ ელ-ქუტის ადგილას წმინდა თეოდორეს მონასტრის აშენება? ამასთან, დანამდვილებით არის ცნობილი, რომ პეტრეს მიერ წმინდა მიწაზე დაარსებული პირველი საგანე იყო სწორედ დავითის კოშკთან მდებარე „იბერთა მონასტერი“. მის მიერ ბირ ელ-ქუტის ადგილას წმინდა თეოდორეს მონასტრის აშენების შესახებ კი ინფორმაცია არც მის „ცხოვრებაში“ და არც რომელიმე სხვა წყაროში არ გვხვდება. მეცნიერთა ნაწილი იმასაც ვარაუდობდა, რომ პეტრე იბერი ამ უკანასკნელის არა აღმშენებელი, არამედ მხოლოდ განმახლებელი (ან გამამშვენებელი) იყო. ეს კი ლოგიკურად გულისხმობს ბირ ელ-ქუტში სამონასტრო კერის არსებობის ფაქტს უკვე მანამდე, ანუ პეტრე იბერის პალესტინაში გამოჩენამდე. ვირჯილიო კორბოს მიერ ადგილზე გამოვლენილი ზოგიერთი არტეფაქტის (მაგალითად, იმპერატორ ვალენტიანიანუს II-ის დროინდელი მონეტა, ბაკურის წარწერა და სხვ.) მიხედვით, ეს უნდა ყოფილიყო პეტრეს სახელოვანი პაპის — იმჟამად რომაული პალესტინის დუქსის თანამდებობაზე

მყოფი ბაკურ იბერიელისგან IV საუკუნის ბოლოს აგებული მონასტერი. პეტრე იბერის „ცხოვრებაში“ იერუსალიმის მახლობლად მდებარედ და ანონიმურად ნახსენები მონასტრის შემთხვევაშიც სწორედ ბირ ელ-ქუტის ქართული საგანე უნდა იგულისხმებოდეს.

პეტრე იბერის საერო და საეკლესიო სახელების ურთიერთგამიჯვნა ბირ ელ-ქუტის (წმ. თეოდორეს) ქართული მონასტრის ისტორიის კორექტირების აუცილებლობის წინაშეც გვაყენებს. აშკარა ხდება, რომ ადგილზე აღმოჩენილი წარწერები ბიზანტიური პერიოდის სხვადასხვა ქრონოლოგიურ მონაკვეთს მიეკუთვნება.

სამწუხაროდ, ჩვენთვის საინტერესო წარწერა აღმოჩენის შემდეგ გაუჩინარდა და მისი ასავალ-დასავალი დღემდე უცნობია...

### პაპის ხსოვნისათვის

#### სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

პეტრე იბერის პაპის, ბაკურ იბერიელის წარწერა (IV ს.)



# საქართველო და რუსეთის იმპერია 30-ტომიანი თანამედროვე სერია – საქართველოს ახალი მატინა

რუსეთის ჯარის შემოსვლა  
თბილისში. 26 ნოემბერი, 1799 წ.  
მხატვარი ფრანც რუბო. 1886 წ.




„ისტორია, რომელიც თაობებს აერთიანებს!“ — ეს სიტყვები ლაიტმოტივად გასდევს ბოლო პერიოდში ჩვენს მკითხველთა ერთ-ერთ რჩეულ მრავალტომეულს, რომლის ბოლო, 30-ე წიგნსაც ამჯერად გთავაზობთ. მკითხველს შევახსენებთ, რომ საქართველოს ისტორიის ეს ვიზუალური რეკონსტრუქცია ათასწლეულების განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარე მთავარ მოვლენებს, მნიშვნელოვან ფაქტებს, ოდესღაც რეალურად მომხდარ ამბებს ცალკეულ წიგნებად ყოფს და ერთ დიდ, მთავარ სერიად აერთიანებს. ეს წიგნები განკუთვნილია ყველა ასაკის მკითხველისთვის, ოჯახის ყველა წევრისთვის...

„ილუსტრირებული ისტორიისთვის“, ხელწერითა და სტილით ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მხატვრების მიერ, დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, შეიქმნა თითოეული ეპოქის საბრძოლო, საერო და საეკლესიო კოსტიუმები, რუკები და სხვ. ყოველი აღწერილი ამბავი, ეპიზოდი, დეტალი, სამუზეუმო ექსპონატი, ფოტო და ფრესკა დოკუმენტურ სიზუსტეს სძენს წარმოდგენილ მასალას. სერიისთვის სპეციალურად შედგა სამუზეუმო ექსპონატთა ნუსხა, რომლებიც მოგვაწოდეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ხელოვნების სასახლის (თეატრის,

მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი), ეროვნული არქივის, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივებიდან. წიგნების ამ სერიის შექმნაში ჩართული იყო მეცნიერების, მხატვრების, ფილოლოგებისა თუ ტექნიკურ მუშაკთა დიდი გუნდი.

სერია მოიცავს განსხვავებულ თემებს, რომლებიც ერთმანეთს ებმის და ქმნის საქართველოს მატინეს. ყოველი ტომი ამ მატინის ფურცელია, ისინი ერთმანეთს ავსებს და თითოეული მათგანი უნიკალურობით არის გამორჩეული. ამგვარი შეფასება მიესადაგება


ბოლო, 30-ე ტომსაც, რომლის შესავალშიც ვკითხულობთ: „ოსმალთა და სპარსის დამპყრობლებისგან შევიწროებული ქართული სამეფოები ცდილობდნენ, ძლიერი მოკავშირე ეპოვათ და მისი დახმარებით გათავისუფლებულიყვნენ მოზღვაებული აგრესიისგან. ასეთ მოკავშირედ ქართველმა მეფეებმა რუსეთის იმპერია მიიჩნიეს. რუსეთთან სარწმუნოებრივი ერთობა იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც განაპირობებდა ქართველი მეფეების რუსულ ორიენტაციას. საუკუნეების განმავლობაში მუსლიმი დამპყრობლებით შევიწროებული საქართველო შევლას ერთმორწმუნე რუსეთში ხედავდა. რუსეთი ქრისტიანული მრწამსის ქვეყნების დაცვას თავისი დამპყრობლური გეგმების შესანიღბავად იყენებდა. საიმპერატორო ხელისუფლება ცდილობდა, არ დაეშვა ქართული სამეფოების გაერთიანება და გაძლიერება. რუსული დიპლომატია ქართველ მეფეებს რუსეთთან დაახლოებისკენ და მის მფარველობაში შესვლისკენ უბიძგებდა. რუსეთმა საქართველოს ანექსია 1801 წლიდან დაიწყო. იმპერიამ გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა, შემოიღო რუსული ადმინისტრაცია და სიტყვა „საქართველოს“ ხსენებაც კი აკრძალა. რუსულმა ხელისუფლებამ საქართველოს ტერიტორიები ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყო, სამეფო დინასტიის წევრები რუსეთში



**ისტორიკოსი ფანე ჯავახიშვილი (1876-1940)**  
 ფანე ჯავახიშვილი: „რუსეთი საქართველოს ისე უყურებდა, როგორც კარგ იარაღს, რომელიც საჭიროებისამებრ შეიძლებოდა მშენებრად გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ... რუსეთის მთავრობისათვის საზოგადოდ საქართველოს გაძლიერება სრულებითაც საჭირო არ იყო. საქართველო ისეთ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, რომ რუსეთის დაუხმარებლად მას თავისი თავის დაცვა არ შესძლებოდა და მუდამ მზობილად რუსეთის შემავედრებელი ყოფილიყო... ყოველთვის ასე იყო ხოლმე, რომ რუსეთის დახმარებას, დასაწყისში, გარეგნულად, საქვეყნოდ, დიდი სახელი და რიზი ჰქონდა, შემდეგ კი, მუდამ საშინელი და დამღუპველი იყო ჩვენი პატარა, მტრებით გარშემორტყმული ქვეყნისა და ერისთვის“.

იმულებით გადასახლა, გააუქმა საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალია და ის რუსეთის ეკლესიას შეუერთა. საქართველოში თავისი ბატონობის განსამტკიცებლად დაიწყო საზღვრისპირა რეგიონებში არაქართველი მოსახლეობის ჩასახლება,

საქართველოს შესვლა რუსეთის იმპერიაში. კარტოგრაფი მანანა შეყილაძე





ქართლ-კახეთის  
უკანასკნელი  
დედოფალი  
მარიაში  
(1768-1850)  
კლავს რუს  
გენერალ-მაიორს  
ფან ლაზარევს.  
მხატვარი  
მაია ქაჯაია

აკაკი წერეთელი (1840-1915)  
ნაწევები აკაკი წერეთლის ლექსიდან  
დამეხსენი, ჩრდილოელი!  
რა მაქვს შენთან საზიარო?  
თვით ოხერო, მოუვლელი,  
როგორ ვინდა მოშიარო?  
ბუნებისგან დაჩაგრული  
განა შესძლებ მგობრობას?  
მოშხამული, ცფი გული  
სხვას რას გასწევს, თუ არ მტრობას.



ხოლო მუსლიმანი ქართველები აიძულეს, დაეტოვებინათ იქაურობა. რუსეთის იმპერია საქართველოში საზოგადოების გარუსების პოლიტიკას ახორციელებდა. იმპერიული ხელისუფლება ქართული ენის დევნით, საქართველოს წარსულის დამცრობითა და საზოგადოებაში ნიჰილიზმის გაბატონებით ცდილობდა ქართული ერის ასიმილაციასა და რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად ქცევას“.

**შორენა მურუსიძე**, ისტორიკოსი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ტომის ავტორი: „წიგნში „საქართველო და რუსეთის იმპერია“ მოთხრობილია საქართველოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობების შესახებ, დასახელებულია მიზეზები, რამაც განაპირობა ქართველი მეფეებისა და რუსეთის მოკავშირეობა და რუსეთის იმპერიის გაბატონება კავკასიაში. ისტორიული ფაქტების გადმოცემით ნაჩვენებია, XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში განხორციელებული რუსიფიკატორული პოლიტიკის მიზნები და შედეგები.

ამ პროექტში ეს ჩემი მესამე წიგნია (შორენა მურუსიძის ავტორობით უკვე გამოიცა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“ და „საბჭოთა ტერორი“. — რედ.). ჩემთვის, როგორც ისტორიკოსისთვის, ამ პროექტში მონაწილეობა, საინტერესოსთან ერთად, საპასუხისმგებლოც იყო. ის სიახლეს წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ ნარატივის გარდა, საქართველოს ისტორია მოთხრობილია ილუსტრაციების გამოყენებით. ყოველი ტომი ავტორის, მხატვრების, კარტოგრაფისა და საგამომცემლო ჯგუფის ერთობლივი შრომის შედეგად არის შექმნილი. ჩემთვის სასიამოვნო და ნაყოფიერი იყო მათთან ერთად ამ პროექტზე მუშაობა. იმასაც დაეძინა, რომ თუ აღნიშნული პროექტი გაგრძელდება, ასევე სიამოვნებით ვიმუშაებდი მის შემოქმედებით კოლექტივთან ერთად“.

წარმოდგენილ წიგნზე მუშაობდა გამომცემლობა „პალიტრა L-ის“ შემოქმედებითი ჯგუფი: პროექტის ხელმძღვანელი, პროფესორი ჯაბა სამუშია; რედაქტორი — ლადო იოსებაძე; მხატვრები — მაია ქაჯაია და ლევან სილაგაძე; რუკების ავტორი — მანანა შეყილაძე; პროექტის მენეჯერი — ნესტან მაღალაშვილი; მხატვარ-დიზაინერი რატი



*ილია ჭავჭავაძე (1837-1907)*

*ნაწვევტი ილია ჭავჭავაძის ლექსიდან „ქართველის დედა“ მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა, რაც უწყალის დროთ ხელით დანთქმულა; მოიკლათ წარსულ დროებზე დარდი... ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოლობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...*

თორღია; პასუხისმგებელი რედაქტორი ნატალია ახვლედიანი; კორექტორები — ნატალია ჩიმაკაძე და ცისანა ბურჯანაძე; დამკაბადონებელი ლევან ლაცაბიძე.

**„ისტორიანი“**



*აჯანყებული ქართველები ებრძვიან ბოლშევიკებს. მხატვარი ლევან სილაგაძე*



## ვარნაქიები ბაბრატოვან ხელმწიფებითა სამსასურში

საქართველოს ისტორიამ შემოგვინახა იმ მამულიშვილთა სახელები, რომლებიც ღირსეულად ემსახურებოდნენ სამშობლოს და მისთვის სიცოცხლესაც არ იშურებდნენ. მათგან მათიანეში უფრო მეტად შემოგვრჩა თავდადებული მეფე-მთაფრებისა და წარჩინებულ საგვარეულოთა წარმომადგენლების ვინაობა. ქართველ წარჩინებულთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ვარნაქეთა საგვარეულოს. ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტიის მეფობის პერიოდში მათ საყოველთაო პატივისცემა და აღიარება დაიმსახურეს.

ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ჩამოთვლილ კახეთის 13 სათავადო გვარს შორის მერვე ადგილას დასახელებულია ვარნაქეთა საგვარეულო, რომელიც, ავტორის განმარტებით, იყო ქართულ საგვარეულოთა შორის ერთ-ერთი „უწარჩინებულესი და შემძლებელი“.

იმავ თხზულების ამაზნე მიწერილი ცნობის თანახმად, XI საუკუნის მეორე ნახევარსა და XII საუკუნის დასაწყისში მოღვაწე არსენ იყალთოელი „იყო გვარად ვარნაქე იბადის ძე, კაცი ბრძენი და მეცნიერი და ელინურისა ენისა ზედმიწევნლი. აქუნდა შკოლა იყალთოს მონასტერსა და იყო მოძღვარი სამეცნიეროსა დავით აღმაშენებლისა მეფისა, უკეთუ გნებავს, დიდის სჯულის კანონის ბოლოს შესხმად მისწერს თავის მოწაფეს

დავით აღმაშენებელს, რომლისა თავი ესრეთ არს: „ამათდა მომართ რასა იტყვი, რასა სიბრძნის მოყვარებ“. ამ ცნობას მიწერილი აქვს: „რეკტორი დავით“.

აქვე უნდა ითქვას, რომ მკვლევართა ნაწილი არსენ იყალთოელს მაყაშვილად მიიჩნევს.

იოანე ბატონიშვილის თხზულებაში „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ ჩამოთვლილ კახეთის 24 სათავადო გვარს შორის ვარნაქეები დასახელებული არიან მოწინავე, მეზუსთუ ადგილას.

მათი წარმომავლობის შესახებ იოანე წერს: „ესენი ძველად იყვნენ სომეხთავე მეფეთა დროსანი, არტავაზის შვილებად მოხსენიებულნი მამიკუნიანთა გვართა, რომელნიცა პირველ იყვნენ მოსრულნი კიტაიის მხრიდგან ვანსა


შინა და სპასპეტნიცა სომეხთა მხედრობისა წელსა ქრისტეს აქეთ 286-სა, ხოლო შემდგომად ამისა გარდმოვიდა კახეთსა შინა ამა ვაჩას შთამომავალი ვარდან მამიკონიანი და დაეშენა ხორნაბუჯს შინა, რომელსა ქროდების აწ ჭოეთი და ამით მიუბოძა მეფემან სუმბატ კახეთსა შინა ადგილნი, რომელსა ქროდების აწ საჯანადო და არიან მუნიდგან ვაჩნაძედ წოდებულნი. ხოლო მეორეცა გვარი მიიღეს ბებურისა გამო, რომელიც იყო ვაჩნაძე ბებურ — ჩინებული ვაჟი-კაცი. ამის გამო, აწ უწოდებენ ბებურის შვილებადაცა. ვაჩნაძეები ესენი არიან მამულით სახელებითაც სხვა გვარად წოდებულნი, ესე იგი, ასათის შვილებად და აგათოშვილებად და ონანას შვილებად, ხოლო პირველნი არიან ამათ შორის მოსახლენი: 1) ბებურის შვილები. 2) ყაპას შვილები. 3) გიორგის შვილები. 4) აიდეშურის შვილები. 5) თამარის შვილები და 6) ომანის შვილები. ესენი სახლობენ კარდენახს. ხოლო აგათოშვილები — ბაკურციხეს და ონანაშვილები — კოლაგს. თუმცა ონანაშვილები იყვნენ პირველ სომეხთა გვარნი, გარნა მეფემან ერეკლე პირველმან შუამდგომლობითა განჯის ბეგლარბეგის ქალბაღაის ხანისა თხოვნითა უბოძა ვაჩნაძეობა წელსა ქრისტეს აქეთ 1695-სა და მამული ამოწყვეტილი ვაჩნაძისა და გვარიცა მისსივე და ესრეთვე მეფემან თეიმურაზმანცა და მეორემან ირაკლიმანცა მიიღეს რიცხვთა შინა თავად ვაჩნაძედ და აწ არიან მოსახლედ ლუარსაბის შვილებად წოდებულნი“.

ჩვენთვის უცნობია, რომელ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით მოგვაწოდა იოანე ბატონიშვილმა ვაჩნაძეთა გვარის წარმომავლობის ზემოთ მოყვანილი ვერსია. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ არაერთი ქართველი ფეოდალი საკუთარი გვარის ფუძემდებლად უცხოეთიდან მოსულ წარჩინებულს აცხადებდა.

აღსანიშნავია, რომ მკვლევართა ნაწილის აზრით, მამიკონიანები წარმოშობით ჭანები (ანუ ლაზები) იყვნენ.

საისტორიო წყაროებში ვაჩნაძენი XIV საუკუნიდან იხსენიებიან. იმხანად ისინი ერთ-ერთ მძლავრ ფეოდალურ საგვარეულოს წარმოადგენდნენ.

„გარიგება ხელმწიფის კარისას“ XVI პუნქტში („ვეზირობა“) ვკითხულობთ: „მეჭურჭლეთა-უხუცესი ძველი ვეზირი არის საბატო. და ვინ ამას იტყვის: მსახურთ-უხუცესი მანაველი რუსუდან მეფეს შეუყვანია სავაზიროსა და ვაჩნაძე შეუყვანია. აწე მსახურთ-უხუცესი




არსენ  
ივალთოელის  
პორტრეტი.  
მხატვარი  
ლალო  
გუდიაშვილი

მეჭურჭლეთ-უხუცესისა გვერდით ზის ვეზირობასა ზედან“.

ვაჩნაძეთა სათავადოს — საჯანადოს ყოფილ ტერიტორიაზე მდებარეობს VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე აგებული ყველაწმინდის მონასტერი, რომელიც ძველი ეკლესიის ნაფუძარზე აუშენებიათ. ეს ძველი განეკუთვნება ქართული ხუროთმოძღვრების გარდამავალი ხანის უმნიშვნელოვანეს და მაღალმხატვრულ ძეგლთა რიცხვს.

1455 წელს გიორგი VIII-მ თავის თანაშემზრდილ მეღვინეთუხუცესს ასათ ვაჩნაძეს განუახლა მისი მკვიდრი ყმა-მამულის წყალობა და გაუჩინა სისხლის ფასი — 800 ათასი ძველი კირმანეული თეთრი. ამ სასისხლო სიგელში ჩამოთვლილია ასათის საკუთრებაში მყოფი მამულები, რომლებიც მდებარეობდა სოფლებში: ვეჯინში, კარდანეხში (ამჟამად — კარდენახი), ბაკურციხეში, კოლაგში, კალაურში, კარდანუცში, ჩალამოტში, კეჭაში და ასევე ყმები თავიანთი მამულებით. ასათს



თავად ვაჩნაძეთა  
საგვარეულო  
გერბის ერთ-ერთი  
ვარიანტი



ველაწმინდა — VIII-IX საუკუნეებში აგებული ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია

პყლია ვაჟი — შალვა, ძმისწულები: სულა, ივანე და სიაომ, ბიძაშვილი — დავითი.

XV-XVIII საუკუნეებში ქართლისა და კახეთის მეფეთა მიერ გაცემულ საბუთებში ვაჩნაძენი ხშირად იხსენიებიან. მაგალითად, ერეკლე II-ის სიგელებში მოხსენიებული არიან: ასლანი, აიდემური, იოსები, მღვდელმონაზონი ილარიონი, ყორიასაულბაში ლუარსაბი, მისი ბიძაშვილი ზაქარია და სხვ.

ვაჩნაძეთა საგვარეულოს ცალკეული წარმომადგენლები საისტორიო წყაროებში ზოგჯერ იხსენიებოდნენ ბებურიშვილებად, ონანაშვილებად, აგათოშვილებად, რის შესახებაც იოანე ბატონიშვილიც მიუთითებდა. კერძოდ, ბებურიშვილებად იხსენიებოდნენ ბებურ ვაჩნაძის შთამომავლები: ადამი, აიდემური, ალდემური, ასლანი, ბებური, გარსევანი, გიორგი, გრიგოლი, ზაქარია, თამაზი, იოანე, ნინია, ომანი, პაპა, სიმონი, სოლომონი, ქაიხოსრო და სხვ. ონანაშვილებად იხსენიებოდნენ ონანას შთამომავლები: ონანა, თამაზი, ზურაბი, გიორგი, ნიკოლოზი, დემეტრე, გურგენი, მამუკა, ასლანი, ზაქარია, ლუარსაბი, ფარსადანი და სხვ. აგათოშვილებად იხსენიებოდნენ აგათოს შთამომავლები: ბეჟანი, ბერუკა, გიორგი, დავითი, დათუნა, სპანდიერი, ზალი და სხვ.

1579 წელს ალექსანდრე II-ის მიერ სვეტიცხოვლისთვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულობის განახლების წიგნში მოწმეთა შორის დასახელებულნი არიან ვაჩნაძენი — მისი დამწერი, წინამძღარი იოსები და გიორგი.

1588-1589 წლებში კახეთიდან რუსეთში გაგზავნილ ელჩობას ყაფლან ვაჩნაძე მეტაურობდა. რუსთხელმწიფე თევდორე ივანეს ძემ ქართველ დიპლომატებს განუცხადა, რომ მან შეიწყნარა ალექსანდრე II-ის თხოვნა მფარველობაში მიღების შესახებ და მათთან ერთად კახეთში გაგზავნიდა თავის ელჩობას წყალობის სიგელითურთ.

1605 წელს საკუთარი მამისა და ძმის მკვლელ კონსტანტინეს მისმა აღმზრდელმა შაჰ-აბას I-მა უბოძა მეფობა და ჯარი კახთა დასამორჩილებლად. ამან კახნი განარისხა და შურისძიებისთვის განაწყო. მათ თავიანთი დაქვრივებული დედოფლის — ქეთევანის (მომავალში წამებულის) ერთგულება შეინარჩუნეს და კონსტანტინეს მოკვლა დაგეგმეს.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ანონიმური საისტორიო თხზულება — „პარიზის ქრონიკა“ მოგვითხრობს: „მოვიდა კოსტანტილე დიდის ლაშქრითა; გადმა ალაზნის პირსა დადგა, ზემო მინდორს, მაკაბლისას... წყნარა-წყნარა ჩამოდგნენ კახნი. მაგრა იდგნენ... კახთ სიახლოეს რომ გამოვიდა, იცნეს კოსტანტილე, ბევრჯელ ენახათ კახთ თავდათა. წარვიდნენ, თავი გამოიმეტეს, შეუტყვეს, შეუტყვეს სამთ კეთილ ცხენოსანთა — ჯანდიარიშვილი დავით, ვაჩნაძე თამაზ, ძმა მისი ბებურ, ჰკრეს შუბი, ჩამოაგდეს ცხენი-დამ, ძალიან დასცეს მიწასა. სულიერიდა იყო, იცნა ის კაცნი და შეეხვეწა: „ნუ მამკლავთ, დაგრჩომივართო, თქვენს ხელთ ვარო“. სხვას



მრავალს წყალობას უქადაგებდა, მაგრამ ყური არ მიუგდეს და ჰკრეს თავსა, ორად გაუპეს და მოჰკვეთეს თავი და მიართვეს დედოფალსა ქეთევანს. მაშინ გამარჯვებულთ ჯარმა კახთამან თათრის ლაშქართ უკან გაუდგინენ, მრავალი დახოცეს და დაიჭირეს და ნაშოვარი საქონელი მრავალი იშოვნეს. და კოსტანტილეს მოკლვის ანბავი შაჰ-აბაზ-ყაენს მოუვიდა და ეწვინა. ასე ბძანა: „ხელიც შერჩებაო, მამის მკვლელს უარეს უნდა დაემართოსო“.

„შაჰნამეს“ ქართული ვერსიების ერთ-ერთი ციკლის, „უთრუთიან-საამიანის“ გამლექსავი პოეტი ბარძიმ ვაჩნაძე XVII საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა. ის ზუსტად მისდევს ქართულ პროზაულ ტექსტს, მისი ლექსი საკმაოდ გამართულია და შოთა რუსთაველის ზეგავლენაც საგრძნობია. თხზულება ლევან II დადიანის კარზე დაიწერა.

1648 წელს მეფე როსტომმა დავით ავათოშვილს უწყალობა „გაღმამხარს“ სოფელი ჯანაანი. დავითს ჰყოლია ვაჟები — ბეჟანი, გიორგი და როსტომი.

1648-1683 წლების საბუთებიდან ირკვევა, რომ ბეჟან დავითის ძე ავათოშვილს ჰყოლია ვაჟი დათუნა და ძმა სპანდიერი. ბეჟანს მეფენი სწყალობდნენ. კერძოდ, ვახტანგ V-მ მას უბოძა კარდენახში ამოვარდნილი (ანუ უძეოდ სპარსეთის სამეფო კარი სეფიანთა დინასტიის ზეობისას. შაჰ-აბაზ I ფიალით ხელში (მარჯვენა ზედა კუთხეში)

გადაგებული) დავით ვაჩნაძის ყმა-მამულის ნაწილი, ჩალაუბანსა და ბაკურციხეში — დავით გომპარიშვილის მამული, ხოლო არჩილ II-მ მას უწყალობა ამოწყვეტილი ელიზბარ ვაჩნაძის ყმა-მამული.

1651 წელს როსტომ მეფემ დავით გომპარის ძე ვაჩნაძის ასული მიათხოვა ავალ ავალიშვილს, რომელსაც დავითის ანდერძის თანახმად, მისი მამულიც უბოძა.

1659 წელს ვახტანგ V-მ, რომელიც ერთხანს კახეთსაც ფლობდა, ხსენებული დავით გომპარის ძის კუთვნილი ყმა-მამულიდან შვიდი კომლი გლეხი და ჩალაუბანსა და ბაკურციხეში მდებარე ნაოხრის ნახევარი მამული უწყალობა ძმებს ბეჟან და გიორგი ავათოშვილებს.

1654 წელს ერთ-ერთ ვაჩნაძეს სამამულე დაჟა ჰქონდა კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე II-სთან სოფლების ბუშეთისა და ვანთის თაობაზე.

1662-1692 წლებით დათარიღებულ საბუთებში მოხსენიებული არიან რამაზ ვაჩნაძე, მისი ბიძა — მოურავი თამაზ ვაჩნაძე და რამაზის ძენი: ბებური, უზებარ /უძებარ, ქაიხოსრო, ბებურის ძენი: ზურაბი, დურმიშხანი, გიორგი და ოთარი.

1662 წელს უფლისწულმა ერეკლემ (მო-





კახეთის მეფე ალექსანდრე II

მავალში ერეკლე I) ხსენებულ რამაზ ვაჩნაძეს უბოძა ბიძამისის, თამაზ მოურავის ნაქონი მამული გავაზში.

1678-1688 წლებში გიორგი XI-მ ნაცვალ ბერუკა ავათოშვილს უბოძა პირობა წყალობისა, იმ შემთხვევაში, თუ ქართლის ეს მეფე კახეთს შეიერთებდა.

არჩილ II-მ ელიზბარ ვაჩნაძის (ამოვარდნილის) ნაქონი მამული უბოძა ბეჟან და გიორგი ავათოშვილებს, ხოლო მისივე მამულში მცხოვრებთაგან თითო კომლი უბოძა ედიშა ვაჩნაძეს და თავად აფხაზს (წარმოშობით — ანჩაბაძეს).

XVII საუკუნის მეორე ნახევრისა და XVIII საუკუნის დასაწყისის საბუთებში იხსენიება

კახეთის სამეფოს მდივანი (1656-1692) და სახლოთხუცესი (1690-1703) ონანა, რომელსაც შვიდი ვაჟი ჰყავდა: თამაზი, ზურაბი, გიორგი, ნიკოლოზი, დემეტრე, გურგენი და მამუკა (იხსენიებიან 1677 წლის საბუთში). მას უწყალობა ერეკლე I-მა ყიზილ ულლუნი იმ წესით, როგორც იგი ლუარსაბ ბატონიშვილს ჰქონდა და ფაკაბაშს ან საბალახეს იღებდა. გურამიშვილს ამავე საქმეზე მეფისგან „საფიცარი“ ჰქონია და მისთვის სანაცვლო მიუცია, ონანას კი შეჰპირდა წყალობის მოუშლელიობას (1677); ონანავე გაარიგა: ზაალ საგინაშვილის დაჟა ნინოწმინდელთან და გარეჯის უდაბნოს წინამძღვარ ონოფრე მაჭუტაძესთან დუდაურების მამულზე (1690-1703), ფარემუზ და გურასიშვილების სასისხლო დაჟა (XVIII საუკუნის მიწურული); მონაწილეობდა: ბებურ, უძებარ და ქაიხოსრო ვაჩნაძეებს შორის საღაჯო ყმების გაყოფაში (1692); მოწმე: პაპუნა ელიაშვილის მიერ თბილელ მთავარეპისკოპოს ელისე საგინაშვილისთვის პირობის წიგნისა თავშეწირულების დაურღვეველობის შესახებ (1656), პაპუნა ჩოლაყაშვილის მიერ ოხიაციორი როსებისთვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1670), ამა-ალავერდელის მიერ ბოდბელ კირილესთვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1670), რამაზ ვაჩნაძის მიერ ოხიაციორი როსებისთვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1673).

ვახუშტის ცნობით, ქართლის მეფე ერეკლე I-მა „სალოთხუცესად“ დაადგინა ბებურიშვილი.

ბერად შემდგარმა ნიკოლოზ ვაჩნაძემ ერეკლე I-ს სთხოვა ეშუამდგომლა პაპა სერგიოსთან, რათა მიეცათ კისისხევი იმ პირობით, რომ მონასტერს სამსახურს არ დააკლებდა.

1710 წელს დავით II-მ დაამტკიცა განჩინება ზურაბ და ღურმიშხან ვაჩნაძეებისა და კარდენახში მცხოვრები დათუნა აფხაზის საქმეზე. ამ საბუთით დადგინდა, რომ ხსენებულ ვაჩნაძეებს და მათ ძმებს „ეს მიწა ხოდაბუნათ დარჩათ“.

ბებურიშვილები და ონანაშვილები ზოგჯერ ერთმანეთსაც უპირისპირდებოდნენ. ამის მაუწყებელია ალექსანდრე III-ის ანუ ალი-მირზას (მეფობდა 1735-1737 წლებში, თეიმურაზ II-ის სპარსეთში ყოფნისას) განჩინება ასლან ბებურიშვილისა და ფარსადან ონანაშვილის სასისხლო საქმეზე (1737). საბუთში ხაზგასმულია რა მათი სისხლით ნათესაობა, გამოტანილია დადგენილება, რომ მათ „დღეის იქით ერთმანეთთან ძმობისა და

მოყვრობის მეტი სადავო და სალაპარაკო ადარა აქვთ რა“.

1798 წელს გიორგი XII-მ დაამტკიცა განჩინება ჯანდიერთა მამულის საქმეზე, რომელშიც ვაჩნაძეებისგან ნაყიდი ტერიტორია იხსენიება.

საისტორიო წყაროებში მოხსენიებულ ტერმინში „ვაჩნაძიანი“ — ვაჩნაძეთა სათავადო სახლი იგულისხმება. ეს ტერმინი („ვაჩნაძიანთის“ ფორმით) ვახუშტის თხზულებაშიც გვხვდება. ამავე თვალსაზრისით საყურადღებოა არხები ვაჩნაძიანთა მამულების თაობაზე, რომელთაც ერეკლე II-ის ოქმი ერთვის.

ვაჩნაძეების მიერ ბაგრატიონან ხელმწიფეთადმი წარდგენილი არხები ტრადიციულად ასე იწყება: „ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათ მიწა-მტკვერთ, ერთობლივ ვაჩნაძიანთ“ და სხვ.

პაპუნა ორბელიანის თხზულებაში „ამბავნი ქართლისანი“ იხსენიებიან ბებურ ვაჩნაძის შთამომავალი — პაპა და ასლანი.

1751 წლის იანვარში ალაზნის შენაკად აგრისწყალთან მომხდარ ბრძოლაში, როდესაც ჭარ-ბელაქელთა და შაქელთა ლაშქარმა ქართველებს სძლია, ერეკლე II უეჭველი დაღუპვისგან იხსნა პაპა ბებურიშვილმა.

მეფე, რომელსაც ცხენი ბრძოლაში მოუკლეს, პაპა ბებურიშვილმა ალაზნიდან თავისი სიცოცხლის რისკის ფასად გამოიყვანა. მდინარის მარჯვენა ნაპირი ფლატიანი იყო და ვერ ამოვიდნენ. საჭირო გახდა შორი გზით მოვლა. სწორედ იმ დროს მეფეს ცხენი დაუთმო მაჩხანაელმა დავით ბოსტაშვილმა, რომელსაც აზნაურობა უბოძეს.

თეიმურაზ ბაგრატიონი მოგვითხრობს: „ალაზანსა შინა, ვინადგან გაუჭირდა მეფესა ერეკლეს გამოსვლა, რომელ ქვეითნი იგი ქართველთანი, რომელნიც მოაქენდა წყალსა, ეხვეოდენ ცხენთა განრინებისათვის, მაშინ თავადმან ბებურიშვილმან პაპამ მოსწყვიტნა კაცი იგი და განიყვანა მეფე მშვიდობით“.

1755 წელს ყვარლის ციხის ალყის გარღვევის ოპერაციას პაპა ბებურიშვილი მეთაურობდა. მისმა 200-კაციანმა რაზმმა ციხეში წარმატებით შეაღწია და მეციხოვნეებს სურსათი და ტყვია-წაშალი მიაწოდა, რაც საბოლოოდ ქართველთა გამარჯვებით დაგვირგვინდა. ალყაში მყოფ ციხის გარნიზონს მეთაურობდნენ დავით ვაჩნაძე, მელქისედეკ და ბესპაზ ჭავჭავაძეები.

მეფის ერთგულებით გამოირჩეოდნენ პაპას ძმებიც — გრიგოლი, სვიმონი, ადამი.

1756 წელს ერეკლე II-მ პაპა ბებურიშვილს შემდეგი სიგელი უბოძა: „ევე წიგნი და სიგელი გიბოძეთ შენ, ჩვენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა ვაჩნაძეს — ბებურიშვილს პაპას და ძმასა შენსა გრიგოლს, სვიმონს, ადამს და შვილთა და მოძაველსა სახლისა თქვენისას ასე და ამა პირსა ზედანა, რა შენს ოჯახში გამოიზარდე, მუდამ ამისი მცდელი იყავი, ჩვენს წინ სასიკვდილოდ თავი არ დაგიზოგავთ ორთავ ძმათ, ციხის უკუდგომამი, თუ მრავლის ყიზილბაშთ, თუ დაღისტნის ომის ჯარებში, მრავალჯერ მტრის თავები მოგვართვით.“

აგრისზედ რომ დავმარცხდით და გამოვბრუნდით, ერთს უფროს ადგილს, ალაზნის წყალში შემოვცვივდით, შენ, პაპა, ახლო შეგვრჩი, შიგ წყალში შვიდი-რვა კაცი ჩვენს ცხენს და ჩვენ მოგვეჭიდა; წყალმა რომ ცხენი და ჩვენ ჩაგვწივა, იმ დროს მოგვეშველე, ის კაციც ხმლით მოგვაშორე და ღმერთის გარდა იმ დღეს შენ გვისხენ სიკვდილისაგან... მას უკან ხუნძანის ბატონი — მუცალი დაღისტნის ჯარით, აჯი ჩალაბის შვილი და ჭარელნი და იმ ძირობის კაციც ყუარულის ციხეს შემოადგენენ. ციხეს რომ საქმე გაუჭირეს და ადებაზედ მიწურეს, იმ დროს... ჯერ ღვთის სიყვარულისათვის და მერმე ჩვენისა და ჩვენის ქვეყნის ერთგულობისათვის და სარწმუნოებისათვის თქვენი თავი სასიკვდილოთ გადადევით იმ დღეს და არ დაზოგეთ არც შენ და არც ამ თავადთა და გლეხთა, წახვედით ღვთით



მეფე არჩილ II



მეფე ერეკლე I

და ჩვენის ბრძანებით. დიდათ შემოსაფრული იყო ის ციხე, ხმალდახმალ შეხვედით, ღვთის მოწყალეობამ და თქვენმან შესვლამ შეამაგრა, შესვლაში და შიგნით ციხიდან მრავალი კაცი მოკალით და ლომსავით გაისარჯენით, თითონ შენ შიგ დაიჭერ. მას უკან გარეთ ხმალდახმალ გამოუხდით და ბევრი კაცი მოუკალი. ოცდა მესამეს დღეს დაქცეულნი, გაწბილებულნი, პირშავნი უკეთურნი წვიდნენ. ახლა ამ ყვარელში ციხეში შესვლის და ასე გარჯისათვის გიბოძეთ თქვენზე ნაყმევი კარდენახს მართასშვილი ჯვრანა, ამისი შვილი გიორგი და ძმისწული დათო, ვეყდაშვილი პატარაკაცი, ჭუნი ტეტია, ურუმაშვილი გოგია და ივანე, მართასშვილი დემეტრე და ხიხო თავისის მამულითა, სასახლითა, სახნავითა, შესავლითა, გასავლითა მითითა, ბართითა“.

1772 წელს ერეკლე II-მ ოსმალ-ლევკთა ლაშქარი გაანადგურა. წყაროში ვკითხულობთ, რომ მეფეს „მოერთვა ამბავი — „უფლისციხეს თქვენნი ჯარი დაამარცხესო“... ამ დროს ფაშბაკზედ ერეკლეს ედგა პაპა ბებურიშვილი ჯარით მეთვალყურეთ. ახალციხიდან მოუხდა პაჯი გირეი დიდის ჯარით. ჩაუსაფრდა პაპა ამხანაგებით მოხერხებულ ადგილს და მოულოდნელათ ღვთის რისხვა დასცა თათრებსა: 157 კაცი გასწვევითა, 57 ტყვე დაინარჩუნა და ერეკლე მეფეს მორათვა თბილისში“.

შემონახულია მეფეთა მიერ ვაჩნაძეთა გვარის სხვა წარმომადგენლებისადმი ბოძებული წყალობის წიგნებიც. მაგალითად, 1751 წელს ერეკლე II-მ ასლან ვაჩნაძეს შემდეგი სიგელი უბოძა: „ქ. ესე მამულის წიგნი გიბოძე შენ, ჩვენს ერთგულს და ჩვენს სამსახურზედ მრავალფერად გარჯილს და ნამსახურს ვაჩნაძეს ასლანს, ძმისწულსა შენსა ფარსადანს, შვილსა თქვენსა ყაფლანს და შვილისშვილსა შენსა ლუარსაბს — გიბოძეთ შენის ბიძაშვილის გიორგის განაყოფის ამოწვევების სპანდიარის შვილის გიორგის ნაქონი მამული სოფელი კოლაგი და ჩალაუბანი, რადგან ჩვენს ერთგულობაზედ ჩვენს მამაპაპად წინ ბევრნი დახოცილხართ და ერთი შენი შვილიც — ოთარი ჩვენს ბიძაშვილს (იგულისხმება ალიმირზა, — ნ.ჯ.) ახლდა ინდოეთის საფარში და იქ მოვიკვდა; შენი ძმისწული ფარსადანიც იქ გვახლდა ინდოეთს და სინდეთის ომებში და ბევრჯერ ჩვენს წინ კარგად გაისარჯა“.

ზემოთ მოყვანილი საბუთიდან ირკვევა, რომ ოთარ ასლანის ძე ვაჩნაძე მეფე ალექსანდრე III-სთან ერთად მონაწილეობდა ნადირ-შაჰის მიერ ინდოეთზე მოწყობილ ლაშქრობაში, სადაც დაიღუპა.

1782 წელს მორიგე ჯარის სარდალი ლევან ერეკლეს ძე მოულოდნელად გარდაიცვალა ვეჯინში, ივანე აბაშიძის სახლში, რაშიც ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ასათ შერმახანის ძე ვაჩნაძის ხელიც ერია.

ამის მიუხედავად, ერეკლე II ვაჩნაძეებს კვლავინდებურად სწყალობდა და ფრიად პასუხსაგებ საქმეებსაც ავალებდა.

1788 წელს ქართლ-კახეთის მეფის ქვეშევრდომობაში შემავალ ყაზახში (ამჟამად აზერბაიჯანშია) გადასახადების ასაკრეფად მიავლინეს ემიკალასბაში აიდემურ ვაჩნაძე.

1789 წელს უფლისწულმა დავითმა (მომავალში — სამეფოს გამგებელმა) ყარსის ოლქი დალაშქრა. გამარჯვებულ და ალაფით დატვირთულ ქართველებს, რომელთაც ათასზე მეტი ტყვეც მოჰყავდათ, თურქთა ლაშქარი დაედევნა. ქართველებმა კვლავ გაიმარჯვეს, რასაც ორი ვაჩნაძე შეეწირა.

თეიმურაზ ბატონიშვილი გვამცნობს: „მუნ მოსწყდნენ ბრძოლასა წინაშე მისსა ორნი ყრმანი ბებურისშვილები, რომელნიცა იყუნენ მხენი, მამაცნი“.

ვაჩნაძეთა ქება გიორგი XII-ის წყალობის სიგელებშიც გვხვდება. ერთ-ერთ მათგანში,



*გვარლის ციხე (ხელი შიდა მხრიდან)*

ისხენებდა რა ლუარსაბ ვაჩნაძის გმირობას, მეფე აღნიშნავდა: „ესე წყალობის სიგელი გიბოძეთ შენ, ძველთაგანვე ჩვენის ოჯახის დიდათ ერთგულს, თავდადებით ნამსახურსა, ვაჩნაძეს ყორიასაუღბაშს ლუარსაბს, შვილსა შენსა ლაშქარნივის ასლანს, ყაფლანს, დიმიტრის, იოანეს და შვილის შვილთა შენთა გიორგის, ოთარს და ყოველთავე სახლისა თქვენისა მომავალთა ასე, რომ ბაკურციხეს... ჩვენც მოვიხსენეთ შთამომავლობითაგანვე თქვენი ძველი და ახალი ჩვენის ოჯახის თავდადებით ნამსახურობა, პაპაშენის ასლანისაგან სხვას სახელმწიფოს ქვეყნებში სამსახური და ბიძის შენის ყაფლანის განჯის ომში მამის ჩვენის თვალწინ სიკვდილი და აგრეთვე შენის სიყრმითგან მრავალს ომებში სახელოვნათ გარჯა, მოკვლა და ცოცხლის მორთმევა, აგრეთვე ასპინძას დიდათ რომ გაგვიჭირდა, ბატონს მამა ჩვენსა და ჩვენს წინ სახსოვრათ ხელის გამოღებას თვით ჩვენის თვალთ უყურებდით, რომ დელიბაშმა პირდაპირ შუბით პირის სახეზედ მძიმეთ დაგჭრა, მაგრამ როგორც მამაცობას შევენოდა, არ უძტყუნე და თოფით ჩამოაგდე. ამის გარდა, აღამაჰმად ხან სპარსეთის ჯარით თბილისს რომ მოუხდა, შებმაში მამაჩვენს გვერდით ახლდი, ვინამდის პირდაპირ ომი იყო, სახელოვნათ ირჯებოდი და როდესაც დამარცხდა თვითვე კურთხეული მამაჩვენი სწამებდა და მრავალნი სხვანი, რომ

იმ დღეს მამა ჩვენის შვიდობით გამოსვლის მიზეზი, ღვთის მოწყალების გარდა, ერთი შენ იყავი და მთიულეთსაც გაუყრელათ და ერთგულათ ემსახურე“.

გიორგი XII-ის მეფობისას გარსევან ვაჩნაძე იყო მოურავი „კუჭავანსა და ორსავე გავაზას“.

1800 წლის 7 ნოემბერს ნიახურას ველზე მომხდარ ბრძოლაში, ხუნძეთის ნუცალ უმახანის დამარცხებაში თავი ისახელეს ბაგრატ და იოანე ბატონიშვილების ერთგულმა თანამებრძოლებმა ადამ და იოსებ ვაჩნაძეებმა, ასევე ასლან ონანაშვილმა.

პლატონ იოსელიანის ცნობით, სახელოვნამა ადამ ვაჩნაძემ „მოკლა თოფითა ჯუნგუთაი დაღესტნელი, რომლისა თავი მორათვეს მეფესა შემდგომად ნიახურას ომისა“.

ამდენად, თავადი ვაჩნაძეები იყვნენ საქართველოსთვის თავდადებული მამულიშვილნი, რის გამოც მათ ბაგრატოვან ხელმწიფეთა წყალობა არ აკლდათ.<sup>1</sup>

#### **ნიკო ჯავახიშვილი**

#### **ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**

<sup>1</sup>ვაჩნაძეთა გვარს მიეძღვნა ამავე სტატიის ავტორის ნარკვევი, რომელიც გამოქვეყნდა პროფ. ნათელა ვაჩნაძისადმი მიძღვნილ შრომათა კრებულში „სამეცნიერო პარადიგმები“ (2009).

# Auto Bild

საქართველო

ქურნალი  
**AUTO BILD**  
საქართველო  
წარმოგიდგინებ



Jeep 75th Salute და მისი წინაპარი

## ოპის პეპერანი



1940 წლის ზაფხულში კარლ პრობსტი, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ანერვიულდა. ცნობილ ინჟინერს უჭირდა მოსმენილის დაჯერება და ამბავის მიტანს ეს წინადადება რამდენჯერმე გაამეორებინა: „შეერთებული შტატების არმიას სასწრაფოდ ჭირდება მსუბუქი მილიტარისტული ავტომობილი 4 ადგილით

და სრული ამძრავით - თქვენ 49 დღე გაქვთ!“

მითხოვნაზე რეაქცია მხოლოდ სამ ავტომწარმოებელს შეჰყონდა: „ფორდს“, „ვილისს“ და American Bantam-ს. ეს უკანასკნელი, რომელიც პენსილვანიაში მობინადრე პატარა მწარმოებელი იყო, უკვე კოტრდებოდა და რაკი ფირმაში



შეფ-დიზაინერი მარკ ალენი თავისი ქმნილებით ამყობს



ინილეთ სტაჰია  
სრულად  
ჟურნალ  
„AUTO BILD  
საქართველოს“  
პერიოდის  
ნომერი



# და მისი უპილიუპილი

დარჩენილი 15 ადამიანიდან არცერთი არ იყო ინჟინერი, დახმარებისთვის კარლ პრობსტს მიმართეს. კარლი პროფესიონალი კი იყო, მაგრამ ჯადოქარი არ გახლდათ და Bantam-ის მსტოვარს ასეთი პასუხი გასცა: „სულ მთლად გაგიჟებულხართ!“

თუმცა ცნობილი ინჟინრისთვის მაინც საკმაოდ სერიოზული გამოწვევა აღმოჩნდა ის, რომ პატარა ფირმასთან ერთად შეუძლებელი მოეხერხებინა და ზუსტად 49 დღის შემდეგ, პირველი პროტოტიპი უკვე მზად იყო.

დიას, ამერიკელები მართლაც გვიან მიხვდნენ, რომ ბერლინამდე კავალერიით ვერ ჩაეიდოდნენ და რაკი Bantam-ის ქარხნის მცირე მოცულობის გამოც ნერვიულობდნენ, BRC-ის (Bantam Reconnaissance Car) გეგმები კონკურენტებსაც გადასცეს...

# დიდმარხვის პირველი დღე ხალხურ ტრადიციაში



ყვებობა. ა. შამშინოვი (1913 წ.)

## თუშუხი „ოფოფაობა“ და ინბილოუხი „ხინახანანი“

ძველად დიდმარხვის პირველ ორშაბათს დილიდან, ყველა მართლმადიდებლური ეკლესიიდან სამწუხრო ზარების ხმა ისმოდა. ოჯახის უფროსები გათენებისთანავე მიეშურებოდნენ ეკლესიებში. ახალგაზრდებს ამ დროს ჯერ კიდევ ეძინათ. ეკლესიიდან მობრუნებული უფროსები აღვიძებდნენ შვილებს, შეახსენებდნენ დიდმარხვის დადგომას, ეუბნებოდნენ: „მარხვა სინანულისა, აღდგომა სიხარულისა!“ ახალგაზრდები დილაადრიან უნდა წასულიყვნენ „უძმრახი“ წყლის მოსატანად და დაბრუნებისას წყალთან ერთად შინ უნდა შემოეტანათ ხის ტოტები და ფიჩხი ბედნიერების ნიშნად. ამის შემდეგ იწყებოდა სახლში ყველაფრის დასუფთავება, წესრიგში მოყვანა; აღულებდნენ დიდ ქვაბში ნაცარს და ამ ნაცარწმიდში ხეზავდნენ მთელ ჭურჭელს, რასაც ჭურჭლის დარუებას ეძახდნენ. ჭურჭლის დარუებამდე არ შეიძლებოდა სამარხულო საჭმლის გაკეთება. განსაკუთრებით ფრთხილობდნენ, რომ ჯამ-ჭურჭელს თავვი (უწმინდურება) არ შეხებოდა. პირველ ორშაბათსვე იცოდნენ, ე.წ. „ნამცეცობა“; ყველიერის კვირაში მორ-

ჩენილ სახსნილოს ბავშვებს გამოუტანდნენ და ისინიც სადმე კუთხეში, უცხო თვალისგან მოფარებულ ადგილას მალულად შეექცეოდნენ, რადგან სახსნილოს ჭამა უკვე აღკვეთილი იყო. უმეტესად, სახსნილოს ნარჩენებს, ძველად თბილისში, გამოუტანდნენ მაჰმადიან მოსახლეობას, რომლებიც, დიდმარხვის პირველ ორშაბათს, საგანგებოდ ჩამოიფლიდნენ ქრისტიანთა სახლებში. სოფლად ნამცეცობა ყველიერის შაბათს ან კვირას იცოდნენ; საღამო ჟამს სახსნილო საკვების მორჩენილ ნამცეცებს კვერცხის ნაჭუჭში ჩაყრიდნენ; შემდეგ ზემოდან ნაჭუჭს დაახურავდნენ, თავზე შემოივლებდნენ, წაილებდნენ სოფლის ზღურბლზე, განაპირა ადგილას და გადააგდებდნენ ბუხების, კოლოების, თავგებისთვის და სხვ. წამლებს შინ დაბრუნებისას უკან არ უნდა მიეხედა, თორემ თავგები გამოჰყვებოდნენო.

დიდმარხვის პირველი ორშაბათის კიდევ ერთი თავისებურება იყო „ბობოლა“, მარხვის თავისებური თოჯინა-საფრთხოებულა, რომლითაც ზოგჯერ პატარებს ამინებდნენ, ჯოხით შეარხევდნენ და ეტყოდნენ, „იყუჩე, თორემ ბობოლა მოვაო“. ეს იყო დიდი ხანის თავი,



რომელსაც სახლში სადმე გამოსაჩენ ადგილას ან აივანზე თოკით ჰკიდებდნენ. ბობოლა მარხვის თავისებურ კალენდარსაც წარმოადგენდა; მარხვის შვიდი კვირის შესაბამისად, ხახვის თავში ქათმის შვიდი ფრთა იყო გარჭობილი. ყოველი კვირის ბოლოს, ოჯახის უფროსი თითო ფრთას აცლიდა. ბოლო, მეშვიდე კვირის დასასრულს კი ბავშვების გასახარად, ბობოლას გარეთ მოისროდნენ. ხახვისთავის გარდა იცოდნენ ნაცრიანი პარკის ჩამოკიდებაც.

**ყვენობიდან ჭიაკოკონობამდე**

დიდმარხვის დაწყება კი სახალხოდ აღინიშნებოდა ყვენობის სანახაობით. ხალხური ტრადიციით, დიდმარხვა იწყებოდა ყვენობით და მთავრდებოდა ჭიაკოკონობით, აღდგომის წინა კვირაში, დიდ ოთხშაბათს. ამის გამო, დიდმარხვის პირველ დღეს ყვენობას, შაპთა აჯანყებას თუ შავ ორშაბათს ეძახდნენ; ამ დღეს ყვენს/შაპს შავად გაუთენდაო. ეკლესიიდან შინ მობრუნებული მოხუცები შეახსენებდნენ ახალგაზრდებს, რომ დიდმარხვა დაიწყო და ყვენობის ზეიმის დრომ მოაწია. რომელიმე ამქრიდან მაღალ, ახოვან კაცს, ხშირად ვინმე მუშას (მებარეულს) გამოარჩევდნენ და ყვენად მორთავდნენ. იჯდა მდიდრულად მოკაზმულ ცხენზე „ყვენი“ და სხვადასხვა ბრძანებას იძლეოდა; ამ ბრძანებებს თითქოსდა იწერდა მის უკან, აქლემზე მჯდომი მისი ვეზირი. წინ

მოდინდნენ ვირებზე მსხდომი სახეგამურული ტაკიმასხარები. ყვენს უკან მოჰყვებოდა სახეგამურული მისი ამაღა, „ჯარი“, რომლის წვერთა მოვალეობა გამვლელებისგან „ყვენის სალაპის“, ანუ ფულის აკრეფა იყო. ამ სახით, პროცესია, ზურნის დაკვრით, ქალაქში ჩამოივლიდა. პროცესიის თავში მოჰქონდათ იმ ამქრის ნიშანი, საიდანაც „ყვენი“ იყო არჩეული. პირველად სამეფო სასახლეს მიადგებოდნენ (რუსთა მძვრობელობის პირველ წლებში კი მეფისნაცვლის სასახლეს). მიუღი მოზეიმე ხალხი მეფეს დიდმარხვის დადგომას ულოცავდა და მტერზე გამარჯვებას უსურვებდა. მეფეც ესალმებოდა ხალხს; ქისებით ფულს გამოიტანდნენ და მაღლიდან უყრიდნენ ხალხს. ასე ჩამოივლიდნენ სხვა დიდებულებთანაც, რომლებიც ასევე ფულით ასაჩუქრებდნენ. შემდეგ, ყვენს სადმე შემადლებულ ადგილას, გზაჯვარედინთან ახლოს, ტახტზე დააბრძანებდნენ და ყველა გამვლელ-გამომვლელს მისთვის თაყვანი უნდა ეცა; მუხლი მოეყარა მის წინაშე, ქუდი მოეხადა და „ყვენის სალაპი ფული“ გადაეხადა. ურჩებს ხელჯონიანები ტანსაცმელს ახევენდნენ, ხის ხმლებით ჩხვლეტდნენ, ტალახში აგდებდნენ, თვლებზე მურს უსვამდნენ. შეუზღუდავი ძალაუფლების ნიშნად, ყვენს ხელში ხის ხმაღზე თუ შამფურზე ჩამოცმული ხახვის თავი ან ვაშლი ეჭირა. ასეთი ძალაუფლება ყვენს მხოლოდ



„ყვენობა“.  
ლადლო  
გულიაშვილი



**ყვენობა დაბა სურამში**

დღის პირველ ნახევარში ჰქონდა. ამის შემდეგ ხალხი ჯანყდებოდა; ორ ბანაკად იყოფოდა და „ქართველთა“ და „ყვენის“ მომხრეებს შორის, სამეფო სასახლის წინ, ე.წ. სალაყოზე (სოლოლაკის ხეობაში), ყვენობის ზეიმის კულმინაცია, სარდასტის (ხის ხმალი) კრივი იმართებოდა, რასაც ქალაქელები „ტყუილ ომს“, „თამაშას“ ეძახდნენ; ხის ხმალი რომ რკინისაზე შეგეცვალა, ნამდვილი ომი გეგონებადაო, ამბობდნენ თურმე. სარდასტის „ომი“ განსაკუთრებული შეუპოვრობითა და ხანგრძლივობით გამოირჩეოდა და მხოლოდ „შაჟ ორშაბათს“ იცოდნენ, რომელშიც ტრადიციულად ქართველთა ბანაკი იმარჯვებდა. გადმოცემით, ერეკლე მეფე ხშირად ქომბაგობდა და ასაჩუქრებდა ქართველთა მხარის გამოჩენილ მოკრივეთ. ქართველთა „მეფის“ — წინამძღოლის განმასახიერებელს კი ხმლით და ფულით ასაჩუქრებდა. დამარცხებულ ყვენს ვირზე უკუღმა შესვამდნენ და მტკვარში ან „ისპანახობის“ მონაწილეები თბილისში



სადმე ლაფში აგდებდნენ, შერცხვენის მიზნით. ბოლოს, შეგროვებული ფულით ბაღებში, სახალხოდ აღნიშნავდნენ ყვენზე გამარჯვებასა და დიდი მარხვის დაწყებას, რასაც „ყვენობის კუდს“ თუ „ისპანახობას“ ეძახდნენო. შეგროვებული თანხის ნაწილი ხმარდებოდა იმ ამქარს, საიდანაც ყვენი იყო არჩეული.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში (ხევსურეთი, ფშავი) დიდმარხვის პირველ ორშაბათს „ურწყის ორშაბათს“ ეძახდნენ. ისინი უწმინდურ, დასჯილ არსებებად წარმოედგინათ, რომელთაც წელიწადში მხოლოდ ერთხელ, დიდმარხვის პირველ ორშაბათს ჰქონდათ უფლება, ადამიანებისთვის ზიანის მიყენებისა; ისე როგორც თბილისურ ყვენობაში, „შაჰს“, მხოლოდ ამ დღეს ჰქონდა შეუზღუდავი ძალაუფლება. თუშეთში სცოდნიათ „ოფოფაობა“, სადაც ბერიკებად ქალები გადაიცვამდნენ, ლაფში ამოველებოდნენ და ცდილობდნენ სხვებიც გაეთხვარათ. მათ ამაღლას ასევე ვაჟებად გადაცმული ქალები შეადგენდნენ, რომელთაც დიდულვაშიანი ნიღბები ეკეთათ და ხის ხმლებით ურჩებს სცემდნენ. საინგილოში კი იქაურ თავბერიკას „ხინკალხანს“ ეძახდნენ და სანახაობის ბოლოს ლაფში აგდებდნენ.

ამგვარი, გროტესკული თამაშობებით გამოხატავდნენ სახსნილოს დამთავრებას და დიდმარხვის დაწყებას; დასცინოდნენ უწმინდურებას, მედიდურობა-„გაბუდაყებას“, სხვა უწესობებს. ამიტომ, აღნიშნული ჩვეულებებიც მხოლოდ ყველიერის/ხსნილის დამთავრება-„დაურწყებისა“ და დიდმარხვის დაწყების ზღვარზე მეორდებოდა.

პიროსიმა ბირთვული მუხტის  
აფეთქების შემდეგ. ცენტრში —  
სამრეწველო პალატის შენობა



# ატომური ღაბომბების პილოტები

კოლ ტიბეტსი: ფრანკა — „ღმერთო ჩემო, ეს რა ჩავიდინეთ!“ —  
კინოს გადაღებებმა მოგაწერეს

იაპონიაზე ატომური შეტევის მისატანად 1945 წლის 6 აგვისტო უღრუბლო ამინდის გამო შეირჩა. დილის 01:37 საათზე წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში, კუნძულ ტინიანიდან სამი ამერიკული სტრატეგიული ბომბდამშენი — „სუპერციხესიმაგრე“ B-29 აფრინდა და გეზი 1,5 ათასი მილით დაშორებული იაპონიისკენ აიღო.

პიროსიმისკენ საშინელ ბედისწერად მიმავალი სამი თვითმფრინავიდან სამეთაურო იყო „ენოლა გეი“, რომელსაც მეთაურმა — პოლკოვნიკმა პოლ ტიბეტსმა სახელი დედის პატივსაცემად დაარქვა. გასაზომი ხელსაწყოები მიჰქონდა „დიად არტისტს“, ხოლო მაშინ უსახელო B-29-ს, რომელზეც ფოტოაპარატურა იყო მოთავსებული, მოგვიანებით „აუცილებელი ბოროტება“ უწოდეს...

ადრიან დილით რადარებმა იაპონიაში ამერიკული თვითმფრინავები შენიშნეს. გამოცხადდა საჰაერო განგაში, მათ შორის, პიროსიმაშიც. 08:00 საათზე პიროსიმას რადარის ოპერატორმა შენიშნა, რომ თვითმფრინავების რიცხვი სამს არ აღემატებოდა და განგაში გააუქმეს. იაპონელებმა გადაწყვიტეს, ასეთი მცირე ავიაფორმირების წინააღმდეგ გამანადგურებლები არ გაეგზავნათ — საწვავისა და ტექნიკის დასაზოგავად.

ადგილობრივი დროით 09:15 საათზე „ენოლა გეიმ“ 9 400 მეტრის სიმალიდან

პიროსიმას თავზე პარაშუტით ჩამოაგდო ატომური ბომბი (კოდური სახელწოდება „პატარა ბიჭი“), რომელიც 600 მეტრის სიმაღლეზე აფეთქდა. 4,5-ტონიანი ატომური ბომბის სიმძლავრე 20 კილოტონის ეკვივალენტი იყო და შეიცავდა 64 კილოგრამ ურან-235-ს. აქედან ბირთვულ რეაქციაში მხოლოდ 7 კილოგრამი შევიდა და ამ მასიდან მხოლოდ 600 მილიგრამი ანუ სულ რაღაც 0,6 გრამი იქცა აფეთქების ენერგიად.

ეპიცენტრიდან 300 მეტრის რადიუსში მყოფი ადამიანები ფერფლად იქცნენ. ვერ



მფრინავი პოლ ტიბეტსი

„პატარა ბიჭი“ 4,5 ტონას იწონიდა



გადარჩენენ თავშესაფარში მყოფნიც. სრული ნგრევის რადიუსმა 1,6 კილომეტრი შეადგინა. დაზიანდა ან მთლიანად განადგურდა ჰიროსიმის შენობათა 90%. ეპიცენტრიდან 1 კილომეტრის დაშორებით მყოფებმა გამოსხივების სასიკვდილო დოზა მიიღეს, 1,5 კილომეტრის მანძილზე კი უძლიერესი დამწვრობა. უფრო შორს მყოფნი სახლების ნანგრევებში მოჰყვნენ, რომლებიც 700 მ/წმ სიჩქარით მოძრაობა საშინელი ძალის ჰაერის ტალღამ დაანგრია. ეპიცენტრში ტემპერატურამ 10 ათას გრადუსს მიაღწია. ცეცხლის გრივალმა ყველაფერი გადაწვა 11,4 კვკმ-ის ტერიტორიაზე. მყისიერად დაიღუპა 80-90 ათასი კაცი (მათ შორის, 2 000 იაპონური წარმოშობის აშშ-ის მოქალაქე, რომლებიც აქ სწავლობდნენ და ომის გამო იაპონიის დატოვება ვეღარ მოახერხეს. დაიღუპა ასობით ამერიკელი ტყვეც), კიდევ 70 ათასი კაცი 1950 წლამდე რადიაციითა და ჭრილობებით მოკვდა...

ატომური ბომბები ე.წ. მანკეტენის პროექტით დაამზადეს. პირველი ბომბის (კოდური სახელწოდება — „მოწყობილობა“ Gadget) გამოცდა, სახელწოდებით „ტრინიტი“, მოწყო ნიუ-მექსიკოს შტატში 1945 წლის 16 ივლისს. რიგით მეორე და მესამე ბომბები კი უკვე ჰიროსიმასა და ნაგასაკიში აფეთქდა.

მეორე მსოფლიო ომში დაღუპული 400 ათასი ამერიკელიდან ნახევარი მოდიოდა წყნარი ოკეანის სივრცეებზე იაპონიასთან ომზე. გაცილებით დიდი დანაკარგი მოჰყვებოდა თვით იაპონიაში შეჭრას. პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა, რომელმაც ატომური ბომბარდირების გადაწყვეტილება მიიღო, წინა პრეზიდენტის, ფრანკლინ რუზველტის გარდაცვალებამდე „მანკეტენის პროექტზე“ არაფერი იცოდა. ტრუმენს იაპონიის უსწრაფესი კაპიტულაცია სურდა და მოკავშირეებთან ერთად, 26 ივლისს პოტსდამის დეკლარაცია შეიმუშავა, რომელშიც იაპონიის კაპიტულაციის პირობები იყო ჩამოთვლილი. შეთავაზება იაპონიამ მეორე დღესვე უარყო. ბუნებრივია, ატომური ბომბის შესახებ, რომელიც დიდ საიდუმლოებას წარმოადგენდა, დეკლარაციაში არაფერი იყო ნათქვამი.

დაბომბვის წინ აშშ-ის მიზნის შერჩევის კომიტეტმა შესაძლებელ სამიზნეებად ოთხი ქალაქი — კიოტო, ჰიროსიმა, იოკოჰამა და კოკურა დაასახელა. მათ პრიორიტეტად „იაპონიის უდრეკ მოსახლეობაზე ფსიქო-

ლოგიური ზემოქმედება“ დასახეს. კომიტეტს მიაჩნდა, რომ ყოფილი დედაქალაქი და იაპონიის ინტელექტუალური ცენტრი კიოტო ყველაზე მეტად აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნებს, რადგან მისი მოსახლეობა „ყველაზე უკეთ შეფასებდა იარაღის მნიშვნელობას“. თუმცა, წინააღმდეგობის მიუხედავად, აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჰენრი სტიმსონმა კიოტო სიდან ამოშალა — „კულტურული მნიშვნელობის“ გამო. საბოლოოდ, ძირითად სამიზნედ დარჩა ჰიროსიმა 300 ათასი მცხოვრებით. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ სტიმსონს ესმოდა კიოტოს მნიშვნელობა, რადგან აქ თავის დროზე თავლობის თვე ჰქონდა გატარებული. ასე გადაწყდა ჰიროსიმის ბედი.

ამჟამად ჰიროსიმას სამრეწველო პალატის დამწვარი, შიშველი გუმბათი, რომელიც 1996 წელს იუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლად აღიარა, მუდამ გაახსენებს ადამიანებს თავიანთი ქმედებების შედეგებს. სხვათა შორის, 9 აგვისტოს მეორე ატომური ბომბარდირებისას პილოტ ჩარლზ სუინის ბომბი „მსუქანა“ კოკურაში უნდა ჩამოეგდო, თუმცა ძლიერი ღრუბლიანობის გამო ძირითად სამიზნედ სათადარიგო ნაგასაკი იქცა...


### მფრინავი ტიბეტსამი

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავი პოლ ტიბეტსი დაიბადა 1915 წლის 23 თებერვალს დასავლეთ ილინოისის ქალაქ კვინსიში, პოლ ტიბეტსისა და ენოლა გეი ჰაგარდის ოჯახში. მოგვიანებით ოჯახი ფლორიდაში, მაიამიში გადავიდა. სწავლობდა გეინსვილში, ფლორიდის უნივერსიტეტში. 1937 წელს გახდა აშშ-ის სახმელეთო ჯარების სამხედრო-საჰაერო ძალების კურსანტი, მომდევნო წელს — კელი ფილდის ავიაბაზის მფრინავი. 1942 წლის მარტში პოლ ტიბეტსი დაინიშნა მძიმე ბომბდამშენთა ესკადრილის მეთაურ-ოფიცრად, სადაც შეიარაღებაში ჰქონდათ „ბონინგის“ წარმოების B-17 „მფრინავი ციხესიმაგრეები“. შემდეგ კი სამეთაურო ბომბდამშენის პილოტი გახდა იმავე წლის 17 აგვისტოს — აშშ-ის მე-8 საჰაერო არმიის ევროპაში პირველი მისიის დროს. მოგვიანებით ტიბეტსი სამშობლოში დააბრუნეს ახალი ბომბდამშენის — „სუპერციხესიმაგრის“ B-29-ის ასათვისებლად. 1944 წლის სექტემბერში კი დაინიშნა სპეციალურად შექმნილი საავიაციო პოლკის მეთაურად,



ბომბის ჩატვირთვა „სუპერციხესიმაგრეში“

ატომური ბომბის 64 კილოგრამ ურან-235-დან ბირთვულ რეაქციაში მხოლოდ 7 კილოგრამი შვეიდა, საიდანაც აფეთქების ენერჯიად 0,6 გრამი იქცა



„ენოლა გეი“ —  
„სუპერციზისმაგრე“  
(Boeing B-29  
Superfortres)



რომელსაც იაპონიაში ატომური ბომბის ჩამოგდება დაევალა.

ტიბეტს არასდროს უნანია ჩადენილი. ის მუდამ ამაყობდა მის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ატომური ბომბარდირებით. „მე მშვიდად მძინავს... და თუ იგივე მდგომარეობაში ჩამაყენებენ, ეშმაკმა დალაზვროს, კვლავ იმავეს გავაკეთებ“, — ეს მან 2005 წლის 5 აგვისტოს ინტერვიუში განაცხადა. 1960-ან წლებში კი ინდოეთში სამხედრო ატამედ ტიბეტსის დანიშვნა პროტესტების გამო გააუქმეს. 1976 წელს პოლმა ტეხასში დადგა წარმოდგენა „ჰიროსიმის დაბომბვა“, ატომური „სოკოს“ ჩათვლით, რის გამოც ამერიკის მთავრობამ იაპონიას ბოლიში მოუხადა. თუმცა ტიბეტსმა განაცხადა, რომ იაპონელთა შეურაცხყოფა აზრადაც არ მოსვლია. 1995 წელს მან „საშინლად შეურაცხყოფელი“ უწოდა ჰიროსიმის ბომბარდირების 50 წლის-

თავთან დაკავშირებით „ენოლა გეის“ დაგეგმილ გამოფენას სმითსონის ინსტიტუტში, სადაც წარმოდგენა უნდა გამართულიყო, მისი შეფასებით, სათანადო კონტექსტის გარეშე. 70-80-იან წლებში ის რამდენიმე მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმში გადაიღეს, სადაც ჩაწერილია მასთან ინტერვიუები.

პოლი დაქორწინდა ლუსი უინგეიტზე 1939 წელს, ვისთანაც ორი ვაჟი შეეძინა — პოლ ტიბეტს III და ჯინი. 1955-ში ლუსის დაშორდა და ერთ წელიწადში ცოლად ფრანგული წარმოშობის ანდრეა კუატრომი მოიყვანა. შვილიშვილთაგან ტიბეტსი განსაკუთრებით ამაყობდა პოლ ტიბეტს IV-ით, რომელიც ბაბუის გზას გაჰყვა და სამხედრო მფრინავი გახდა. მან აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების აკადემია დაამთავრა და 2006 წელს მაიორის წოდებით გახდა ბაბუამისის სახელადანი „ჯგუფი-509“-ის ესკადრილის მე-





თაური და ბომბდამშენ B-2 Spirit-ის პილოტი; 2014 წლიდან ბრიგადის გენერლის წოდებით დაინიშნა აშშ-ის გლობალური საოპერაციო სამმართველოს ბირთვული ოპერაციების დირექტორის მოადგილედ — ფაქტობრივად, პასუხისმგებლად ქვეყნის ბირთვულ ძალებზე; 2015 წლიდან „ჯგუფი-509“-ის მეთაურია.

პოლ ტიბეტსი საკუთარ სახლში გარდაიცვალა 2007 წლის 1-ელ ნოემბერს, ოჰაიოს შტატის ქალაქ კოლუმბუსში. ანდერძით არ ისურვა საფლავზე მემორიალური დაფის დადგმა, მისი ფერფლი ლა მანშის თავზე მიმოფანტეს.

### პირველი ბომბი

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავი ჩარლზ სუინი (Charles Sweeney) გახლდათ იმ „სუპერციხესიმაგრის“ — ბომბდამშენ B-29-ის (სახელწოდებით Bockscar)


მეთაური, რომელმაც 1945 წლის 9 აგვისტოს ატომური ბომბი (კოდური სახელწოდებით „მსუქანა“) ნაგასაკის თავზე ჩამოაგდო.

სუინი დაიბადა 1919 წლის 27 დეკემბერს მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ლოუელში. მამამისი სანტეჟნიკოსი იყო. ბავშვობა ლოუელის აეროდრომის მახლობლად გაატარა და მოხიბლული იყო სამხედრო თვითმფრინავებით. ამან განაპირობა მისი არჩევანიც — უკვე მეორე მსოფლიოს ომის მიმდინარეობისას, 1941 წლის 28 აპრილს ჩარლზ სუინი ავიასკოლის კურსანტი გახდა. აქედან გამომდინარე, არცთუ გასაკვირია, რომ ნაგასაკიში ჩამოგდებული „მსუქანა“ 25 წლის პილოტისთვის იყო საერთოდ პირველი ბომბი, რომელიც მან მტერს ესროლა. ჩარლზ სუინი იყო პოლ ტიბეტსის საავიაციო შენაერთის — „ჯგუფი-509“-ის წევრი და ის ჰიროსიმის დაბომბვაშიც მონაწილეობდა, რა დროსაც დამკვირვებელ B-29 ბომბდამშენ „დიალ არტისტში“ იმყოფებოდა.

ნაგასაკიში ჩამოგდებული 21 კილოტონა ტროტილის ეკვივალენტური ატომური ბომბი შეიცავდა 6 კილოგრამ პლუტონიუმ-239-ს. საბრძოლო გაფრენა კვლავაც კუნძულ ტინიანიდან განხორციელდა. ჩარლზს „მსუქანა“ ქალაქ კოკურაში უნდა ჩამოეგდო, მაგრამ ღრუბლიანობა ისეთი ძლიერი იყო, რომ მან სათადარიგო სამიზნის — ნაგასაკის დაბომბვა გადაწყვიტა. არცთუ მჭიდროდ დასახლებულ საწარმოო ქალაქ ნაგასაკიში დაახლოებით 35 ათასი ადამიანი დაიღუპა, მათგან 25 ათასამდე მუშა იყო, აქედან 2 ათასი — იძულებით წაყვანილი კორეელი... აგხედავდი, მოყავისფრო ბრტყელმა ღრუბელმა როგორ დაფარა ქალაქი. მოყავისფრო-ყვითელი კვალი თანდათან ბირთვულ სოკოდ გაიშალა, რომლის ზედაპირზეც დულდა მოიისფრო, ნარინჯისფერი და

ჰიროსიმა დაბომბვის შემდეგ





„მსუქანას“  
გადატანა

მოწითალო ბუშტები. ეს ერთხელ ვნახე და მე-  
ტად აღარ მომიწევს „„ — აღწერდა მფრინავი.

ჩარლზ სუინი მთელი დარჩენილი ცხოვრე-  
ბის განმავლობაში გამუდმებით ამტკიცებდა  
იაპონიის ატომური დაბომბვების აუცილებ-  
ლობას ნებისმიერი აუდიტორიის, მათ შორის  
ამერიკული კოლეჯებისა თუ უნივერსიტეტე-  
ბის სტუდენტების წინაშე. მან თანაუტორო-

ბით დაწერა მოგონებათა წიგნი — „ომის და-  
სასრული: ამერიკის უკანასკნელი ბირთვული  
მისიის თვითმხილველის მონათხრობი“.

ჩარლზმა მრავალი ჯილდო მიიღო და 1976  
წელს თადარიგში გენერალ-მაიორის ჩინით  
გავიდა. შემდეგ ფეხსაცმლის მაღაზიის თანამ-  
ფლობელი გახდა და მშვიდად ცხოვრობდა.  
გაეყარა მეუღლე დოროთი მაკლჰაინის. დარჩა



აუტორაფი  
„მსუქანაზე“



10 შვილი (3 ვაჟი და 7 ქალიშვილი), 24 შვილიშვილი და 4 შვილთაშვილი. გარდაიცვალა 84 წლის ასაკში ბოსტონის საავადმყოფოში, 2004 წლის 16 ივლისს.

**ტიპეტისის 2005 წლის  
ინტერვიუდან**

„ჩვეულებრივი მფრინავი ვიყავი. მეორე მსოფლიო ომი ჩემთვის დაიწყო „მფრინავი ციხესიმაგრეების“ — B-17-ების გადაყვანით დიდ ბრიტანეთში. კანადისა და გრენლანდიის გავლით რაც შეიძლება დაბლა ვფრენდით. B-17-ებს არ ჰქონდათ ოკეანის თავზე ფრენისთვის საჭირო სანავიგაციო აპარატურა და თითოეულ „ციხესიმაგრეს“ რამდენიმე ავიაგამანადგურებელი აცილებდა.

ჩემი პირველი საბრძოლო გაფრენა შედგა 1942 წლის 17 აგვისტოს საფრანგეთის ქალაქ რუანის თავზე. სამიზნე იყო რკინიგზის სადგური 2 ათასამდე ვაკონითა და საორთქლმავლო დეპოთი. მიზანს ბომბების ნახევარმა უწია. ამერიკელები მტერს დღისით ვბომბავდით, ინგლისელები კი ღამით. ასეთი ტაქტიკა გერმანელებს გადაჯგუფების საშუალებას არ აძლევდა. თუმცა ძირითადი საომარი გამოცდილება ჩრდილოეთ აფრიკაში მივიღე. 29 წლის ასაკში უკვე ვიყავი ასობით საბრძოლო გაფრენის მქონე მაიორი, მძიმე ბომბდამშენ ავიაციაში მუშაობის დიდი გამოცდილებით.

1944 წელს ჩემი ახალი „სუპერციხესიმაგრით“ — B-29 ბომბდამშენით აშშ-ში დამაბ-



ჩარლზ სუინი, Bockscar-ის ფონზე

ნახატი „სუპერციხესიმაგრე“ Bockscar-ზე



ატომური სოკო  
ნაგასაკის თავზე



პოლ პოლ ტიბეტსი



პოლ ტიბეტსი 2003 წელს

რუნეს და მალე გამომიძახეს გასაუბრებაზე. მათ გაცილებით მეტი იცოდნენ ჩემ შესახებ, ვიდრე მე თვითონ. ოჯახის წევრებმა ომის შემდეგ მიაბბეს, როგორ სწავლობდნენ ყველას და ყველაფერს გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები. სულ უფრო მაღალ ინსტანციებში ათობით გასაუბრების შემდეგ, საბოლოოდ „ჯგუფი-509“-ის მეთაურად დამნიშნეს. ჯგუფში შედიოდა 15 „სუპერციხესიმაგრე“ და 1 800 კაცი — მფრინავები, ტექნიკური პერსონალი, სამხედრო პოლიცია და რადიოლოგიური სამსახური. ჯგუფს ხუმრობით „პოლ ტიბეტსის პირადი ავიაცია“ დავარქვი, მისი ნამდვილი დანიშნულების შესახებ მხოლოდ ერთეულებმა ვიცოდით.

ამოცანა კი იყო მარტივი და საშინელი — ატომური ომის დაწყება!

ჩემი ჯგუფი 1945 წლის ივლისამდე ამუშავებდა კონკრეტულ საკითხებს, მაგალითად, როგორ მივიტანოთ ბომბი სამიზნემდე? რა სიმაღლიდან და რა სიჩქარით ჩამოვავლოთ? როგორი მეტეოპირობების დროს? როგორ გამოვასწროთ აფეთქების ტალღასა და რადიაციას? „ჭეშმარიტების მომენტი“ ავვისტოში იყო დანიშნული, თარიღის დაზუსტების გარეშე. მაისში კუნძულ ტინიანზე გადაგვისროლეს, კრეისერმა „ინდიანაპოლისმა“ და თვითმფრინავებმა ატომური ბომბების კომპონენტები ჩამოგვიტანეს. ოთხი დღის შემდეგ ფილიპინებისკენ მიმავალი „ინდიანაპოლისი“ იაპონელებმა ჩაძირეს ეკიპაჟის 900 წევრთან ერთად.

შეტვეისთვის მზადება 5 ავვისტოს დავიწყეთ და ბომბი, პრაქტიკულად, გაფრენის წინ ავაწყვეთ. თავს ჩვეულებრივად ვგრძნობდი, მხოლოდ ბევრს ვწვოდი. ექიმმა მითხრა „ღმერთმა ქნას, არ დაგჭირდეთო“ და კოლოფი მომცა 12 ამპულა კალიუმის ციანიდით — არა იმიტომ, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში კამიკაძეები გავმხდარიყავით, არამედ ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში საშინელი წამების თავიდან აცილება რომ შეგვძლებოდა.

მანამდე კი სასიამოვნო მომენტი მქონდა — ტრადიციის მიხედვით, ხომაღლის მეთაურს უფლება აქვს, თვითმფრინავს სახელი უწოდოს. მე დედაჩემის სახელი ავირჩიე „ენოლა გეი“ და დედა ამით სიცოცხლის ბოლომდე ამაყობდა.

გამოფრინდით დილის 01:37 საათზე. 09:15-ზე ჰიროსიმას თავზე ვიყავით, როცა თვითმფრინავი 4,5 ტონით „შემსუბუქდა“. 43 წამის შემდეგ „პატარა ბიჭი“ 600 მეტრის სიმაღლეზე აფეთქდა და ჩვენი მთავარი ამოცანა დარტყმითი ტალღისგან თავის გამოჩენა გახდა. ამაში თვით ოპენჰეიმერიც ვერ გვიშველიდა. უეცრად თვითმფრინავს თითქოს გიგანტური სახრე გადაუჭირეს! მაგრამ ბომბ-დამშენმა გაუძლო. მეორე ტალღა გაცილებით სუსტი იყო. მიკროფონში გამოვაცხადე — „ბიჭებო, ჩვენ ისტორიაში პირველი ატომური ბომბარდირება მოვახდინეთ!“ მხოლოდ წლების შემდეგ მომაწერეს კინოგადამღებებმა ფრაზა: „ღმერთო ჩემო, ეს რა ჩავიდინეთ!“

1945 წელს პრეზიდენტმა ტრუმენმა მიღებისას განმიცხადა: „არასდროს გაგაინდეთ დანაშაულის გრძნობა. ეს ჩემი გადაწყვეტი-



ჩარლზ სუინი  
(ცენტრში)  
პიროსიმის  
დაბომბვაშიც  
მონაწილეობდა,  
როცა  
დამკვირვებელ  
ბომბდამშენ  
„დიად  
არტისტში“  
იმყოფებოდა

ლებაა, თქვენ ჯარისკაცი ხართ და არჩევანი არ გქონიათ!“ ვფიქრობ, ეს სწორია. გადაწყვეტილება დაბომბვის შესახებ არაუვისთვის არ ყოფილა ადვილი. მაგრამ საკითხი ასე იდგა — განვაგრძობთ ომს ჩვენი 2-მილიონიანი არმიით კიდევ. სულ ცოტა, ერთ წელიწადს, მოსალოდნელი უდიდესი მსხვერპლით, თუ მას მყისიერად ვამთავრებთ? კიდევ რამდენ სიცოცხლესა და რა რესურსებს შეიწირავდა ომი, რომლის ერთი თვე 7 მლრდ დოლარი ჯდებოდა. სულ 2 მილიარდი დაჯდა „მანჰეტენის პროექტი“. არავის დაავიწყდეს არც

პერლ-ჰარბორის ფაქტორიც — ამერიკელ ხალხს ღირსეული პასუხის გაცემა უნდოდა.

პიროსიმის შემდეგ ნაგასაკის დაბომბვა კი პოლიტიკური აუცილებლობა შეიქნა — იაპონიის ხელმძღვანელობა მიიჩნევდა, რომ ჩვენ მხოლოდ ერთადერთი ბომბი გვქონდა „მანტაჟისთვის“. ამიტომ მეორე ბომბი აუცილებელი იყო „დარწმუნებისთვის“. არც ის გაიკვირდეთ, ომის შემდეგ იაპონიაში ბევრჯერ ვიყავი და იქ უფრო მეტ გაგებას ვპოულობდი, ვიდრე სადმე სხვაგან...“

**ელენე კოზახიძე**



„სუპერ-  
ციხისმაგრე“  
Bockscar-ი  
მუზეუმში,  
„მსუქანას“  
მოდელთან  
ერთად

# ՀԻՆՉՆԻ

2017 ՏՈՒՆ ՆՅՈՒՆԸ ՏՐԱՅԻՆՈՒ ՌԵՎՈՅՈՒՆ



# რუსული ფანჯები კავკასიაში



1921 წლის თებერვლის მეორე ნახევარში ბოლშევიკური რუსეთის წითელი არმია საქართველოში რამდენიმე მხრიდან შემოიჭრა ხელისუფლების დამსობისა და ქვეყნის ოკუპაციის მიზნით. 24 თებერვალს, თბილისზე შეტევის დროს, მე-11 წითელი არმიის მე-2 სატანკო რაზმის სამმა ინგლისურმა ტანკმა Mk-V-მ სადგურ აღთაქლიდან მდინარე საცხენისისკენ (ლოჭინი) გადაინაცვლა, მდინარე გადალახა და სადგურ ნავთლულისკენ სვლა განაგრძო. ეს იყო კავკასიაში საბრძოლო დანიშნულებით ტანკების გამოყენების პირველი შემთხვევა.

საქართველოს დამპყრობი მე-11 წითელი არმიის საფუძველზე 1921 წლის მაისში ჯერ ცალკეული კავკასიის არმია ჩამოყალიბდა, ხოლო 1935 წელს ამ უკანასკნელის რეორგანიზაციით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი შეიქმნა. მაშინ დაიწყო კავკასიაში პირველი სატანკო ნაწილების ფორმირება.

1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირი დაიშალა, ხოლო 1992 წლის ზაფხულში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ახალციხის მე-10 მოტომსროლელმა დივიზიამ ახალშექმნილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოძველებული T-55AM ტიპის ტანკები გადასცა. ბათუმის 145-ე და ახალქალაქის 147-ე მოტომსროლელი დივიზიების შეიარაღებაში არსებული იმ დროისათვის ერთ-ერთი საუკეთესო T-72B ტიპის ტანკები კი რუსებმა სულ სხვანაირად გაანაწილეს.





ნაწილი II.  
გაბრძელება

ოუნ-ის (უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაცია) მებრძოლთა ჯგუფი

# სამხსრივი ომი უკრაინისთვის

(დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №75)

„ბერლინი, გრუპენფურერ ჰაინრიჰ მიულერს! პირადად.

კრივოი-როგში აქტიურდებიან შოეინისტური ელემენტები. მათი უმთავრესი მახასიათებელია სიძულვილი როგორც რუსეთის, ისე გერმანიის მიმართ. დღეისთვის ეს ბანდიტები დარაზმული არიან კრივოი-როგის ბურგომისტრ სერგეი შერსტიუკის გარშემო.

კრივოი-როგის გესტაპოს უფროსი, SS-ის შტურბანფურერი დიტერ მაიერი“.

იმავდროულად მოსკოვში შემდეგი შინაარსის რადიოგრამა გაიგზავნა:

გუსტავი — ცენტრს:

„კრივოი-როგში შეინიშნება უკრაინელ ნაციონალისტთა მკვეთრი გააქტიურება. მათ შორის გამოიყოფა ორი ჯგუფი: პირველს ადგილობრივი ნაციონალისტები განეკუთვნებიან. ისინი დარაზმული არიან კრივოი-როგის ბურგომისტრის სერგეი შერსტიუკის გარშემო, მეორე ძირითადად დასავლეთ უკრაინიდან გადმოსული ბანდიტებით არის დაკომპლექტებული.

გუსტავი“.

ცენტრი — გუსტავს:

„მოგვაწოდეთ ცნობები შერსტიუკსა და დასავლეთ უკრაინიდან გადმოსულ ჯგუფს შორის ურთიერთობის შესახებ. გვაცნობეთ გერმანელთა დამოკიდებულებაზე უკრაინელი ნაციონალისტების გააქტიურებასთან დაკავშირებით. დირექტორი“.

\* \* \*

შერსტიუკს ბანდერელებიც თვალს არ ამორებდნენ. სბ (უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის უშიშროების სამსახური) გულდასმით სწავლობდა შერსტიუკის უახლოეს გარემოცვას. მისი დაცვის უფროსი ვოზნიაკი შერსტიუკის სტუდენტობის დროინდელი მეგობარი იყო. მეორე დაახლოებული პირი ადვოკატი კალიუჟნი კრივოი-როგში 1939 წელს ჩამოვიდა. უბედური შემთხვევის გამო მან მხედველობა დაკარგა. შერსტიუკი მას ენდობოდა და თავის მარჯვენა ხელად გაიხადა.

— ვინ არის შერსტიუკი? შინსახკომის აგენტი თუ უკრაინელი პატრიოტი, რომელიც სტალინურ წმენდებს სასწაულებრივად გადაურჩა? გავიდეთ თუ არა მასთან კონტაქტზე? ბანდერელები ყოყმანობდნენ.

\* \* \*

გუსტავი — ცენტრს:

„გესტაპოს უფროსმა მაიერმა ბრძანა, ბურგომისტრი შერსტიუკი გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ აეყვანათ. „პასტერნაკს“, რომელიც შერსტიუკის უახლოეს გარემოცვაში დაწვრილდებოდა, გესტაპომ თანამშრომლობა შესთავაზა. გუსტავი“.

ცენტრი — გუსტავს:

„დაე, „პასტერნაკი“ გესტაპოსთან თანამშრომლობას დათანხმდეს. შერსტიუკს თვალი არ მოაშორეთ. ღირუქტორი“.

### შეიშველება

თეატრში მომხდარი ინციდენტის შემდეგ ბანდერელთა სიმპათია სერგეი შერსტიუკისადმი გაიზარდა, თუმცა მთავარი კითხვა პასუხგაუცემელი რჩებოდა.

— თუკი შერსტიუკი აგენტია, ეს მალე გამოჩნდება. ჩვენს კაცს, რომელიც მასთან კონტაქტზე გაუა, ან გერმანელები აეკიდებიან, ან რუსები, — განმარტა ბანდერელთა ჯგუფის მეთაურმა, პეტრო რაშკომ

— ანუ დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება, ასეა, არა? — შეეკითხა ვალინა კონოვალენკო.

— დიახ. — კვერი დაუკრა რაშკომ, — მე არაფერს ვაძლავებ. მოდი, წილი ვყაროთ.

— შერსტიუკს მე დაფუკავშირდები! — განაცხადა ანა მაქსიმეცმა.

— ეს ძალიან საშიშია, — ჩუმიდ წარმოთქვა რაშკომ, — იქნებ უმჯობესია, ასეთ საქმეზე მამაკაცი გავგზავნოთ?

— ოში ქალი და კაცი ვინ გავო, — ანამ გაცინა, — ამ შერსტიუკს მე დაფუკავშირდები და ყველაფერს ვგარაკვევ...

შერსტიუკი და მაქსიმეცი ერთმანეთს პირველად ბურგომისტრის კაბინეტში შეხვდნენ. ანა მიღებაზე ჩაეწერა. როცა მისი რიგი მოვიდა, კაბინეტში შევიდა. მიპატიუებისთვის არც დაუცდია, სკამზე დაჯდა. შერსტიუკი უკმაყოფილოდ შეიმშუშნა. ჩანს, უცნობი ქალის ესოდენი თავდაჯერება არ მოეწონა.

— ევლოკია ივანონა მოკითხვას გითვლით, — მაქსიმეცმა გაიღიმა.

შერსტიუკი უნებლიეთ შეხტა. მაქსიმეცი არ განძრეულა, სახეზე ღიმილი დასთამაშებდა.

\* \* \*

მაკამ (ლესია ჩერეშნიოვსკაია) მოხსენება

დაამთავრა. პეტრო რაშკო ერთხანს ჩუმიდ იჯდა, შემდეგ ანიშნა, გასულიყო. მაკამ თავი დაუკრა და გავიდა.

რაშკო ფიქრს მიეცა. მაშ, ასე! ანა მაქსიმეცი შერსტიუკთან პირდაპირ კონტაქტზე გავიდა. შემოწმებით დადასტურდა, რომ ანას კუდი არ აპკიდებია. ბორკუნისგან — სბ-ს წვერისა და იმავედროულად, კრივი როგში SD-ს (პიტლერელთა უშიშროების სამსახური) ყველაზე მნიშვნელოვანი აგენტისგან — მიღებული ინფორმაციით ცხადი გახდა, რომ გესტაპო ანას პერსონით არ დაინტერესებულა.

— მაშ, შერსტიუკი აგენტი არ არის და პატიოსანი კაცია?

რაშკო შეიმშუშნა. უკრაინული პატრიოტიზმი სტალინური ტერორის პირობებშიც კი გადარჩა. მან აქ, გარუსებულ კრივი-როგშიც გაძლო. ამის მოსმენა გულზე მალამოსავით ეცხებოდა, მაგრამ იყო კი ეს სიმართლე?

მისაღება გერმანულ და უკრაინულ ენებზე (1941 წლის ივლისი — სექტემბრის დასაწყისი)





უკრაინელი ნაციონალისტები იანო-ფრანკოვსკში (1941 წლის 19 სექტემბერი)

\* \* \*

მაგიდას სამი მამაკაცი უჯდა. ერთ-ერთ-ში ანამ შერსტიუკი შეიცნო. დანარჩენ ორს იცნობდა ფოტოებიდან, რომელიც მაკამ მიუტანა. პირველი შერსტიუკის უახლოესი მეგობარი ვოზნიაკი იყო, მეორე — ინჟინერი პალამარჩუკი, რომელიც შერსტიუკთან ერთად კრივოი-როგის შახტებში მუშაობდა, ახლა კი ადგილობრივ პოლიციას ჩაუდგა სათავეში.

— დაბრძანდით, — შერსტიუკმა ქალი თავზიანად მიიწვია, — დიდხანს გელოდით.

ანა დაჯდა. შერსტიუკმა ჭიქებში სასმელი ჩამოასხა.

— ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს. უკაცრავად, პანი, ტატიანა ბოჟკო გქვიათ, ასეა არა?

— ჩვენ პანები არ გვყავს, — ანამ გაიცინა,

— ერთმანეთს ღრუჟეთი მივმართავთ.

— ჩვენც ასე ვართ, — ჩაერია ვოზნიაკი,

— გალიჩინიდან ხართ, არა?

— ბოჟკოც, რა თქმა უნდა, ნამდვილი გვარი არ არის?

— შესაძლოა ასეა, შესაძლოა არა, — ანამ გაიღმა, — კიდევ გვაქვს შეკითხვები?

— გვაქვს, პანი ანა, გვაქვს, — ჩაერია შერსტიუკი, — ამტკიცებთ, რომ უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის ცენტრის

წარმომადგენელი ხართ, ამავე დროს დამალობანას გვეთამაშებით.

— თქვენთვის ტატიანა ბოჟკო ვარ. აი, მტრებს ღვაძლავებთ და ჩემს ნამდვილ გვარსაც შეიტყობთ.

— მაგრამ რატომ გვატყუებთ, რომ გალიჩინიდან ხართ? სუფთა პოლტავური გამოთქმა გაქვთ.

— თქვენ საიდან იცით?

— სტუდენტობისას ვინმე პეტრო დანილიუკთან ვმეგობრობდი. ის КПЗУ-ს (დასავლეთ უკრაინის კომუნისტური პარტია. — ნ. თ.) წევრი იყო და საბჭოეთში გამოიქცა. მას სუფთა გალიციური გამოთქმა ჰქონდა, თქვენ კი...

— დამიჯერეთ, გალიჩინიდან ვარ, — ანას სახიდან ღიმილი გაუქრა.

— ტყუილად გგონივართ სულელები, — ვოზნიაკი ფეხზე წამოხტა და ტაში შემოჰკრა.

კარი გაიღო. ოთახში რამდენიმე შეიარაღებული ახალგაზრდა შემოვარდა. ერთ-ერთმა ანას იარაღი შუბლზე მიაღო, მეორემ ჯიბეები მარდად გაუჩხრიკა და რევოლვერი ამოაცალა.

— თამაში დამთავრებულია, — ვოზნიაკს თვალები უელავდა, — აბა, ამოშაქრე, ვისზე მუშაობ? გესტაპოზე, შინსახკომზე თუ ორივეზე ერთად!



анам Шерсстиуєс გადახედა. ბურგომისტრი ჩუმად იჯდა, სახეზე მკვდრისფერი ელო. ანამ ჩაახველა.

— მე უკვე ყველაფერი გითხარით, — მშვიდად წარმოთქვა ქალმა.

ვოზნიაკმა ახალგაზრდას თვალთ რაღაც ანიშნა. მან ჯიბიდან კალამი და ქაღალდი ამოიღო.

— შენ გაშიფრული ხარ, — ვოზნიაკი წამით გაჩუმდა, — გაძლევთ უკანასკნელ შანსს, გვითხარი, ვისზე მუშაობ?

— მე უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის ემისარი ვარ.

— ბოჟკო გამოგონილი გვარია! სინამდვილეში ვინ ხარ?

— შენთვის ტატიანა ბოჟკო ვარ!

— კეთილი, შენს თავს დააბრალე!

ვოზნიაკმა თავისი ვეებერთელა მუშტი აღმართა. გვერდებოდათ, ცოტაც და ეს მუშტი ანა მაქსიმეცის თავზე დაეშვებო. ქალი მშვიდად იჯდა. მის სახეზე ერთი ნაკვთიც არ შერხეულა.

— ცოტას გიკარნახებთ, — ვოზნიაკმა ანას წინ ფურცელი და კალამი დაუგდო, — ყურადღებით მოისმინე: მე, ტატიანა ბოჟკო, ომამდე ვმუშაობდი შინსახკომზე. გერმანელთა მოსვლისთანავე გესტაპოს მივეყიდე. ბურგომისტრ შერსტიუკთან კონტაქტზე გესტაპოს დავალეებით გამოვედი, რადგანაც თეატრში მომხდარი ინციდენტის შემდეგ გერმანელები მას ეჭვით უყურებდნენ.

ვოზნიაკი წამით გაჩუმდა. ანამ ფურცელი აიღო და რაღაცის წერა დაიწყო. რამდენიმე

წუთის შემდეგ ქაღალდი ვოზნიაკს მიაწოდა: — ინებეთ!

ვოზნიაკმა ფურცელი გამოართვა. მასში დიდი, ბეჭდური ასოებით წერა:

„მე, უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის წევრი, ადგილობრივ პარტიოტებთან კონტაქტზე გამოვედი. ვიმედოვნებდი, რომ მათთან ერთად ძლიერ უკრაინულ ორგანიზაციას შევქმნიდით, შემდეგ კი უკრაინის დამოუკიდებლობისთვის ფართომასშტაბიან ბრძოლას დავიწყებდით.

ვწუხვარ, რომ მწარედ შევეცდი.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ უკრაინას!

ტატიანა ბოჟკო“.

ვოზნიაკმა წერილი ყურადღებით წაიკითხა და შერსტიუკს მიაწოდა. ბურგომისტრმა ქაღალდი მექანიკურად გამოართვა. ანა მაქსიმეცი კვლავ მშვიდად იჯდა.

\* \* \*

გუსტავი — ცენტრს:

„შერსტიუკთან კონტაქტზე გამოვიდა ახალგაზრდა ქალი, რომელიც კრიფო-როგში ტატიანა ბოჟკოს სახელით იმყოფება და მაღაზიაში გამყიდველად მუშაობს. მან შერსტიუკს განუცხადა, რომ დასავლეთ უკრაინიდან ჩამოვიდა, რათა უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის ცენტრის დავალეებით, შერსტიუკთან კონტაქტი დაამყაროს.

შემოწმებით დადასტურდა, რომ ქალი სიმართლეს ამბობს. გუსტავი“.

ცენტრი — გუსტავს:

„მოგკაწორდეთ ამ ქალის ბიოგრაფიული

Бог і Україна!

# САМОСТІЙНА УКРАЇНА

Редакція і Адміністрація: Станіслав, вул. Маршальська № 7. І номер, ч. т. 27. Ціна 50 коп. збо 3 м.н. 014118

Рік I.

Станіславів, 10 липня 1941.

Ч. 3.

უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადება სტეპან ბანდერას ხელმოწერით (1941 წლის 10 ივლისი)

## АКТ ПРОГОЛОШЕННЯ УКРАЇНСЬКОЇ ДЕРЖАВИ

1. Волею Українського народу, Організація Націоналістів під проводом Степана БАНДЕРИ проголошує створення Української Держави, за яку покладає свої голови всієї поволинської української сім'ї України.

Організація Українських Націоналістів, яка під проводом її Творця й Вождя Євгена КОНОВАЛЬЦЯ веде в останніх десятиліттях кризисного московсько-більшовицького поневолення запеклу боротьбу за свободу, визнає повіль український народ не схизни зброї так довго, доки на всіх українських землях не буде створена Суверенна Українська Влада.

Суверенна Українська Влада забезпечить Українському народові лад і порядок, всесторонній розвиток усіх його сил та задоволення всіх його потреб.

2. На західних землях України твориться Українська Вл.

да, яка підпорядкується українському Національному Урядові, що створиться у столиці України — КИЇВІ.

3. Новопостанова Українська держава буде тісно співпрацювати з Націонал-Соціалістичною Великою Німеччиною, що під проводом її вождя Адольфа ГІТЛЕРА творить новий лад в Європі і в світі та допомагає Українському Народові визволитися з московської окупації.

Українська Національна Революційна Армія, що твориться на українській землі, боротиметься даліше з СОЮЗНОЮ НІМЕЦЬКОЮ АРМІЄЮ проти московської окупації за Суверенну Соборну Державу і новий лад у цілому світі.

Хай живе Українська Суверенна Соборна Держава! Хай живе Організація Українських Націоналістів! Хай живе провідник Організації Українських націоналістів й Українського Народу — СТЕПАН БАНДЕРА!

СЛАВА УКРАЇНІ!



გერმანული პროპაგანდისტული პლაკატი (1941 წ.)

საბჭოთა პროპაგანდისტული პლაკატი (1941 წ.)



მონაცემები. შეამოწმეთ, კრივოი-როგში ვისთან აქვს კონტაქტები. ღირექტორი“.

**მზერაჲის  
წინასწარმეტყველება**

- პანი ტატიანა, მინდა გითხრათ...
- შერსტიუკს სიტყვა შუაში გაუწყდა. ანა მაქსიმეცი წამოღდა
- არ გინდა, სეროგა, არ გწყინს, შენობით რომ გელაპარაკები?
- არა.
- შენც შენობით მელაპარაკე. აკი ამიერიდან მებრძოლი ამხანაგები ვართ.
- თქვენი შემოწმების ამბავი ცუდად გამოვიდა. დამიჯერეთ. არ მინდოდა...
- შენს ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი, — ანა წამით გაჩუმდა, — კიდევ გაქვს კითხვები?
- დიახ, პანი.
- აკი შევთანხმდით, რომ პანები არ გკვავს!
- კეთილი, დრუჟე, — შერსტიუკმა ნერწყვი გადაყლაპა, — მინდოდა მეკითხა, რას აპირებთ?
- უკრაინის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.
- ჩვენც ეს გვინდა, — წარმოთქვა შერსტიუკმა — გერმანელთა მოსვლასაც მოუთმენლად ველოდით, ისინი კი...
- გასაგებია, — ანამ ჩაახველა, — უკრაინის დამოუკიდებლობა პიტლერის სქემაში არ ზის. სასიცოცხლო სიფრცე გერმანელთათვის!
- აი, რა სურს ფიურერს. ჩვენ, სლაგები, მისთვის არასრულფასოვნები და მონები ვართ.
- სულელი! ნუთუ ვერ ხვდება, რომ უკრაინა გერმანიის მოკავშირეა? ჩვენს გარეშე რუსებს ფეხებსაც ვერ მოსჭამს!
- მართალი ხარ, სერგეი. პიტლერი გერმანიას დაღუპავს და პოლიტიკური სარბიელიდან შერცხვენილი წავა!
- მაშ, გერმანია ომს წააგებს?
- გერმანელებმა ომი 1941 წლის 30 ივნისს წააგეს, როცა ლეოვში უკრაინის მთავრობა დააპატიმრეს, — ანამ თავი გააქნია, — ეს მარცხი კი არა, კატასტროფა იქნება. გერმანიას რამდენიმე ნაწილად დააქუცმაცებენ. მას რუსები, ინგლისელები და ამერიკელები დაინაწილებენ.
- ჩვენ რა გვეშველება?
- უკრაინამ თავის თავს თავადვე უნდა უშველოს. სტეპან ბანდერას შესახებ რამე გსმენია?

— ვიცი, რომ ოუნ-ის (უკრაინულ ნაციონალისტთა ორგანიზაცია) საზღვარგარეთულ ხელმძღვანელობაში გათიშვა მოხდა. ბანდერაც ერთ-ერთი ფრაქციის ლიდერია.

— ეს ფრაქცია არ არის, სერგეი! ჩვენ ცალკე ორგანიზაცია შევქმენით, სახელწოდებით ოუნ-რევოლუციური. სწორედ მის წევრებს უწოდეს ბანდერელები.

— თქვენ ბანდერელი ხართ?

— დიახ.

ანა წამოდგა, გაიღიმა. შერსტიუკი ჩუმი იჯდა.

\* \* \*

გუსტავი — ცენტრს:

„შემოწმებამ კარგად ჩაიარა. დადასტურდა, რომ ტატიანა ბოჟკო მართლა ბანდერელთა ცენტრის ემისარია. ჩვენი მონაცემების თანახმად, კრივოი-როგში ბანდერელებმა თავიანთი იატაკქვეშა ორგანიზაცია შექმნეს. ის ფაქტი, რომ მათი წარმომადგენელი შერსტიუკთან კონტაქტზე გავიდა, ნათლად მიუთითებს, რომ უახლოეს ხანებში მათი გააქტიურება მოსალოდნელია. გუსტავი“.

### „უკრაინის ბროლა მარტო უწყის“

სერგეი შერსტიუკმა და ანა მაქსიმეცმა აქტიური მოქმედება გააჩაღეს. მალე კრივოი-როგში გაიხსნა უკრაინული თეატრი, სკოლები, გამოვიდა ჟურნალ-გაზეთები. ყველაზე მეტი პოპულარობით გაზეთი „დზინი“ („ზარი“) სარგებლობდა. მისი მთავარი რედაქტორი პოეტი მიხაილო პრონჩენკო გახდა.

ქალაქის თეატრში წარმოადგინეს პრონ-

ჩენკოს პიესა „მაზეზა“. შემდეგ ამას მოჰყვა უკრაინული სცენის კლასიკოსთა ნაწარმოებები. თეატრის დირექტორად გამოცდილი რეჟისორი დაინიშნა, რომელიც საბჭოთა პერიოდში უკრაინულ თეატრ-სტუდია „ბერეზილში“ მოღვაწეობდა და ლეგენდარული უკრაინელი მსახიობისა და თეატრალური რეჟისორის, ლეს კურბასის მხარდამხარ მუშაობდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უკრაინულ ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის აღდგენას. მას სათავეში ყოფილი პოლიტპატიმარი მამა საველი (ვასილ გუიგანოვი) ჩაუდგა. ეკლესია, ისევე როგორც თეატრი, უკრაინული პატრიოტიზმის უმძლავრეს კერად გადაიქცა.

მალე კრივოი-როგში ამოქმედდა სპორტულ-პატრიოტული საზოგადოება „სინი“. მან ქალაქის ახალგაზრდობა უმალ მიიზიდა. ამოქმედდა „პროსვიტას“ (ტარას შევჩენკოს სახელობის უკრაინული საგანმანათლებლო ორგანიზაცია, დაარსდა 1868 წელს) ქსელი. ქალაქში წესრიგის დაცვა დაეკისრა ადგილობრივ პოლიციას, რომელიც მთლიანად ნაციონალისტებით იყო დაკომპლექტებული. ახლომახლო სოფლებში შეიქმნა უკრაინული ეროვნული თავდაცვის რაზმები. სოფლებზე უკრაინული ეროვნული დროშები აღიმართა.

გუსტავი — ცენტრს:

„კრივოი-როგი უკრაინული შოვინიზმის ციტადელად გადაიქცა. ნაციონალისტური პროპაგანდა დღისით-მზისით მიმდინარეობს. შოვინიზმის უმთავრესი კერა ბურგომისტრი შერსტიუკი და მისი უახლოესი გარემოცვაა. მათი საქმიანობა განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ბანდერელებსა და შერსტიუკს შორის კონტაქტები დამყარდა. გუსტავი“.



ლეს კურბასის მემორიალური დაფა ხარკოვის დრამატული თეატრის კედელზე



პიტლერების მიერ ოკუპირებულ უკრაინაში

\* \* \*

ანა წამოდგა, თმა შეისწორა. სერგეი შერსტიუკი ჩუმად იჯდა.

— სერიოგა, — ჩუმად წარმოთქვა ქალმა, — მოდი, შევთანხმდეთ, სტალინი ისეთივე ბოროტებაა, როგორც პიტლერი. დამოუკიდებლობას არავინ მოგვცემს. ის ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ.

— ანუ გინდათ მითხრათ...

— ჰო, სერიოგა, პიტლერსაც უნდა ვებრძოლოთ და სტალინსაც.

— ეს ხომ სიგიჟეა!

— აბა, რა ვქნათ? რუსი ბატონი გერმანელზე გავცვალოთ?!

— არ ვიცი...

— მიმდინარეობს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება, — ანა მაქსიმეცი წამით გაჩუმდა, — მსოფლიო ომის გარეშე ეს შეუძლებელია. იბრძვიან რუსი და გერმანელი იმპერიალისტები, აგრეთვე დასავლური დემოკრატია, აშშ და ინგლისი. საფრანგეთი უკვე დამარცხებული ქვეყანაა. მას ამერიკელები და ინგლისელები ადადგენენ.

— ანუ გერმანია დამარცხდება?

— გერმანია განწირულია, ჩემო კარგო! პიტლერი მთელ მსოფლიოს დაუპირისპირდა. მითხარი, რომელი ქვეყანა გაუძლებს ამას?

— მაშ, გამოდის რომ...

— ახალ მსოფლიო წესრიგს საბჭოთა კავშირი, ამერიკა და ინგლისი შექმნიან. ასე სურს სტალინს. ჩვენ კი ჩვენი მიზნები გვაქვს. ეს უკრაინის დამოუკიდებლობაა. მაგრამ სანამ

რუსეთის იმპერია არსებობს, უკრაინა დამოუკიდებელი ვერ იქნება! — ანამ თავი გააქნია, — რუსეთი უნდა დაიგრეს! პირველ მსოფლიო ომს რუსეთში სოციალისტური რევოლუცია მოჰყვა. ახლა ყველაფერი ნაციონალური რევოლუციით უნდა დამთავრდეს. უკრაინელებმა, ქართველებმა, შუაახიელებმა, ყველამ, ვინც რუსული უღლის ქვეშ გმინავს, ერთი ფრონტი უნდა შეკრან. მარტო ვერავინ ვერაფერს გახდება. თუკი ერთად ვიქნებით, მაშინ რუსეთსაც დავანგრევთ, მსოფლიოსაც ჩვენს ძალას ვაჩვენებთ. ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის შექმნისას უკრაინის დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვისაც მოიძებნება ადგილი.

— ანუ არც რუსეთი, არც გერმანია, არც ამერიკა, არც ინგლისი უკრაინის დამოუკიდებლობით დაინტერესებული არ არიან?

— ამ ეტაპზე ასეა.

— და როგორ მოვიქცეთ?!

— ჩვენ ჩვენი თამაში უნდა ვითამაშოთ. ჩვენი პოლიტიკა უნდა იყოს არა პრორუსული, პროგერმანული ან პროინგლისური, არამედ პროუკრაინული.

— ეს ბანდერელთა პოზიციაა?

— ღიახ.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— მე ყველაფერი გულახდილად გითხარი, — ყრუდ წარმოთქვა ანამ, — ჩვენი ბრძოლა სისხლიანი და მძიმეა. თუმცა უკრაინას ბრძოლა მუდამ მარტოს უწევდა... არჩევანი თავად უნდა გააკეთო! მე ყველაფერი გულახდილად გითხარი. აბა, ჩვენთან ხარ თუ არა?

— მე ბანდერელებთან ვარ, — წაიჩურჩულა შერსტიუკმა, — ან თქვენთან ერთად გავიმარჯვებ, ან დავიღუპები!

\* \* \*

თათბირს შტურბანფიურერ დიტერ მაიერის დაახლოებული პირები ესწრებოდნენ, ჰაუპტშტურმფიურერი ბერგერი და უნტერ-შარფიურერი შტეტკე.

— რაიხსფიურერი გააფთრებულია. თავად განსაჯეთ, რა ხდება კრივოი-როგში? რაღაც გაურკვეველი სახელმწიფოს დროშები ფრიალებს, იხსნება უცნაური სკოლები, თეატრები, ასე გაგრძელდება აღარ შეიძლება! — ცხარობდა მაიერი.

— ყველაფერი ბურგომისტრის ბრალია, — ჩაიბუზღუნა ბერგერმა, — ეს შერსტიუკი...

— მაგისტრისაღ მოვიცლით, — მაიერმა თავი გააქნია, — ჩვენი არმია მოსკოვს მიუახლოვდა. რამდენიმე დღეში რუსების დედაქალაქი დაეცემა. შერსტიუკსაც საჯაროდ ჩამოკიდებთ. მანამდე დაე, გაერთოს!

მაიერი გაჩუმდა, თანამოსაუბრენი შეათვალიერა.

— მე სხვა რამისთვის მოგიწვიეთ, — ყრუდ წარმოთქვა გესტაპოს შეფმა, — მაქვს ინფორმაცია, რომ ქალაქში მოქმედებს ბანდერელთა რეზიდენტი, მეტსახელად ბორკუნი. აგენტურა ირწმუნება, რომ ის გესტაპოს თანამშრომელია.

— რაო?! — ერთხმად შესძახეს ბერგერმა და შტეტკემ.

— დიახ, ეს ბორკუნი გესტაპოს თა-

საბჭოთა ტყვეების კოლონა

ნამშრომელია, ანუ მას ყოველდღე ვხვდებით. ის წესისამებრ გვესალმება, — ჰაილ ჰიტლერ! მეგობრულად გვიღიმის.

— დარწმუნებული ხართ, რომ ბანდერელია? — შტეტკეს თვალები აენთო.

— ჩემი წყარო ასე იტყობინება, მას კი არასოდეს მოუტყუებია! ამ ბორკუნზეც რაღაც-რაღაცები უკვე დაუდგინე: იგი უკრაინელი ემიგრანტის შვილია. ჩვენს რიგებში წლების განმავლობაში ნერგავდნენ. არ გამოორიცხავ, რომ ბანდერელთა სბ-ის გარდა, ინგლისელებთან ან ამერიკელებთანაც იყოს დაკავშირებული.

— იქნებ რუსებთანაც არის შეკრული? — შტეტკემ ვეებერთელა მუშტები მოკუმმა.

— არ მეოხია, თუმცა არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება! ჩვენთვის ბანდერელები ისეთივე მტრები არიან, როგორიც რუსები. მათ დამოუკიდებელი უკრაინის შექმნა სურთ. ეს კი მათ მეტს არავის სჭირდება.

— თუკი კრივოი-როგში შერსტიუკის ბანდის პარპაში გაგრძელდა, უბედურება გარდაუვალია, — ჩაერია ბერგერი, — პოლიცია მათი ხალხით არის დაკომპლექტებული, სოფლებში ე.წ. თავდაცვის რაზმებია შექმნილი. ბანდერელები ხალხს აიარალებენ. ერთ მშვენიერ დღეს ზურგში დაგვარტყამენ.


— ვიცი, — მაიერმა თანამოსაუბრენი შეათვალიერა, — მისმინეთ, მეგობრებო, აი, რის თქმა მსურს...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**ნიპა თეზაძე**

ისტორიის დოქტორი





ციხე-დარბაზის საერთო ხედი

# შამბორის ციხე-დარბაზი

საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არქიტექტურული შედევრი, შამბორის ციხე-დარბაზი მეფე ფრანცისკ I-ის ბრძანებით 1519-1547 წლებში ააგეს ლუარას დაბლობში — ხელმწიფეს სურდა, უფრო ახლოს ყოფილიყო საყვარელ ქალთან, გრაფინია კლოდ დე ტურისთან, რომელიც მახლობლად ცხოვრობდა.

შამბორის ციხე-დარბაზი რენესანსის ეპოქის მშვენიერებაა, რომლის პროექტიც დადასტურებულია გენიალური ლეონარდო და ვინჩის მონაწილეობა. ის ფრანცისკ I-ის კარის არქიტექტორიც გახლდათ და ამ მშენებლობის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე გარდაიცვალა. ლეონარდოს გარდა, პროექტი მიწერება იტალიელ არქიტექტორ დომენიკო და კორტონას, იმავე ბოკადორს, სახელგანთქმული არქიტექტორის, ჯულიანო დე სანგალოს მოწაფეს.

ქალაქ ბლუადან 14 კილომეტრით დაშორებული მოზრდილი, ტყიანი მამული შამბორი გრაფ ბლუასგან 1392 წელს შეიძინა ორლეანელ ჰერცოგთა ოჯახმა. 1498 წელს ორლეანელი ჰერცოგი საფრანგეთის მეფე გახდა ლუდოვიკო XII-ის სახელით და შესაბამისად,

შამბორი სამეფო საკუთრებად იქცა. უძეოდ გადაგებული ლუდოვიკო XII-ის მემკვიდრის, ფრანცისკ I-ის ბრძანებით შექმნილი უმშვენიერესი ანსამბლი დგას მდინარე ლუარას მარცხენა ნაპირიდან 6 კილომეტრის დაშორებით, პატარა მდინარე კოსონთან, რომელიც ლუარას შენაკად ბევრონს ერთვის.

ანსამბლის ფასადის სიგრძეა 156, ხოლო სიგანე — 117 მეტრი. შამბორში 426 ოთახი, 77 კიბე, 282 ბუნარი და 800 სკულპტურულად შემკული კაპიტელია. გარე გალავნის საერთო სიგრძე 33 კილომეტრია. მიუხედავად იმისა, რომ ნაგებობა არ ყოფილა განკუთვნილი საომარი მოქმედებებისთვის, მისი ცენტრალური ნაწილი, ე.წ. დონჟონი, ისევეა აგებული, როგორც შუა საუკუნეების გამაგრებულ ციხესიმაგრეებში. დონჟონში ხუთი საცხოვრებელი




*შამპორი ჩიტიის ვაფრუნის სმალიდან*







შაპორი არ ყოფილა განკუთვნილი  
საომარი მოქმედებებისთვის, თუმცა  
მისი ცენტრალური ნაწილი, ე.წ.  
დონჟონი, ისევეა აგებული, როგორც  
შუა საუკუნეების გამაგრებულ  
ციხესიმაგრეებში





(ზემოთ) ბუხარი ლუდოვიკო XIV-ის საწოლი ოთახი  
(ქვემოთ) მეფის საწოლი



დიდ ტერასაზე  
შეიძლება დონჟონის  
შემოვლა მთელ  
პერიმეტრზე



სართულია. ყოველ სართულზე ოთხი კვადრატული და ოთხი მრგვალი სათავსია, მათ შორის კი ოთხი დერეფანია, რომელთაც ცენტრში განლაგებული ორმაგი კიბისკენ მიყვავართ. მოგვიანებით ფრანცისკო I-მა ციხე-დარბაზი გააფართოვა და აღმოსავლეთი ფრთის უფრო ვრცელ სათავსებში ცხოვრობდა. დასავლეთ ფრთაზე აიგო სამრეკლო, რომელიც ჟან ლე ჰუმბლმა დაასრულა.

სამრეკლოსა და სამეფო პალატების ასეთი განლაგება უჩვეულო იყო იმ დროისთვის — მეფის სამყოფელი იერუსალიმისკენ იყო მიმართული, რითაც მეფეს სურდა ეჩვენებინა, რომ ქვეყანაში მას ემორჩილებოდა სულიერი ცხოვრებაც. როგორც ამბობდნენ, მეფესა და მის მეგობარ ჟან ლე ჰუმბლს მდინარე ლუარას კალაპოტის შეცვლაც კი სურდათ, რათა მას უშუალოდ შამპორის წინ ედინა, თუმცა შემდეგ გადაიფიქრეს.

შამპორის ცენტრალური ორმაგი ხვეული კიბე შესანიშნავად გადმოსცემს ლეონარდოს შემოქმედებით სტილს. ორი შესასვლელის მქონე ორი სპირალური კიბე ერთი მიმართულებით ისეა დახვეული, რომ ერთმანეთს არ კვეთს. ამდენად, ჩამომსვლელნი არ შეხვდებიან ამსვლელთ და პირიქით. ნაკვეთი ჩუქურთმებით შემკული ამ მონუმენტური კიბით შესაძლებელია ასვლა ასევე ლეონარდოს მიერ დაპროექტებულ დიდ ტერასაზე. აქ კი შეიძლება დატკბეთ საკვამურებითა და სახურავის კაპიტელებით, შემოიაროთ დონჟონი მთელ პერიმეტრზე. კიბის თავზე აღმართულია შუქურასებრი კოშკურა, რომლის ხილვა შენობის ქვედა სართულებიდანაცაა შესაძლებელი. კოშკურა ყველა საკვამურს აღემატება, მისი სიმაღლე 32 მეტრს აღწევს და ტრადიციული ჯვრის ნაცვლად სამეფო შროშანათი მთავრდება.

მეორე სართულის თაღები შემკულია მეფის ემბლემით (მონოგრამა — გვირგვინიანი F და სალამანდრა), რომელსაც თან ერთვის მეფის დედის, ლუიზა სავოელის ემბლემაც — კვანძში გაყრილი ზონარი. ტერასებზე ზოგი კიბის მონოგრამა თავდაყირაა შესრულებული, რათა „ღმერთმა მაღალი ციდან დაინახოს მეფის მორჭმულობა“...

1519 წელს დაწყებული მშენებლობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი იყო აღორძინების ეპოქაში. აქ 1700-1800 მუშა იყო დასაქმებული. დაინხარჯა დაახლოებით 220 ათასი ტონა ქვა.


მშენებლობა მძიმე პირობებში, ჭაობიან ადგილას მიმდინარეობდა და ციებით მრავალი მუშა დაიღუპა. კალატროზებს მუხისგან დამზადებული საძირკვლის ხიმინჯები 12 მეტრის სიღრმეზე ჩაჰყავდათ მიწაში. სენ-დიეს პორტიდან ფორნებით ეზიდებოდნენ სამშენებლო მასალებს და თეთრი ქვიშაქვის ბლოკებს. ქვის მთლელები, რომლებიც სხვა მუშებისგან განსხვავებით, გამოუმუშავებაზე იყვნენ, ნამუშევრის აღსარიცხავად დამუშავებულ ქვებზე თავის ნიშნებს ტოვებდნენ, რომელთა ნახვა დღესაც შეიძლება. მშენებლობა, ფაქტობრივად, დასრულდა მეფის გარდაცვალების წელს (1547), რომელმაც შამპორში მცირე დროის გატარება მოასწრო.

ანსამბლის საცხოვრებელი ნაწილი კი 1537 წელს დასრულდა, 1540 წლისთვის აიგო სამეფო აპარტამენტების ორი სართული, პირველი სართული კაპელითა და მსახურთათვის მიმდებარე შენობების კედლები. საბოლოოდ სამეფო ოთახები და კაპელა, რომელიც მეორე სართულის დონემდეა აღმართული, 1547 წელს დაასრულეს. აპარტამენტები მოიცავდა თითოეულ სართულზე ოთხ ოთახს და კიდევ ოთხ-ოთხი კუთხეების კომპლექსი იყო განლაგებული. თითოეულ აპარტამენტში შედიოდა დიდი დარბაზი, საძინებელი და გარდერობის ოთახი. მსახურები ზემო სართულებზე ცხოვრობდნენ. სათავსების უმრავლესობა ბუხრებით თბებოდა. ციხე-დარბაზის ყველა სართულსა და სათავსს კი ცენტრალური ორმაგი ხვეული კიბე აერთიანებს, რომლის ზედა ტერასიდან უბრწყინვალესი სახურავის ხედი იშლება. იგი შემკულია აღორძინების ეპოქის შესანიშნავი ლუკარნებით, ანუ დახრილი სახურავის ფანჯრის ნიშებით, რომლებიც იტალიურ სტილშია შესრულებული. ლუკარნები მორთულია პინაკლებით (დეკორატიული კომპი), ფარნებით, ბუხრის მილებით, კოლონებით, ფრონტონებითა და ქანდაკებებით. ცენტრალური უზარმაზარი ფარანი ცენტრალურ ხვეულ კიბეს ასრულებს. რომელიც, თავიდან ღია იყო, შემდეგ კი ვიტრაჟებით შეამკეს. მომცრო ხვეული კიბეებია ასევე კუთხის კომპლექსში.

ხელმწიფე აქ რამდენჯერმე ჩამოვიდა სანადიროდ დედოფალთან, ელეონორა ჰაბსბურგთან ერთად. ხოლო 1539 წელს თავისი სიმდიდრისა და სიდიადის სადემონსტრაციოდ პომპეზურად უმასპინძლა თავის მუდმივ



ორი შესასვლელის მქონე ორი სპირალური კიბე ისეა დახვეული, რომ ერთმანეთს არ კვეთს. (ზემოთ) კიბის კომპი, (შუაში) ორმაგი ხვეული კიბე, (ქვემოთ) კიბის კომპის ტურა





ციხე-დარბაზს გარს შემოვლებულ წელიან თხრილს საკუთარი „ნავსადგურიც“ აქვს

ესპანელ მოწინააღმდეგეს, რომელთან ბრძოლასაც, შეიძლება ითქვას, ათეული წლები შეაღია — რომის საღვთო იმპერიის იმპერატორ კარლოს V ჰაბსბურგს. ეს უკანასკნელი დაუმთავრებელი ციხე-დარბაზითაც კი იმდენად აღტაცებული დარჩა, რომ მას უწოდა „ყოველივე იმ უმშვენიერესის სინთეზი, რაც კი შეიძლება შექმნას ადამიანის გენიამ“...

ფრანცისკის გარდაცვალების შემდეგ, მისმა მემკვიდრე ანრი II-მ მშენებლობა განაგრძო და დაასრულა კიდეც. თუმცა ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ (1559 წელს) საფრანგეთის მეფეები ამ ციხე-დარბაზით დიდად აღარ ინტერესდებოდნენ. კარლოს IX, რომელსაც ნადირობა უყვარდა, რამდენჯერმე იყო აქ, ხოლო 1574 წელს მისი სიკვდილის შემდეგ შამპორი უმეტესად ცარიელი რჩებოდა — მეფეები ანრი III და ანრი IV იშვიათად ჩამოდიოდნენ. 1639 წელს ლუდოვიკო XIII-მ ბლუას საგრაფო და მასთან ერთად შამპორიც თავის ძმას, გასტონ ორლეანელს აჩუქა, რომელმაც მამინვე განაახლა სამშენებლო სამუშაოები. მოგვიანებით ციხე-დარბაზი კვლავ მეფეთა კუთვნილება გახდა.

1684 წელს ლუდოვიკო XIV-მ ციხე-დარ-

ბაზი გადააკეთა, გამოცვალა სამრეკლოს სახურავი, მეორე სართულის ჩრდილოეთი ვესტიბიულის ოთხი პალატი შეუერთა სამეფო ანფილადას, ვერსალის სამეფო აპარტამენტების მსგავსად. ლუდოვიკო XIV-მ შამპორში მიიწვია მოლიერი თავისი პარიზის თეატრალური დასით და სწორედ ამ სასახლეში დაიდგა პირველად „გაანზაურებული მდაბიო“.

1725-1733 წლებში შამპორში ცხოვრობდა ლუდოვიკო XIV-ის სიმამრი, ჩამოგდებული პოლონეთის მეფე სტანისლავ ლეშჩინსკი, რომელმაც ლოთარინგიის ჰერცოგის ტიტული მიიღო. 1745-1750 წლებში ციხე-დარბაზი გადაეცა მარშალ მორიც საქსონელს და შენობა მისი მოხალისეთა პოლკის ყაზარმის როლს ასრულებდა. XVIII საუკუნის შუა წლებში კი, გადმოცემის თანახმად, მეფე ლუდოვიკო XV-ის ნებართვით, შამპორში საიდუმლოებით მოცული გრაფ სენ-ჟერმენის ალქიმიური ლაბორატორია მოქმედებდა...

1793 წელს, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, ციხე-დარბაზი გაძარცვეს და დანგრევას ძლივს გადაურჩა — ახლომასლო მცხოვრებლებმა შამპორის დაშლა და მისი

ქვებით „პატრიოტთა სახლის“ აგება მოინდომეს... რევოლუციურმა მთავრობამ ავეჯის გაყიდვა დაიწყო.

1809 წელს ნაპოლეონ ბონაპარტმა ციხე-დარბაზი მარშალ ბერტიეს გადასცა. რუსტივრაციის პერიოდში, 1821 წელს მარშლის ქვრივისგან შამბორი გამოისყიდეს, მისი მფლობელი გახდა კარლოს X-ის შვილიშვილი, ბორდოს ჰერცოგი ანრი დ'არტუა, რომელმაც 1830 წლის რევოლუციის შემდეგ გადასახლებაში მყოფმა, გრაფი შამბორის ტიტული აიღო. საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს ნაგებობა სავსე ჰოსპიტლად იქცა. 1871 წელს გრაფმა შამბორმა ციხე-დარბაზიდან მანიფესტით მიმართა ფრანგებს, რომლითაც მონარქიის აღდგენისკენ მოუწოდებდა. 1883 წელს შამბორის მფლობელი პარმის ჰერცოგთა ოჯახი გახდა: უძეოდ გადაგებული გრაფი შამბორისგან ციხე-დარბაზი მემკვიდრეობით მიიღო პარმის ჰერცოგმა რობერტმა, რომელიც დედის მხრიდან ერეგებოდა ბიძად.

1932 წელს საფრანგეთის სახელმწიფომ შამბორის ციხე-დარბაზი ჰერცოგ ელია ბურბონ-პარმელისგან 11 მილიონ ოქროს ფრანკად გამოისყიდა და მას შემდეგ „შამბორის მეგობართა ასოციაციის“ მიერ იმართება. 1945 წელს ხანძრის გამო დონჟონის სახურავის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი განადგურდა. 1947 წლიდან დაიწყო დიდი სამუშაოები შამბორის უმნიშვნელოვანეს ტურისტულ ობიექტად გადასაქცევად. უკვე 1952 წლიდან იმართება ხმოვანი, განათებული საღამოს წარმოდგენები. მეორე სართულზე განლაგებულია ნადირობისა და ბუნებისმეტყველების მუზეუმის განყოფილება.

1981 წელს შამბორი იუნესკომ აღიარა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად (№933). 2005 წლიდან ციხე-დარბაზს აქვს სახელმწიფო საზოგადოებრივ-კომერციული საწარმოს სტატუსი. 2007 წელს აქ 17 300-მა სკაუტმა იზეიმა ლორდ ბადენ პაუელის მიერ სკაუტთა ორგანიზაციის შექმნის 100 წლისთავი.

გადმოცემით, როგორც ყველა „წესიერ“ ციხე-დარბაზში, შამბორის მამულშიც „ბინადრობს“ მოჩვენება, ვინმე გრაფი ტიბალდი, რომელიც შამბორის ტყეში, ცხენზე ამხედრებული, მხოლოდ წვიმიან ამინდში ეჩვენება ხალხს...

**რამაზ გურგენიძე**




*ფრანცისკ I-ის მონოგრამა — F*



*სალამანდრის ერთ-ერთი გამოსახულება მრავალთავან*

*შამბორის ნახვით აღფრთოვანებული დარჩა საფრანგეთის მეფის მუდმივი მოწინააღმდეგე, რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი კარლოს V ჰაბსბურგი*



# ელენე ამირეჯიბის არაკულინარიული რესპონსები

ცნობილ ქართველ რეჟისორ თენგიზ აბულაძეს სუფრა ჰქონდა გაშლილი. შიო დედაბრძივილი გახლდათ თამადა. სტუმრებს შორის იყო ორი ხელოვანი პოლონეთიდან — ცნობილი მწერალი იეჟი შტეფან სტაჟინსკი და მისი მეუღლე, ასევე მწერალი და რეჟისორი ელენე. თამადამ ინება, ყველა სტუმარს თითო სადღეგრძელო ეთქვა თავისი ინიციატებით. როცა ჯერი სტაჟინსკიზე მიდგა, ადგა და საბჭოთა ხელისუფლების სადღეგრძელო წარმოთქვა. სუფრასთან მსხდომთ ლუკმა ყელში გაეჩინათ, გაცივებული უყურებდნენ პოლონელ სტუმარს... ცხადია, პან იეჟიმ იცოდა, რასაც აკეთებდა. სხვებმა ვერ გაიგეს. ამიტომაც ახსნა: რომ არა საბჭოთა კავშირი და მისი ხელისუფლება, ეს გოგონა არასდროს წამოვიდოდა საქართველოდან, და არასდროს გახდებოდა ჩემი მეუღლე. რომ არა საბჭოთა კავშირი, რა უნდოდა პოლონეთში? — არც არაფერი! ამიტომაც, მაღლობა!..

ყველამ ქალბატონ ელენეს შეხედა — ელენე ამირეჯიბი-სტაჟინსკას, რომელსაც პოლონეთსა და ევროპაშიც საკმაოდ კარგად იცნობდნენ, მაგრამ ვაი რომ, დედა საქართველოში — არც თუ ისე... მის წიგნებს აბა, ვინ გადმოთარგმნიდა, როცა ყოველი სტრიქონი დიდი სადარდელით იყო გაჟღერებული: საბჭოთა ხელისუფლებისგან შერყვნილ-გამარცხული საქართველოსთვის აღარც ჰქონდა ბრძოლის ჟინი, თანაც ფიზიკურ გადარჩენაზეც უნდა ეზრუნათ... ასე დარჩა ელენე ამირეჯიბი, ამ გვარით გაიცნო ევროპამ.

იეჟი სტაჟინსკის წიგნები ქართულად იყო ნათარგმნი და მისი სცენარების მიხედვით არაერთი სპექტაკლი დადგმულა საქართველოში. მას სცენარების დიდი ნაწილი მეუღლესთან თანაავტორობით აქვს შექმნილი. მისი წიგნის — „არხის“ მიხედვით, ანდჟეი ვაილამ გადაიღო ფილმი, რომელიც უამრავ კინოფესტივალზე დაჯილდოვდა, მათ შორის საუკეთესო სცენარისტისთვისაც. მოგვიანებით, 2000-იან წლებში კი ოსკარიც მიიღო. მაშინ ანდჟეი ვაილამ აღნიშნა, რომ არ ყოფილიყო იეჟი სტაჟინსკი, არ იარსებებდა ვაიდაცო!

2011 წელს, მას მერე, რაც მეუღლე გარ-



ელენე ამირეჯიბი

დაეცვალა, ელენე ამირეჯიბი საქართველოში დაბრუნდა. უხმაუროდ, წყნარად მიიღო სამშობლომ. მასაც არ ჰქონია სურვილი, აჟიოტაჟი ამტყდარიყო...

ფოტოებს ვუყურებთ:

— აი, ეს ფოტოები დაბეჭდეთ... ახლანდელი საჭირო არ არის, დაე, ის დაამახსოვრდეთ, როგორც ვიყავი... ახლა... ასაკს არ დავასახელებ, თვამაც მინდა დავივიწყო ჩემი ასაკი. იმას კი გეტყვით, რომ პოლონეთში 50 წელიწადს ვიცხოვრე.

ჩემი წიგნი, რომელიც პოლონეთში ძალიან პოპულარული იყო — „არაკულინარიული რეცეპტები“ ჩემმა ძმისწულმა — რუსულად ამირეჯიბმა თარგმნა ქართულად. ამ წიგნში მოყვანილი მაქვს ქართული რეცეპტებიც, თუმცა მთავარი სულ სხვა რამ არის, ანუ ის, რაც რეცეპტებს მოსდევს — თხრობა ქართველებსა და საქართველოზე. მაგალითად, ვარდანი კატლეტების მომზადების რეცეპტი მაქვს მოყვანილი. ვარდანი ბაბუაჩემის დის მეუღლის — ალექსანდრე ყანჩელის მზარეული იყო (ცნობილი ლიტერატორი ალექსანდრე ყანჩელი თამარ ამირეჯიბის მეუღლე გახლდათ, იმ თამარისა, რომელსაც ბალმონტმა „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანი უძღვნა). როგორც მიაძობოდნენ, ალექსანდრე ყანჩელი სოფლად, მგონი, ბარნაბიანთ კარში, ყოფილა სტუმრად. იქ ერთი გლეხის ოჯახში ლობიო მიურთმევიათ. მსგავსი გემრიელი ლობიო არ

მენახაო... ლობიო ვარდანის მომზადებული აღ-  
მოჩნდა და პაპამაც ის თბილისში წამოიყვანა.  
ჯერ ფრანგულის მასწავლებლები დაუქირა-  
ვა, შემდეგ კი პარიზში გაუშვა, კულინარიის  
აკადემიაში. ოქროს მედალზე დაუმთავრებია  
ვარდანს სასწავლებელი, სადილომოდ ვარდის  
ფორმის ტორტი გამოუცხვია. ბრწყინვალე შე-  
ფასება მიუციათ ამ ტორტისთვის, დარჩენასაც  
სთავაზობდნენ, მაგრამ არ გაჩერდა, თბილისში  
ჩამოვიდა და ალექსანდრე ყანჩელთან დაიწყო  
მუშაობა. მექალთანე კაცი კი დადგა, თურმე,  
ლამის ყველა მოახლესთან ჰქონდა სასიყვარ-  
ულო კავშირი, ერთთან შვილიც კი შეეძინა,  
მაგრამ ოჯახი მაინც არ შექმნა... აი, ამ ვარ-  
დანის კატლეტები ცნობილი იყო თბილისში  
და ჩვენს ოჯახშიც. თუმცა, წიგნში დავწერე:  
ღირს კი მოამზადოთ კატლეტი, რომელსაც  
ორი საათი უნდა დასტრიალებდეთ თავს და  
რომელიც ხუთ წუთში შეიჭმება-მეთქი...

ჩვენს ოჯახში, საქართველოში, ასეთ კატ-  
ლეტებს ცხადია, ვერ ვამზადებდით... ისეთ  
სიდუხჭირეში ვცხოვრობდით, ომის წინა  
წლები იყო და საჭმელი ძალიან ჭირდა. უკვე  
ყველაფერი წართმეული გვქონდა და ყაზბეგის  
ქუჩაზე, პატარა ბინაში ვცხოვრობდით. ჩემს  
უმცროს ძმას ხშირად იმიტომ ვუყვებოდი  
ზღაპარს, რომ შიმშილი დამევიწყებინა. „იყო  
და არა იყო რა, იყო ერთი მეფე“, — დავიწყებ-  
დი მოყოლას. მეფე ვინ არის? — მეკითხებოდა.  
კაცი, რომელიც მდიდარია და ყველა სურვი-  
ლის შესრულება შეუძლია...

— აი, გავიზრდები და მე ვიქნები მეფე! —  
მითხრა ერთხელ. აღარ მითქვამს, ჰოდა, დაგხ-  
ვრეტენ-მეთქი და ვითომ სხვათა შორის ვკითხე,  
რად გინდა მეფობა? წაუალ ბახარში, ვიყიდი  
კარგ ნავთქურას, დიდ ნაჭურ ხორცს, მოვამ-  
ზადებთ სადილს და ყველა დავნაყრდებითო!


სკოლაში უხალისოდ დადიოდა, დიდი დას-  
ვენებები კი უყვარდა, იმიტომ, რომ მანეთად  
ფუნთუშა შეძლო ეყიდა. მოსკოვში რომ წავედი  
და ვიკ-ში მოვეწყვე, წერილი მომიფიქრა მისგან.  
ძალიან მსხვილი კონვერტი იყო. გამიკვირდა.  
ვიცოდი, წერილების წერა არ უყვარდა. გავხსე-  
ნი და რას ვხედავ: ათი მანეთიანი გადმოვარდა.  
ათი დღე სკოლაში ფუნთუშა არ ეყიდა და მე  
გამომიგზავნა: ახლა უცხო ქვეყანაში ხარ, იქ-  
ნებ გშია, იყიდე რამე და ჭამეო, თუ არ გშია,  
მაშინ კაპრონის წინდები შეიძინე, უკვე დიდი  
გოგო ხარ და შენ კი ბავშვოვით ბამბის წინდით  
დადიხარო. მერე ჩემი ძმა ფეხბურთის მწვრთნე-



„არაკული-  
ნარიული  
რეცეპტების“  
ქართული  
გამოცემა



ელენე  
ამირჯუიბის  
გამოცემები



ელენე  
ამირჯუიბი



იეჟი  
შტეფან  
სტაჟინსკი  
და ელენე  
ამირეჯიბი

ლი გახდა. იცით რატომ? აძლევდნენ წვნიანს და პურს, ზოგჯერ ხორცსაც. მოჰქონდა შინ.

ასეთი მძიმე დრო იყო... ცნობილი ალექსანდრე ყანჩელიც კი, ვისთანაც მთელი კულტურის ელიტა იკრიბებოდა, ვისაც ვარდენი ფრანგულ კერძებს უმზადებდა, ისე იყო გადატაკებული, გახსენება არ მინდა. უაღრესად დათრგუნვილი მოდიოდა ჩვენთან. დედა რაღაც უბრალო წვნიანით უმასპინძლებოდა. მამა ამ კერძს პოტოტალასხს ეძახდა. პოტო ფრანგულად თეფშია, ტალახი კი რაც არის, ყველამ იცით...

*ელენე ამირეჯიბი ფილმის გადაღებისას (1966 წ.)*



ისე, ახლა გამახსენდა, დედას ალბომი ჰქონდა, სადაც სხვადასხვა სტუმარი ლექსებს უწერდა. გალაკტიონსაც ჩაუწერია იქ ლექსი... ბალმონტს კი ასეთი სტრიქონები დაუწერია: *Марика, Марика, не будь так дика! Угади поэта, съешь одну котлету.* ეს იმდროინდელი ლექსი იყო, როცა ჯერ კიდევ კარგად ცხოვრობდნენ... ეს ბლოკნოტი, სამწუხაროდ, დაიკარგა...

დეიდაჩემი დავით რონდელის ცოლი იყო. მას და დედაჩემს ერთი დედა ჰყავდათ და სხვადასხვა მამა. დავით რონდელი მეტად ფრთხილი კაცი იყო, ზედმეტ სიტყვას არ იტყოდა ხელისუფლებასზე. მისი მეუღლე დეიდა ნინო კი პირიქით. მახსოვს, რადიოში პოლიტიკური გადაცემა რომ იყო, ხმამაღლა გასძახებდა შვილს: ალიკ, გამორთე რადიო, არ მოგწვინდა სტალინის მოსმენა! ამაზე დავით რონდელი დაფრთხებოდა და ცოლს საყვედურობდა: ნინა, არ გააჩაღო კონტრრევოლუცია ოჯახშიო!

ჩემი პირველი ქმარი პოლონელი იყო, მან წამიყვანა პოლონეთში. სხვათა შორის, შეიძლება გაგედომოთ, პირველი რაც მომეწონა, ვიდრე გავყვებოდი, მისი წითელი სვიტერი იყო, მკლავები ელვა შესაკრავით ეხსნებოდა, სამი ჯიბე წინ ჰქონდა, სამი — უკან, გვერდებზე. ეს რომ დავინახე, გავგიჟდი, შემიყვარდა...

იეჟი სტაჟინსკი უკვე პოლონეთში გავიცანი. ძალიან საინტერესო ადამიანი იყო, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ვინც კი ოდესმე მინახავს. სხვათა შორის, სულ სიმართლეს კი არ ამბობდა. მთავარი იყო არა სიმართლე, არამედ ის, რომ რასაც იტყოდა, საინტერესო ყოფილი-



ყო. ასეთი რომ არ ყოფილიყო, არც გაეყვებოდი.

პირველად რომ ვნახე, მკითხა, რა გიყვარს ყველაზე მეტადო. იმ ადგილების ნახვა, რომელიც ჯერ არ მინახავს-მეთქი და ისეთი ადგილების პოვნა, სადაც დაბრუნება მომინდება-მეთქი. ესე იგი, ვივლითო... გამიკვირდა, რას ამბობს ეს კაცი-მეთქი. მერე აღმოჩნდა, რომ მართლა ერთად ვივლიდით ყველგან. აი, ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა.

სულ ვცდილობდი, არავის სცოდნოდა ჩემი თავადური წარმოშობის შესახებ, ვუუბნებოდი ჩუმად, არავინ გაიგოს-მეთქი. ის კი ხმამაღლა აცხადებდა. მამამისი პროფესორი იყო ლვოვის უნივერსიტეტში. დედას სორბონის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული და შვილს ფრანგულად ელაპარაკებოდა. ეს ძალიან დაეხმარა. ფრანგებს უწერდა სცენარებს და ისინიც ათჯერ მეტს უნაზღაურებდნენ.

პირველად თვითმფრინავების გამომცდელეებზე გადავიღე ფილმი და მოწონება დაიმსახურა. მაშინ მითხრეს, ეს ისეთი თემაა, თავისთავად საინტერესოა, აბა, როგორ გადაიღებ ფილმს ზამბრზეო. ზამბრი პოლონეთის ქალაქია, რომელშიც ტრიკოტაჟის ფაბრიკა მუშაობს და რომელშიც მხოლოდ ქალები ცხოვრობენ. გადავიღე ფილმი „ზამბრი“, თუმცა არც ფაბრიკაზე გამოვიდა და არც მუშაობაზე. სიმარტოვეზე გადაღებული ფილმიც. ამანაც დიდი წარმატება მოიპოვა.

ერთი საავტორო საღამო მომიწვევს პოლონეთში. ახალგაზრდა ქალმა მომმართა. მეც მინდა ვწეროო. მერე, კალამი და ფურცელი აიღეთ და წერეთ-მეთქი. თქვენ მძიმე ცხოვრება გქონდათ ბავშვობაც, ახალგაზრდობაც... წერთ ამაზე. მე კი რაზე ვწერო, არანაირი პრობლემა არ მაქვსო. სიამოვნებით გაგიცვლიდით ჩემს პრობლემებს-მეთქი. თუმცა, ვინ იცის... გავუცვლიდი კი? სხვათა შორის, ჩემს ერთ წიგნს „თავადის ქალის ტკბილი ცხოვრება“ ჰქვია, ესეც პოლონურ ენაზეა დაბეჭდილი.

P.S. როცა პოლონეთიდან ჩამოდიან და იგებენ, რომ ელენე ამირაჯიბი-სტაჟინსკა ახლა საქართველოშია, გაოგნებული არიან, ნუთუ მართლაო. მათთვის ის დიდი ავტორიტეტია — მწერალი და რეჟისორი, დიდი პოლონელი ხელოვანის — იეჟი სტაჟინსკის მეუღლე. საქართველოში, სამწუხაროდ, ბევრი არაფერი იციან თავის თანამემამულეზე, მის „ტკბილ“ ცხოვრებაზე...

**ლილა ჯიყაშვილი**



იეჟი სტაჟინსკი და ელენე ამირაჯიბი (1970 წ.)

ელენე ამირაჯიბი ფილმის გადაღებისას (1966 წ.)





# ამერიკა კაშხალის შემდეგ

ჰუვერის კაშხალი (1935 წ.)

**კოლორადოზე ჰიდროელექტროსადგურის აგებით  
ირიბაციისა და ელექტროენერგიით მომარაგების პრობლემა  
რამდენიმე უტახტი მოგვარდა**

ვიგანტური ბლოკები კაშხალის საძირკველში



1936 წელს, როცა ჰუვერის კაშხალის მშენებლობა დასრულდა, აღმოჩნდა, რომ ეს კაშხალი მსოფლიოში ყველაზე მაღალი იყო. 221 მეტრის სიმაღლის ნაგებობის საძირკველი სიგანით 200 მეტრია. აშშ-ის უმსხვილესი ჰიდროელექტროსადგური მდინარე კოლორადოზე ააგეს, არიზონისა და ნევადის შტატების საზღვარზე. სახელი ეწოდა ამერიკის 31-ე პრეზიდენტის, ჰერბერტ ჰუვერის პატივსაცემად. მართალია, მშენებლობა 1931 წელს დაიწყო და 5 წელიწადში დასრულდა, მისი პროექტი ლამის სამი ათწლეულის განმავლობაში მზადდებოდა.

2,48 მილიონი კუბური მეტრი ბეტონი თვით კაშხალს დასჭირდა, კიდევ 850 ათასი მოხმარდა ელექტროსადგურსა და სხვა ნაგებობებს. ბეტონში 937 კილომეტრი გამაგრებელი მილები დაატანეს, ურომლისოდაც ბეტონის გაცივებას 100 წელიწადი დასჭირდებოდა, შემდეგ კი ისინიც ბეტონით შეავსეს. გამოყენებული ბეტონი ნიუ-იორკიდან სანფრანცისკომდე გზის გასაყვანად იკმარებდა. სამუშაოების პიკზე, ჩასასხმელი ბეტონით სავსე ციცხვი სამშენებლო მოედნებზე ყოველ 78 წამში მიეწოდებოდა. კაშხალის საძირკ-

ველი 230 გიგანტური ბლოკით შეიკრა და შემდეგ ბლოკები ისე ეწყობოდა ერთმანეთზე, როგორც „ლეგოს“ კონსტრუქციაში.


მდინარე კოლორადო ხშირად ახსენებდა თავს ადგილობრივებს მოუსვენარი ხასიათით — დიდ ფართობებს ტბორავდა და ანადგურებდა. კაშხალის აგების შემდეგ საფარეულების მორწყვა ვებერთელა სივრცეზე გახდა შესაძლებელი. მეტიც, რამდენიმე შტატს შორის წინასწარ შეთანხმების დადებაც გახდა საჭირო, რადგან ეშინოდათ, კალიფორნიის გავლენიანი შტატი მეზობლებს ხანამშრალს დატოვებდა. ამ შეთანხმების გაფორმებას ძალიან ეცადა პრეზიდენტი ჰუვერი და მშენებლობის მიმართ ძირითადი წინააღმდეგობაც სწორედ ამით მოიხსნა. სულ მშენებლობა \$49 მილიონი დაჯდა (\$729 მილიონი 2012 წლის ფასების მასშტაბით).

უბედურ შემთხვევებს 112 ადამიანი ემსხვერპლა. მათ შორის პირველი იყო მეცინთავი ჯ.გ. ტირნი, რომელიც კაშხალისთვის საუკეთესო ადგილს ეძებდა და 1920 წლის 20 დეკემბერს დაიხრჩო. ბოლო მსხვერპლი კი მისივე შვილი პატრიკ ტირნი აღმოჩნდა, ისიც 1938 წლის 20 დეკემბერს წყალმიმღებ კოშკში დაიღუპა...


გამომუშავებული ელექტროენერგია ნაწილდება არიზონისა (18,95%) და ნევადის (25,14%) შტატებზე, 15,42%-ს იღებს ლოს-ანჯელესი და დანარჩენი 40,49% სხვადასხვა კალიფორნიელ მომხმარებელს რჩება. დღევანდელი მონაცემებით, ელექტროენერგის მაქსიმალური გამომუშაება 2074 მგტ-ია.

1981 წელს ჰუვერის კაშხალი ისტორიულ ძეგლთა ეროვნულ რეესტრში შეიტანეს, ხოლო 1985 წელს მას ეროვნული ისტორიული ღირსშესანიშნაობის წოდება მიენიჭა.

„ისტორიანი“



მშენებლობა დღისითაც და ღამითაც მიმდინარეობდა



ოფიციალური პირების დელეგაცია მასპინძლებმა ტურბინის წყალგამტარი მილის მონაკვეთზე დასხეს და მშენებლობა ისე დაათვალიერებინეს

მემონტაჟეებს ზოგჯერ სახიფათო ვითარებაში უწყველათ მუშაობა



# სებორგა



სებორგა იტალიური სოფელია. ავტორის ფოტოები

ლექციაზე ვიყავი და სტუდენტებს რომელიღაც ჩემი მოგზაურობის ამბავს ვუამბობდი, რომ მობილურმა დარეკა. ბიძინა იყო, ბარათაშვილი. მაშინ „იმედი“ ებარა. აბა, თუ მიზღვები, საიდან გირეკავო. რას მივხვდებოდი, მობილური ტელეფონი ისეთი რამეა, საიდანაც უნდა, იქიდან დარეკავს კაცი. ბიძინა კი ხან სად მოგზაურობდა და ხან — სად. ვალტერ ფერარის რესტორანში ვზივარ, შენ რომ სოფელზე მიაამბობდი, სწორედ იქა ვარო! ორივეს გაგვეცინა. კარგა ხნის წინ სასხვათაშორისოდ ვუთხარი, შენი ტელეფონის ხალხი ყოველ შაბათ-კვირას ნიცასა თუ სან-რემოში რომ დასეირნობენ, სებორგაში რად არ შეივლიან-მეთქი! ამის მერე სტუდენტებთან საუბარი უკვე სებორგათი განუგარძე...

(წინა რეპორტაჟები იხ. „ისტორიანი“, №№67-69)

ფრანგულ ნიცასა და იტალიურ სან-რემოს შორის, ბორდიგერადან რამდენიმე კილომეტრზე მდებარე სებორგა ჩემი სისუსტეა. აღარ მახსოვს, პირველად როდის გავიგე იტალიურ რივიერაზე მდებარე ამ პატარა სოფლის ამბავი, მაგრამ ჩემს სამოგზაურო მარშრუტებ-

ში მუდამ ერთ-ერთი ყველაზე საოცნებო და სასურველი იყო, ვთქვათ, იმავე ტაიტიდან, აღდგომის კუნძულთან, გვადელუპასთან თუ პიტკერნთან ერთად. პირველად სებორგაში 2006 წელს მოვხვდი. მოვხვდი რა, — ერთი დღით მივატოვე ტურინის სამთრის ოლიმპიური თამაშები, მატარებლით ბორდიგერაში ჩავვედი და იქიდან — ტაქსით ავედი სებორგაში.

გზა სებორგისკენ

შიდა მოედანი



მომცრო მთის წვერზე შეფენილი ეს სოფელი ერთგვარი ციხესიმაგრეა, რომელიც თავისი სტრუქტურით ქართველ კაცს შატილს მოაგონებს. მაშინ სებორგის მთავარი ჯორჯო I იყო, ხოლო სამთავროს საგარეო საქმეთა მინისტრი — ვალტერ ფერარი, რომელიც პარალელურად რესტორანს ფლობდა სებორგაში და ოფიციალურად ითავსებდა. სებორგის საფრემო კერძი, კურდღლის ჩახოხბილი რომ მომართვა, ზედ თავისი სადარბაზო ბარათიც მოაყოლა, რომლის ერთ მხარეს იგი საგარეო საქმეთა მინისტრად იყო წარმოდგენილი, ხოლო მეორე მხარეს — რესტორატორად.

60-იანი წლების დასაწყისში სებორგელ მეყვავილეთა კოოპერატივის თავკაცმა ჯორჯო კარბონემ საგანგებოდ შეისწავლა იტალიის გაერთიანების დროინდელი საბუთები და აღმოაჩინა, რომ სებორგას — ერთადერთს იტალიის სამთავროთაგან — ხელი არ ჰქონია მოწერილი იტალიაში გაერთიანებაზე. ამის საფუძველზე სებორგელებმა 1963 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და სებორგის მთავრად, უფრო სწორად — პრინციპედ, ანუ პრინციად ჯორჯო კარბონე აირჩიეს ჯორჯო I-ის სახელით. მან შექმნა სებორგის პარლამენტი და მთავრობა, დაწერა კონსტიტუცია, შექმნა გერბი, დროშა და ჰიმნი, მოჭრა საკუთარი მონეტები, გამოუშვა საფოსტო მარკები... ჯორჯო 2009 წელს გარდაიცვალა 73 წლისა. მისი ძალისხმევით სებორგა ყველაზე სახელგანთქმულ ვირტუალურ სახელმწიფოდ იქცა, თუმცა ეს ვირტუალურობაც დღეს უკვე პირობითია, რადგან სებორგა 20-მდე სახელმწიფომ აღიარა ამა თუ იმ ფორმით. მათ შორის, რა თქმა უნდა, არ არის იტალია, რომელიც ამ ყველაფერს მეტად მსუბუქად უყურებს და ერთგვარ ტურისტულ-სარეკლამო ატრაქციონის დონეზე განიხილავს.

სულხან-საბა ორბელიანი სებორგაში არ ყოფილა, თუმცა სულაც არ არის გამორიცხული, რომ იმ მრავალრიცხოვან მთავართა შორის, რომელთაც იგი იტალიაში თავისი ხანგრძლივი მოგზაურობისას შეხვდა, სებორგის მთავარიც ყოფილიყო. საბას დროს ამ საკმარის ძლიერ სამთავროს საჯარო დინასტიის ერთ-ერთი პრინცი ედგა სათავეში.

18 ოქტომბერს სულხან-საბა და მისი თანამგზავრები გენუას მიუახლოვდნენ, მაგრამ ქალაქში ვერ შევიდნენ, შემოადამდათ. ქალაქში მხოლოდ დილით შევიდნენ. „ჯენუას ვეღარ



სებორგის ეკლესია

ერთ-ერთი ქუჩა



ბიბლიოთეკა





ვინჩენცო მანტენია თავის რესტორნის შესასვლელში სეზორგის სასტუმროს ნომერს



ჯულიანო ფოლიარინო, სეზორგის პრინცესა ნინა (ჩვენი მოგზაურობის ბუკლეტით ხელში) და ბონდო ქურდაძე



შეგაღწიეთ, ღამემ გვისწრა. ჯენევიას ზეიღამ ერთი სოფელი იყო. იქ დაგდევით“, — წერს საბა.

სულხან-საბას კვალზე შემდგარმა, ბევრი ვიფიქრე, სად, რომელ სოფელში უნდა გაგვევითა ის ღამე, სანამ დილით გენუაში შევიდოდით. ერთხანს მანქანაში ღამის თევასაც ვფიქრობდით, სადმე ზღვის სიახლოვეს. აკი პარიზში საამისოდ საძილე ტომრებიც ვიყიდეთ. მაგრამ მერე ჩემი ის ძველი სისუსტე გამახსენდა: რატომ არ შეიძლება, ის უცნობი სოფელი „გენუის ზეიღამ“ სეზორგა იყოს? მერე რა, რომ იმ სავარაუდო უცნობი სოფლიდან სეზორგამდე მთელი 150 კილომეტრია? რა არის ეს მანძილი ჩვენი ერთგული „რენო-ესპეისისთვის“? ბონდომაც ენთუზიაზმით მიიღო იდეა.

ჰოდა, ის ღამე სეზორგაში გავათიეთ, ერთ უძველეს კოშკში, რომელიც შიგნიდან შუა საუკუნეების რაინდების გამოსახულებებით იყო მოხატული. წინა საღამოს სინიორ ფერარის ყოფილ რესტორანში ვისხედით და კურდღლის ჩახოხბილს შევექცეოდით იტალიურ ლულ „მორეტისთან“ ერთად. რესტორანს უკვე მამა-შვილი ვინჩენცო და როკო მანტენიები განაგებდნენ. საღამო ხანს, ტურისტები რომ ბორდიგერისკენ დაიძრნენ და ჩვენ კი გვიანობამდე შევრჩით ჩვენი ფოტო-ვიდეო-აპარატურით, მამა-შვილი ჩვენი ვინაობით დაინტერესდა. ვუთხარით, ვინც ვიყავით, რა გზასაც ვადევით. ჩვენი ღამაში წიგნებიც მივართვი. როკომ, რომელმაც მანამდე უარი მითხრა ჩემს თხოვნაზე და რესტორნის მენიუ არ მომყიდა, ახლა თავისი ხელით გამომიტანა მენიუს ახალთახალი ეგზემპლარი და მაჩუქა. მერე ენცომ სეზორგის ერთი ახალი მონეტა მისახსოვრა ახალი პრინცის გამოსახულებით.

იქვე ერთი ხანდაზმული კაცი იჯდა, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და ლულს წრუპავდა. მასაც მივეცით ჩვენი გამოცემა და სადარბაზო ბარათი. გვარი და სახელი ვკითხე, რომ წიგნზე წარწერა გამეკეთებინა. ჯულიანო ფოლიარინო ვარო. მერე როკოს უთხრა, მუზეუმი აჩვენეო. როკომ იქვე, რესტორნის ქვემოთა სართულზე ჩავვიყვანა და ხის ტოტებისგან „აშენებელი“ შუა საუკუნეების ქალაქი გვაჩვენა თავისი კომპებით, ეკლესიებითა და სასახლეებით. რამდენიმე ათეული ნაგებობა იყო, უნატიფესი ოსტატობით შესრულებული. სწორედ ჯულიანო ყოფილა ამ ყველაფრის შე-

მოქმედი. ეს მუზეუმი სულაც არ არის ჯულიანოს მთავარი მუზეუმი, — ამიხსნა როკომ იტალიურ-ინგლისური ჟესტიკულაციით, — მუსიკალური ინსტრუმენტების კოლექცია აქვსო. რესტორანში რომ დაგბრუნდით, ჯულიანოს მადლობა მოგახსენეთ და ბონდოს ვთხოვე, მანქანიდან ვისკი მოეტანა. ჯულიანომ ჯერ იუარა, მაგრამ მეუე ძალიანაც კარგად მიირთვა. პენსიაში გასვლამდე ისიც, ჯორჯო I-ისა არ იყოს, მეყვავილე ყოფილა. ახლა 66 წლისაა. 53 წლის ბონდოს ასაკი რომ გაიგო, სულ ბამბინო ემახა. მეუე ჯულიანო იმ თავისი მთავარი მუზეუმისკენ გაგვიძღვა.

ეს კი მართლა საოცრება იყო! მუსიკალური ინსტრუმენტების, მუსიკალური აპარატებისა და გრამფირფიტების ამგვარი უნიკალური კოლექცია მე არსად მინახავს! არც არსად არისო, ყოველ შემთხვევაში, იტალიაში ბადალი არ მოემეტებო, — ჯულიანომ.

იტალიურად „ვლაპარაკობდით“.

ერთი ცნობილი ანეკდოტია: გურულს კეითხებიან, ფრანგული თუ იციო. ის ცოტა ხანს დაფიქრდება და მეცოდინება ალბათო, მიუგებს.

გურული არ ვარ და არც ფრანგული მეცოდინება (ალბათ), მაგრამ უნდა ვთქვა, რომ საყველპურო იტალიური მეც მცოდნია! იმდენი ლათინურ-იტალიური სიტყვაა შესული საერთაშორისო ლექსიკონში, რომ თუ ცოტა ხელებსაც მიახმარ, შეგიძლია სებორგაში ჯულიანო ფოლიარინოს თავისუფლად ესაუბრო „იტალიურად“ მისი მუზეუმის უნიკალურობაზე და იმასაც შეჰპირდე, რომ თბილისიდან აუცილებლად გამოუგზავნი მას ძველ ქართულ ფირფიტებს, რათა თავის მუზეუმში ქართული ვიტრინაც მოაწყოს — ფრანგული, გერმანული, ამერიკული თუ მოლდავური ვიტრინების მსგავსად. პირველი ექსპონატები ამ ვიტრინისთვის მეორე დღითვე გადავეცი — საქართველოს პატარა დროშა და სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობის სამახსოვრო მედალი. წიგნი უკვე ჰქონდა. მის შესახებ საგაზეთო თუ საჟურნალო პუბლიკაციასაც შევპირდი.

მეორე ასეთი მედალი წამოსვლისას სებორგის ახალ მთავარსაც გადავეცი. ჯორჯო I-ის სიკვდილის შემდეგ პრინციპს პოსტზე ორი კანდიდატურა ყოფილა — მარჩელო მენეგატო და ჯან-ლუიჯი მორგია. 2010 წლის 25 აპრილს გამართულ არჩევნებში მენეგატომ



სებორგის ერთ-ერთი კუთხე

ჯულიანო ფოლიარინო თავისი მუზეუმის წინ



პრინც მარჩელოს რესტორანი





ზედი სეპორგიდან მონტე-კარლოსკენ

პრინცესა ნინას მალაზიაში



შეხვედრა სეპორგის პრინც მარჩელოსთან

სეპორგის მთავარი მალაზია



გაიმარჯვა 87 ხმით 67-ის წინააღმდეგ და იმავე წლის 22 მაისს იგი ოფიციალურად გახდა სეპორგის პრინცი მარჩელო I-ის სახელით. მარჩელო ანუ მარჩელინო, როგორც მას ჩვენი „სასტუმროს“ დიასახლისი რომინა ეძახდა, 36 წლისაა. მამამისი ტექსტილის ცნობილი მეწარმეა. მარჩელინო ბავშვობიდანვე გატაცებული ყოფილა წყალ-სამოტორო სპორტით. 19 წლის ასაკიდან მონაკოს სახელით გამოდიოდა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში. ოთხჯერ მოიგო ევროპისა და ხუთჯერ იტალიის ჩემპიონატები. 2000 წლის ნოემბერში მონაკოს მთავარმა რენიე III-მ იგი ოქროს მედლით დააჯილდოვა ფიზიკურ განათლებასა და სპორტში მიღწეული წარმატებებისთვის. კარგად ლაპარაკობს ფრანგულად და ინგლისურად. შვეიცარიაში, მონტრეში სწავლის დროს გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე ნინა დიობლერი, დღეს უკვე სეპორგის პრინცესა და ვალტერ ფერარის მემკვიდრე — ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი.

ჩვენი იქ ყოფნის ამბავი რომ შეიტყო, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, ნინა დიობლერი წინა სადამოს არაოფიციალური ვიზიტით გვეწვია მანტენიების რესტორანში. ჩვენი თავი წარუვადგინე, მან კი მეორე დილისთვის თავის მალაზიაში მიგვიწვია.


სეპორგიდან წამოსვლისას მართლა შევიარეთ პრინცესას მალაზიაში. ნინამ სეპორგის ბუკლეტი და რამდენიმე ღია ბარათი მაჩუქა. რამდენიმე სხვა ბარათი და ერთი მოზრდილი ალბომი კი ვიყიდე. რაც მთავარია, პრინცესას მალაზიაში აღმოჩნდა ერთი უნიკალური სეპორგული მონეტა, რომელიც იმ დღით, როცა საკოლექციო ნივთებით მოვაჭრე ერთადერთ სეპორგულ მალაზია „შევალიეში“ სეპორგის საკოლექციო ნივთებით დავიტვირთე, ვერ ვიყიდე.

ჰო, დამავიწყდა: რამდენიმე სეპორგული ფილატელისტური იშვიათობის ნიმუში წამოსვლის წინ ჯულიანო ფოლიარინომაც მაჩუქა, ხოლო პრინჩიპე მარჩელო I-მა თავისი ფოტო მისახსოვრა წარწერით.

მგონი თხრობა ცოტა გამიგრძელდა, თუმცა, სეპორგის ამბის მოყოლისას მუდამ ინტერესით მისმენენ ხოლმე. ბიძინა ბარათაშვილმა კი არათუ მომისმინა, ჩემი რჩევა შეისმინა კიდევ და მადლობის სათქმელად პირდაპირ ფერარის რესტორნიდან დამირეკა.



# ისტორიული ამბები ქველი ჟურნალ- გაზეთებიდან



გთავაზობთ საინტერესო ამონარიდებს ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან.

ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიის“ პირველ ნომერი 1877 წლის 3 მარტს დაიბეჭდა

თბილისში. „ივერიის“ დამარსებული და პირველი რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე.

თანრედაქტორი იყო სერგეი მესხი. ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „დროება“ 1866 წლის 4 მარტს თბილისში დაარსდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ შტაბად, ეროვნული კულტურის ცენტრად გადაიქცა. მისი პირველი რედაქტორი იყო გიორგი წერეთელი. საცენზურო წესდების დარღვევის გამო, დახურეს 1885 წლის 16 სექტემბერს.

## სამზარეულო ცნობა

### ლობიოს მომზადება

დიდმარხვა არის და ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენის გაზეთის მკითხველებს მივაცხოროთ რამდენიმე დარიგება, თუ როგორ უნდა მომზადდეს სამარხვო საჭმელები. ვინც კარგად იცის მომზადება, ლობიო ერთი საუკეთესო საჭმელთაგანია, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც სხვა ყველაფერს „ჩვენებურს, ძველებურს“, ამასაც ხელი აადეს, — ან თუ აკეთებენ, გადაგვარებულ-გადამახინჯებულად. ლობიო ბევრ-ნაირად მომზადდება, მაგრამ ყველაზე უფრო გემრიელია ვერეთ წოდებული „კლდიაშვილის ლობიო“. ჩვენ თითონ ამ ლობიოს პატრონ-ბატონის, პატივცემულ ნ. კლდიაშვილისაგან გვისწავლია მისი გაკეთება და ამიტომ თამამად შეგვიძლიან სრულის სისწორით გავაგებინოთ ყველას „კლდიაშვილის ლობიოს“ მომზადება.

კარგი ჯიშის წითელი ლობიო უნდა მოხარშოთ ისე, რომ მარცვლები არ იხრისებოდეს, — კირკიჟად. შემდეგ უნდა გადმოიღოთ ჭურჭლიდან (საზოგადო, ლობიო უფრო გემრიელია, როცა თიხის ჭურჭელში — ქოთანში — იხარშება) და თავის წვნიანად დადგათ თბილად. პირველ ჭურჭელში-კი ჩაასხით ძალიან ცხოველი ღვინის ძმარი, თუ მეტის-მეტი ცხოველი ძმარია, წყალი გაურიეთ და შედგით ნელ ცეცხლზე. როცა გაცხელდეს, ჩაჰყარეთ შიგ ალყად დაჭრილი ხახვი ბლომად და მოხარშეთ, ისე-კი, რომ არ ჩაიშალოს.


ღრმა ჯამზე დამზადებული უნდა გქონდეთ ნახევარი გირვანქა ნიგოზი, ძალიან წმინდათ დანაყილი და ქინძი, ისიც დანაყილი. უნდა დაასხათ რამდენიმე კოვზი ცხელი ძმარი ამ მასალას და კარგად უნდა ამოჭყლიტოთ. როცა კარგად გალესათ, მერე საცერში გაატარეთ. უყავით მიხაკდარიჩინი, ცოტა პილპილი, მარილი, ჩაასხით დანარჩენ ძმართან და ისევ შესდგით ცეცხლზე. როცა აღუდდეს, გადმოსწურეთ ცალკე შენახული ლობიო ისე, რომ თავისი ნახარში აღარ შეჰყვეს და ჩაჰყარეთ ძმარიან ჭურჭელში. ამ დროს უყავით ძმარშივე გახსნილი ყვითელი კოჭი და ერთხელ წამოადუღეთ, შემდეგ გადმოსდგით, დაასხით ნახევარი ჩაის ჭიქა შინ გამოხდილი ნიგეზის ზეთი, გააცივეთ და მიირთვიეთ. ასე მომზადებული ლობიო მით უფრო გემრიელია, რაც უფრო გვიან სჭამთ. გასძლებს ერთსა და ორს კვირას და სრულიად მაყვინარი არ არის.

„ცნობის ფურცელი“, 1897 წ. №132

### ყურმოკრული საუბარი

- დამნაშავევ, ეს როგორ მოხდა, რომ თქვენ მხოლოდ საათი მოიპარეთ, მაშინ როდესაც სტოლზე მაგ საათის გვერდით ორასი თუმნით ქისა იდგა?
- მართლა?
- დიას.
- ოო, მაგ შეცდომას ჩემს თავს არასოდეს არ ვაპატიებ!


„ცნობის ფურცელი“, 1899 წ. №734  
მოამზადა თუა ცაყურიშვილმა



**წშინდანდ შერაც ხილი**  
ქართული თუოლოგი,  
ისტორიკოსი, არქეიმანდრიტი

**სანწორდი ჟონად**  
**„არუსელიგან“**

უფრო ზეი სანწორდი, კროსლონი, თჱსიკები და  
სანწორდი სმები იხილეთ ზემეცხბიი - განართბ ჟონადში



1. დავით თორბის ბალეთი							
		2. შხარეთა თბანწრორო- ბის პრინციბი					
						3. ინღური ფულის ვრ- თული	
							4. სრუტე ფრობასა და აზიას შორის
							5. ირლანდი- ის არბია
		6. ინღეთის პოლიტი. მოღუწე ინ- ღირა ...					
						7. გუმბათი- ანი შრეკული ნავებობა	
8. უმად. სამზ. სანწე- ლებლის ას- პირანტურა		9. ფილბის გადღების სპეციალ- იუსტი		10. შვეილი- ნე ... ისაკაძე			
							11. ო. ჭოლ- ბე „გზაზე ... კაცი მიღი- ლდა“
							12. ეხბანელი ფრწეწერი ... გრგო
						13. ზეებით დაფარული ადგილი	
	14. ... ბლი იბნ ხინა, ივი- წე ავიცენა			15. ხალხში გამოუსე- ლელი			
	16. ბალდობა (შეკლელობა) მწინანაღმდ. შესამწინებ- ლად						17. კოლუმბის კრო-კრთი ხომალდი
						18. შწერალი ელგარ ... პო	19. მატარებ- ლის ოთახი
	20. მიწის ზედაპირის შემციებუბლი გამოსახე- ლება						21. უგონო მღვობარე- ობა
				22. პალმა შიკლე ტანთი და გიგანტური ფოთლებით		23. ყაიბი	24. ტბელტი
	25. პობუსი- კის ჟანრი		26. პლატონ სამანიშვი- ლის მამა				

**წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანწორდის პასუხები:**

1. სანდი; 2. დი 3. დედალოსი; 4. „მონღი“; 5. ოჯალეში; 6. კობა; 7. გობა; 8. მარკო; 9. ნომერი; 10. ჯანღი; 11. მერინოსი; 12. ოდა; 13. „შალკე“; 14. სუ; 15. კუ; 16. სირია; 17. ბაბუა; 18. იარადლო; 19. ელინი; 20. ნიუ; 21. ბესი; 22. ღია; 23. ფიორდი; 24. ფა; 25. გრო; 26. ფსიტი; 27. სატირი; 28. კორი; 29. ბაია. **სწრაბომე:** სიმონ ჯანაშია.

# ბიოგრაფიული წიგნების სერია

აპრილიდან  
შურნალ ისტორიანთან ერთად



პალიტრა

შენი წიგნის ისტორია



## ტომი 14

### ჩიჩახე ლობჯიანი

შემდეგი წიგნი:  
უოლტ დისნეი

სერიის სხვა წიგნები



სკანდალური ფასი 5ლ  
უჩინაიტან ერთად 8ლ

## გამოდის თვეში ერთხელ

უკვე გამოცემული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზრებში.



პალიტრა.L

იკითხეთ წიგნის მაღაზრებში და პრესის გაცრცელების კიბურებში ან დარეკეთ ნომრებზე:  
0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და [www.elva.ge](http://www.elva.ge) იდეალზე მოგართმევთ.

Palitra.L.Publishing [www.palitra.l.ge](http://www.palitra.l.ge)

# 3 აპრილთან მონეტა №11

სპილენძი. გიორგი IV ლაშა  
(1210-1223). 1210 წ.



**დაუთოვპე  
საბანძური  
თაობებს**

შეაგროვე 24 უძველესი ქართული მონეტა, განათავსე წიგნ-ალბომში და გახდი უნიკალური განძის მფლობელი

**თვეში ერთხელ 1 ახალი მონეტა გაზეთ  
„კვირის პალიტრასთან“ ერთად**

**მონეტის სამეცნიერო ფასი 3,5 ლ  
გაზეთთან ერთად 5 ლ**



წიგნი, ალბომი და მონეტები იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გაყიდვების კიბურებში  
ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32)2382673; 0(32)2382674 და [www.nibg.ge](http://www.nibg.ge) ადგილზე მოგართმევთ.